ეროვნული
ბიბლიოთეკა

დავბადებულვარ,
რომ ვიყო მონა
და საქართველოს
მედგას ულელი!..

# [illegible]

ივნისი, № 4, 1990

სსფ აფხაზეთის რეგიონალური ორგანიზაციის გამგეობის ორგანო

## 1989 წლის 15 — 16 ივლისის ტრაგედიის
## გ ა ხ ს ე ნ ე ბ ა

ჩვენი სარედაქციო ცნობით, სულ 13 ქართველი, ხუთი აფხაზი, ერთი სომეხი ჯარისკაცი და ერთი რუსი ოფიცერი შეიწირა აფხაზ ექსტრემისტთა ამ სისხლიანმა აქციამ.

ქართველთაგან: ვოვა ვეკუა, ლიანა სართანია, ირაკლი სანაია, რეზო ეხვაია, ნური შამათავა, ომარ შენგელია, გივი ლობჟანიძე, რამინ ჩოჩია, კონსტანტინე მიქაძე, სოსო ჯვარელია, მერაბ დარსალია, ვლადიმერ ბასილაია, რამაზ მღებრიშვილი.

აფხაზთაგან: ალბერტ კობახია, ალექსი კოლონია, ივანე ლასურია, ნური ლასურია, ბესლან ჩქოტუა.

რუსთაგან: ვიქტორ ნოვიკოვი.

სომეხთაგან: ვლადიმერ აკოპოვი.

ინსპირატორებმა და მათ მიერ წაქეზებულმა ექსტრემისტებმა შეძლეს ოდითგანვე ორ მონათესავე და უახლოეს ხალხს შორის ივლისის სისხლიანი აქციების ორგანიზება. უდანაშაულოდ დაღვრილი სისხლის საფასური არ არსებობს და არც შეიძლება არსებობდეს. ერთადერთი მისი საფასური თავისუფლებაა, რომელიც ერთნაირად ძვირფასია ქართველისა თუ აფხაზისათვის, რუსისა თუ სომეხისათვის...

...და ვისაც თავისუფლების ფასი დღემდე ვერ შეუგნია, იგი სულით საჭურისია და მონობისათვის არის გაჩენილი...

ჩვენგან დამოუკიდებელი მიზეზებით რედაქციამ ვერ შეძლო სხვა ეროვნების დაღუპულთა ფოტო-სურათების მოპოვება და დაბეჭდვა.
















## სისხლიან გზაზე

ისევ ქვითინებს ივლისის წვიმა
და ქარი რტოებს მონანიებით
კვლავ აქანავებს და ფერთა ნილად
ცრემლად გადიქცნენ ცაზე მთიები.

ჰა, შემოცურდა ღრუბელთა ტივიც
და ქართულ ზეცას მკლავებს ხევს ძაძად,
არა, დაღუპულთ ჩვენ აღარ ვტირით,
არც მოყმის დედას ჩვენ აღარ ვბაძავთ,

რომ სამძიმარი ვუთხრათ მტრის დედებს,
მტერი კი არა, არის სატანა...
დედაო ღვთისავ, ეს შენ გავედრებ
გულს ქართულს, დაჭრილს, ცხელს და პატარას...

თვალს — ცრემლები და გულს ბოლმა ავსებს,
თუ სიკვდილია, ბრძოლებში მოვკვდეთ...
და საქართველო სისხლიან გზაზე
მიდის და ურიცხვს მიუძღვის ბოკვერს.

ნათე ნახარია

### ლეგენდა და სინამდვილე

# მითი ოქროს საწმისზე

## თქმულების ქართული ვარიანტები



ბოლოს და ბოლოს დადგა დრო, როცა ყველა საგანს თავისი სახელი უნდა ეწოდოს. ცხადია, ვინც მტკნარი სიცრუე სიმართლედ გაითავისა ათწლეულებში, მისთვის ამ მიმართულებით დღევანდელი დღე მხოლოდ მწარე განცდის მომგვრელია. მაგრამ ამ ხნის განმავლობაში ზოგიერთს პირში ბურთი რომ ჰქონდა ჩაჩრილი, არც ეს იყო სასიამოვნო განცდა. ხალხმა სიმართლე უნდა გაიგოს. ახალგაზრდებსაც მხოლოდ სიმართლე და ჭეშმარიტება უნდა ვუქადაგოთ — კმარა, რაც ღვთისა თუ ერის წინაშე ვცოდეთ!

მას შემდეგ, რაც გამოიცა ტურჩანინოვის უბადლებული პასკვილი, დაახლოებით ჩვენს ერამდე მეორე ათასწლეულში „აფხაზეთის იმპერიის“ არსებობის შესახებ, რომლის ტერიტორიაც გადაჭიმული იყო აზოვის ზღვიდან მდ. ჭოროხამდე, რომ აფხაზთა (აფსუათა) წინაპრებმა მსოფლიოში პირველებმა შექმნეს ანბანური დამწერლობა, რომელიც შემდეგ ფინიკიელებსაც ასწავლეს (ალბათ ფინიკიელებმა მაინც და მაინც აფსუა მწერლები ჩაიგდეს ტყვედ, არა და უბრალო ადამიანმა თუ წერა-კითხვა იცოდა ოთხი ათასი წლის წინათ, მაშინ „აფხაზეთის იმპერია“ თავისი კულტურული განვითარებით უფრო მაღლა მდგარა, ვიდრე შუმერები, ეგვიპტელები, ხეთები, ურარტუელები და ა. შ.), გამოქვეყნდა უამრავი კრიტიკული წერილი, რომელთა ავტორებიც მსოფლიო სახელის მქონე მეცნიერები არიან. ამ კრიტიკის შემდეგ ტურჩანინოვის ნაცოდვილარისაგან არაფერი დარჩა ხელმოსაკიდი, მითუმეტეს, რომ ამას მოჰყვა წერილები „ვინ იყვნენ სუანო-კოლხები?“ (იხ. გაზ. „სახალხო განათლება“, 6. XII. 89, № 53), და „ძველი ტოპონიმები აღვადგინოთ“ (გაზ. „ოქროს საწმისი“, 1990, № 2, გვ. 13, ავტორები თ. მიბჩუანი და ვ. ზუხბაია), სადაც დასაბუთებულია აფხაზეთის ტერიტორიაზე დღემდე არსებული ძველი ტოპონიმების მეგრულ-სვანური წარმომავლობა.

დღევანდელი აფხაზეთის ტერიტორიაზე „აფხაზთა“ უძველესი დროიდან განსახლება არ დასტურდება ლინგვისტური თვალსაზრისითაც, რაც თვალნათლივ ცხადი გახდა ა. ონიანის ვრცელი სტატიის გამოქვეყნებით (იხ. გაზ. „სახალხო განათლება“, 20. XII. 89 და 3. I. 90).

ამის შემდეგ ყველაფერი თითქოს ნათელია, მაგრამ ტურჩანინოვის მიმდევრებს გულში რაიმე ხინჯად რომ არ დარჩეთ, ამ პრობლემას ფოლკლორისტიკის, როგორც მეცნიერების ერთ-ერთი დარგის, თვალსაზრისითაც შევხედოთ. თუ მართლა ძვ. წ. მეორე ათასწლეულში, მთელ აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში, ჭოროხიდან აზოვის ზღვამდე, „აფხაზეთის იმპერია“ იყო გადაჭიმული და მისი ბინადარნი თანამედროვე „აფხაზთა“ (აფსუათა) წინაპრები იყვნენ, მაშინ შეუძლებელია აფხაზურ ფოლკლორში არ იყოს არეკლილი მითი ოქროს საწმისის თაობაზე, თუნდაც არა ისე ფართო მასშტაბით, როგორც ნართების ეპოსია, არამედ შედარებით უფრო მცირე მოცულობით მაინც. სხვათა შორის, ზოგიერთი აფხაზი მკვლევარი ვარაუდობს, რომ აიეტის ვაჟის სახელი „აფსირტე“ აფხაზური წარმომავლობისაა (შდრ. სვანური წარმართული ღვთაება „აფსასტ“). თუ ეს ასეა, მაშინ ოქროს საწმისის შესახებ მითის აფხაზური ვარიანტი აუცილებლად უნდა არსებობდეს. მეცნიერულად დადგენილია, რომ არგონავტებმა აია-კოლხეთში იმოგზაურეს ძვ. წ. XIV-XIII საუკუნეების მიჯნაზე, იმ დროს, როცა ტურჩანინოვისა და ზოგიერთი ადგილობრივი ავტორის აზრით, ეს ტერიტორია „აფხაზთა“ განსახლების არეალს წარმოადგენდა, თუმცა აღნიშნულ ავტორებს ამის დასამტკიცებლად არავითარი საბუთი არ გააჩნიათ.

როგორც წესი, ასეთ შემთხვევაში მკვლევარი თქმულება-გადმოცემებს მიმართავს ხოლმე, მაგრამ ამჯერად აქაც ხელი აქვთ მოცარული. როგორი ხანდაზმულიც უნდა იყოს დღეს და როგორც უნდა გავუხანგრძლივოთ მას სიცოცხლის ასაკი, ეს ფაქტი ძალიან შორეულ წარსულთან არის დაკავშირებული და იგი ერთ რომელიმე ადამიანს კი არა, მთელ ხალხს უნდა ახსოვდეს. იგი მთელი ხალხის მეხსიერებას უნდა შემოენახა. ამ ემპირიული მეხსიერებიდან რომელიმე ინდივიდი შეიძლება მას უკეთ ყვებოდეს — ეს სულ სხვა საქმეა.

მიუხედავად ჩვენი გულმოდგინე ძიებისა, დღემდე გამოქვეყნებულ აფხაზურ ფოლკლორულ მასალებში არგონავტიკის, ანუ ოქროს საწმისის შესახებ მითის აფხაზურ ვარიანტს ვერ მივაკვლიეთ.

ახლა ჩავიხედოთ დასავლეთ საქართველოს სხვა აბორიგენი მოსახლეობის ხალხთა მეხსიერების სალაროში, მათ ფოლკლორში. მაგალითად, სვანეთში გავრცელებულია უაღრესად საინტერესო გადმოცემა ოქროს საწმისთან დაკავშირებით. ერთი ვარიანტი ამ გადმოცემისა ჩაწერილია 1940 წელს, აწ განსვენებულ პროფ. მ. ქალდანის მიერ ზემო სვანეთის სოფელ ლატალში (იხ. „სვანური ენის ქრესტომათია“, თბ., 1978, გვ. 100-101). მეორე ვარიანტი გამოქვეყნდა 1979 წელს (გაზ. „ახალი სვანეთი“, № 59, 60). რადგან ორივე ვარიანტი ფართო მკითხველისათვის ნაკლებ მისაწვდომია, ამიტომ მოგვყავს მათი ძირითადი შინაარსი. აი, ეს გადმოცემაც: „შორეულ წარსულში სოფელ ლატალს გასაჭირი დაუდგა, რამდენჯერ არ გაუშვებდნენ საქონელს ჰარაშის ჭალაში — ანდერიანში, შინ ერთიც არ ბრუნდებოდა. ბოლოს და ბოლოს აევსოთ მოთმინების ფიალა და სოფელმა კრება მოიწვია. კრებაზე დაადგინეს, რომ თითოეული ოჯახი თითო ხარს ან ძროხას გაიღებდა, ოღონდ გველეშაპის მომრევი ვინმე გამოჩენილიყო. ჰარაშის ჭალაში სოფლის ნახირს თურმე გველეშაპი ჭამდა, რომელიც ანდერიანის დიდ მინდორში უზარმაზარ მუხას შემოხვეოდა.

არავინ გამოჩნდა გველეშაპის მომრევი. მაშინ ხალხს შველა ცნობილი მონადირე კახან ჩამგელიანისათვის უთხოვია. კახანს უთქვამს: „ხარი და ძროხა მე არ მინდა, ოღონდ თუ გველეშაპი მოვკალი, ლახოშდის „ხგიმის“ (მჟავე წყალი) დამლევი პირველად ჩვენი საქონელი იყოს. გარდა ამისა, ხალხმა უნდა შემოიღოს ერთი კათხა ჩემს სახელზე“. როგორც ჩანს, კახანმა სიმდიდრეს პატივი და სამარადისო დიდება არჩია. ამ პირობით კახანი გველეშაპის მოკვლას კისრულობდა. ხალხი დიდი სიამოვნებით დათანხმებულა ასეთ პირობაზე. მაშინ კახანს უთხოვია შემდეგი: ერთი კარდალა შავი ძროხის რძე აეტანათ და დაედგათ ლანწვალის მთაზე; კახანს თან უნდა წაჰყოლოდა მისი ძმა ჯახუ; თუ ხალხი გველეშაპის მოკვლის სანახაობით დაინტერესდებოდა, კახანი მათ უფლებას აძლევდა შორიახლო, მაღლობებიდან ეყურებინათ; კახანი თუ გადარჩებოდა, ძმა ჯახუ ლანწვალის მთაზე რძით სავსე კარდალასთან უნდა დახვედროდა ახალი სათადარიგო ტანსაცმლით.

შეუსრულებიათ კახანის ყველა თხოვნა და იგი საქმეს შესდგომია. მონადირე წასულა ანდერიანის მინდორში, სადაც გველეშაპი ბინადრობდა. გველეშაპი შუადღისას, თურმე, იძინებდა. მისი ეს თვისება კახანს სცოდნია. კახანი მძინარე გველეშაპთან მისულა, მიწიდან ყურამდე მისი ტანის სიმაღლე თვალით გაუზომავს. სამსაფეხურიანი კიბე ყოფილა საჭირო. იგი თვითონვე დაუმზადებია. ამის შემდეგ კახანს კარგად დაუსვენია. ერთ დღეს, როცა გველეშაპს ეძინა, კახანი მისულა მასთან, კიბე მიუდგამს, ასულა ბოლო, მესამე საფეხურზე, იქიდან კისერზე გადასულა, შემდეგ რაც ძალი და ღონე ჰქონია მშვილდ-ისარი მოუზიდნია და მოწამლული ისარი შიგ ყურში სამჯერ უსროლია. შემდეგ კახანი გველეშაპის ზურგიდან გადმომხტარა და გამოქცეულა. დაღლილ-დაქანცული ლანწვალის მთაზე ამოსულა, სადაც თავისი ძმა ჯახუ დახვედრია. ჯახუს კახანი რძეში დაუბანია და ტანსაცმელი გამოუცვლია. ასე რომ არ მოქცეულიყო, კახანი მოიწამლებოდა და მოკვდებოდა.

გველეშაპს გაუბრძოლია. მისი შხუილ-კივილისა და შფოთიანობისაგან თურმე დედამიწა იძროდა. ხეს მოშვებია და მინდორში სიგრძეზე გაწოლილა. კახანი და ჯახუ ლანწვალის მთიდან დიდხანს უყურებდნენ თურმე სიკვდილთან მებრძოლ გველეშაპს. კახანი მეორე დღეს, შუადღისას, როცა გველეშაპს ეძინა, კვლავ ჩასულა მასთან. მამაც მონადირეს მისთვის ისევ სამჯერ უსროლია. მესამე დღესაც ასე მოქცეულა. ამჯერად გველეშაპი არც კი განძრეულა. კახანი როცა დარწმუნებულა, რომ გველეშაპი უკვე მკვდარი იყო, ეს ამბავი სოფლისათვის უხარებია. მთელი სოფელი შეკრებილა. ხალხის სიხარულს საზღვარი არ ჰქონია. კახანისათვის გამარჯვება მიულოცავთ. შემდეგ ანდერიანში წასულან, გაუთხრიათ დიდი საფლავი და გველეშაპი შიგ ჩაუგდიათ, ზემოდან მიწა და ქვები დაუყრიათ.

ლატალს ლხინი გადაუხდია. სოფელი ლახოშდი კახანისათვის უჩუქნიათ. კახანიც იქ დამკვიდრებულა. სოფელს „ლახოშდი“ იმის მერე შერქმევია. ანდერიანის ველი ლატალელების კუთვნილებად გამოცხადებულა, რადგანაც გველეშაპის მკვლელი ლატალელი იყო. ხალხმა კახანის კათხა და სადღეგრძელო ტრადიციად დაამკვიდრა, რაც ლატალში დღემდე ძალაშია. გვიანობამდე კახანის სადღეგრძელოს ლენჯერშიაც სვამდნენ. კახანის შთამომავალი ჩამგელიანები სოფ. ლახოშდში დღემდე ცხოვრობენ“.

ანდერიანის მინდორი შედარებით უფრო ვრცელია, ამიტომ ლატალსა და ლენჯერში მასთან დაკავშირებული ეპითეტებიც არსებობს, ამბობენ ხოლმე: ანდერიანისხელა ყური გაქვსო, ანდერიანისხელა მიწის ნაკვეთი გიჭირავსო და სხვ.

გადმოცემის ჩაწერის დროს, იქვე, ათიოდე სხვა მამაკაციც იჯდა, ისინი მთხრობელის ნათქვამს კვერს უკრავდნენ. როდესაც მთხრობელს ვკითხეთ, თუ რა იყო იმ ხეზე, რომელსაც გველეშაპი დარაჯობდა, 76 წლის ცნობილმა ოქრომჭედელმა ბესო იასონის ძე უდესიანმა მიპასუხა, არაფერი ვიციო, მაგრამ იქ მსხდომმა მამაკაცებმა დაუმატეს, რომ იმ ხეზე იდოო „უცხვ ლაირ“. ისიც თქვეს, ხეზე განძი იყოო. არავის უთქვამს ოქროს საწმისიო, მაგრამ მათ მიერ დასახელებული საგნების რაობა ოქროს საწმისის ცნებას უახლოვდება. მართალია, „უცხვ ლაირ“ სიტყვასიტყვით უცხოურ წიგნს ნიშნავს, მაგრამ სვანური გაგებით იგი ძვირფას წიგნს ეწოდება. ხოლო „განძს“ სვანები ოქროს ან ვერცხლს ეძახიან.

როგორც ჩანს, გადმოცემის შინაარსსა და „არგონავტიკის“ სვანურ ვარიანტს შორის სიუჟეტურ შეხვედრებს აქვს ადგილი. ამ თვალსაზრისის გარკვევის მიზნით მივმართოთ კონკრეტულ, შესაბამის ანალოგიებს.

გადმოცემის მიხედვით, ჰარაშის ჭალაში უზარმაზარ მუხას გველეშაპი შემოხვეოდა, ამასვე ვკითხულობთ ნაწარმოებშიც: „წმინდა ჭალაკის ბილიკს დაადგნენ და ფეხაკრეფით წავიდნენ წინა, რათა ეპოვათ უზარმაზარი ბებერი მუხა, რომლის თავზედაც ოქროს საწმისი ეკიდა, მაღლა, შესახედავად ღრუბელს რომ ჰგავდა“. წმინდა ჭალაკის ეპითეტით არესის ჭალის მოხსენიება იქ ოქროს საწმისის არსებობით უნდა იყოს განპირობებული. ეს გარემოება გვაფიქრებინებს, რომ ოქროს საწმისი ოქროზე მეტია, წმინდა განძია.

მთხრობელი ყოველთვის გველეშაპს ამბობდა. პოემაშიც უმეტესწილად გველეშაპი იხმარება. გადმოცემაში გველეშაპის მოკვლის თადარიგს ორი პიროვნება იჭერს. ნაწარმოებშიც ამდენივე ადამიანი ასრულებს ამ საქმეს: კერძოდ, იაზონი და მედეა.

გადმოცემის მიხედვით, გველეშაპი ყოველთვის შუადღისას იძინებდა. ნაწარმოებში კი მას მედეა აძინებს: „...სამსალის სუნმა საზარელ ურჩხულს ძილი მოჰგვარა დაუძლეველი... კვლავ გაიშალა ურიცხვი რგოლი ფორეჯებიან გველეშაპისა და დაკლაკნილი მისი სხეული მთელი ჭალაკის სიგრძეზე გაწვა“ (აქაც და ქვემოთაც ვიმოწმებთ წიგნს: აპოლონიოს როდოსელი, „არგონავტიკა“, თბ., 1975, 160).

პოემაში იაზონი მძინარ ურჩხულს ოქროს საწმისს ჰპარავს, იგი არ კლავს მას. მითის მეორე ვარიანტში იაზონი კლავს ურჩხულს: „მაგრამ იაზონმა არ იცოდა, რა იყო შიში, მან ორივე ხელით მაღლა აღმართა მახვილი და კისერზე სამჯერ დაჰკრა ურჩხულს. უკანასკნელი დარტყმის დროს სამივე თავი მოსცილდა სხეულს“.

არესის ველზე ხარების მოხსენიებასთან დაკავშირებით საგულისხმოა ის ფაქტი, რომ ლატალელები და ლენჯერლები ხარებს გაზაფხულიდან შემოდგომამდე ჰარაშის მიდამოებში ტოვებენ მწყემსის გარეშე. ამ ხნის განმავლობაში ველურ და მდიდარ ბუნებაში პირუტყვი იმდენად ლაღდება და უდიერდება, რომ მას შიშით გარეული ნადირიც ვერ ეკარება.

გადმოცემაში ნათქვამია, რომ კახანმა ხალხს უფლება მისცა, შორიახლო, გორებიდან ეყურებინათ გველეშაპის მოკვლისათვის. ნაწარმოებშიც თითქმის ანალოგიურ ფაქტთან გვაქვს საქმე. აიეტი თავის ხალხთან ერთად ადის არესის ჭალაში საგმირო საქმის საყურებლად: „არგონავტებმა ნახეს გემიდან კოლხი ხალხი და მრისხანე მეფე: კოლხნი კავკასიის კლდეებზე იდგნენ“.

გადმოცემის მიხედვით, კახანს მოწამლული ისრები ჰქონდა. პოემაშიაც იგივე მეორდება: „ამასობაში მედეასაგან დარიგებულმა ეზონის შვილმა გახსნა თავისი „პრომეთეს ფესვი“, გრძნეულ ქალწულის ჯადო-წამალი ფრთხილად წაუსვა მძიმე შუბ-ლახვარს, წაუსვა თავის ფარსა და ხმალსა“ (გვ. 151).

წარსულში რომ სვანები ისრებს რაღაც წამალს უსვამდნენ, ამის შესახებ სრულიად გარკვევით გვაუწყებს სტრაბონი (ძვ. წ. 64, ახ. წ. 24): „...სვანები (ისრის) წვერებისათვის წამალს ხმარობდნენ და საოცრად იტანჯებოდნენ მისი სუნისა გამო მოუწამლავი ისრებით დაჭრილებიც კი“. როგორც „არგონავტიკის“ ავტორი გვამცნობს, ამ წამალს „პრომეთეს ფესვი“ ეწოდებოდა. სვანების გადმოცემით, ეს წამალი იელის ყვავილისაგან მზადდებოდა. „პრომეთეს ფესვი“ ანუ „ამირანული ბალახი“ ნანახია მხოლოდ და მხოლოდ სვანეთში (იხ. მ. შენგელია, „ძიებანი ქართული მედიცინის ისტორიიდან“, თბ., 1981, გვ. 56-59).

პოემაში არგონავტებს აიეტმა მისცა იაზონის მეგობარ კადმოსის მიერ მოკლული გველეშაპის ჯადო-კბილები, რომლებიც არესის ველზე უნდა დაეთესათ. ეს გველეშაპი კადმოსს სწორედ არესის ჭალაში მოუკლავს, რის შემდეგაც იქვე დამკვიდრებულა. აი, როგორ იკითხება ეს ეპიზოდი პოემაში: „ეს გველეშაპი აონიისა არესის წყაროს იცავდა უწინ.

სახელოვანი კადმოსი მაშინ ევროპას, თავის დას დაეძებდა.

და ოგიგიის მთებს მისულმა იმ შორეულ და უცხო მხარეში, არესის წყაროს დარაჯად მდგარი, ის ზარდამცემი ურჩხული მოკლა.

იქვე დამკვიდრდა მაშინ კადმოსი, რადგან იქ დაწვა ის წმინდა ძროხა, რაც აპოლონმა მისცა, უმისნა — სადაც გაჩერდეს, იქ დასახლდიო“ (გვ. 149).

ეს ეპიზოდი მრავალმხრივაა საინტერესო. მითის მიხედვით, სადაც ძროხა დაწვებოდა, კადმოსიც იქ უნდა დაფუძნებულიყო. სვანეთის ზოგიერთ დასახლებასა და ეკლესიის დაარსებას ანალოგიური სარჩული უდევს საფუძვლად. პოემის მიხედვით, კადმოსმა ურჩხული მოკლა არესის ჭალაში, აონიის ველზე. გადმოცემის მიხედვით, კახანმა გველეშაპი მოკლა ჰარაშის ჭალაში, ანდერიანის ველზე. პოემის მიხედვით გველეშაპი არესის წყაროს დარაჯობდა, გადმოცემის თანახმად კი — ჰარაშის მიმდებარე ლახოშდის მჟავე წყალს. კახანის პირობაში, უპირველეს ყოვლისა, ნათქვამია, რომ ლახოშდის წყაროს დალევის უფლება პირველად მათი ოჯახის საქონელს ჰქონებოდა (საქონელი, რომელიც მჟავე წყალს სვამს, განსაკუთრებით სუქდება). ნაწარმოების მიხედვით, კადმოსი ურჩხულის მოკვლის შემდეგ იქვე მკვიდრდება. კახანიც იქვე, ჰარაშის მიმდებარე სოფელ ლახოშდში დამკვიდრდა, რომელიც გველეშაპის მოკვლისათვის აჩუქეს მას.

არანაკლებ საინტერესოა იაზონისა და კახანის მოქმედების ზოგიერთი სიუჟეტური დამთხვევაც. მაგალითად, იაზონმა რძე მოითხოვა, რომელიც არგოსმა მოუტანა: „რძეც მოუტანა, დანარჩენი კი გემზე აიღო და გაიმზადა“; კახანმაც შავი ძროხის რძე მოითხოვა. იაზონმა იქვე ანკარა წყაროში იბანავა და „შეიმოსა შავი სამოსით“. კახანმა კი რძეში იბანავა და ტანისამოსი გამოიცვალა.

პოემისა და გადმოცემის სიუჟეტური დამთხვევები და მათი შედარებითი ანალიზი მით უფრო საგულისხმოა, რომ „არგონავტიკის“ სვანური ვარიანტი დაკავშირებულია კოლხეთის იმ ნაწილთან, სადაც ოქრო მოიპოვებოდა.

საგულისხმოა, შემდეგი ფაქტიც: გადმოცემაში **სამი** ციფრია გაკულტებული: სამსაფეხურიანი კიბე, სამ დღეს ებრძოდა კახანი გველეშაპს: **სამ-სამჯერ** ესროდა ყოველდღე. ვ. და ლ. უსპენსკების „ოქროს საწმისშიც“ ანალოგიური ფაქტი მეორდება: „ურჩხულის **სამი** თავი სამ კლდესავით ეგდო ქერცლიან თათებზე“. ან კიდევ: „იაზონმა მაღლა აღმართა მახვილი და კისერზე **სამჯერ** დაჰკრა ურჩხულს“ (გვ. 76).

ეროვნული ბიბლიოთეკა

რა შეიძლება ითქვას გადმოცემაში მოხსენიებული ტოპონიმებისა და გვარ-სახელების შესახებ? აღნიშნული გეოგრაფიული სახელები დღესაც იხმარება. ისინი სვანური ენის საფუძველზე განმარტებას ექვემდებარებიან. ჰარაშ სვანურად ნიშნავს ადგილს, სადაც რაღაცა დაყარეს. ჰარა დაყრას ჰქვია, ხოლო — აშ სვანურში კუთვნილების აღმნიშვნელი სუფიქსია. ეს ტოპონიმი შეიძლება მეორენაირადაც აიხსნას, კერძოდ, ჰარ-ში გეოგრაფიულ სახელში ფუძე უნდა იყოს „ჰარი“ (ი ხმოვანი — აშ სუფიქსის დართვის შედეგად შეიკვეცა), რაც საბას განმარტებით არის „ხართ შერისხვა“ (იხ. ზემოთ). — აშ სვანურში კუთვნილების აღმნიშვნელი სუფიქსია. „ჰარაშ“ მაშინ ნიშნავს „ხართ შერისხვის ადგილს“. როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, ჰარაშში ზაფხულობით ხარებს უშვებდნენ შემოდგომის დადგომამდე.

ანდერიანის მინდორთან დაკავშირებით მ. ჩართოლანი წერს: „ადერიანიშის გზაზე, სადაც ქვების გროვაა, მთაში მიმავალი კაცი ილოცება და წკნელს დებს“ (მ. ჩართოლანი, ჩხუდანი — სვანური სახლის კერპი. კრებ. „სვანეთი“, თბ., 1977, გვ. 187). სწორედ ამ ქვების გროვაზე ამბობენ, რომ იგი გველეშაპის სასაფლაოა. ტოპონიმის გადმოცემაში მცირედი განსხვავებაა, მაგრამ ამას არსებითი მნიშვნელობა არ აქვს.

კახანის გვარია ჩამგელიანი. როგორც ითქვა, ეს გვარი დღემდე ცხოვრობს ლახოშიდში. სიტყვა „ჩამგენ“ სვანურად ჩაცილებას ნიშნავს. იქნებ აქედან იყოს ნაწარმოები ეს გვარი? კახანის გამცილებელ-ჩამცილებელი იყო მისი ძმა ჯახუ. თუ ეს ასეა, მაშინ ჩამგელიანთა ოჯახის ეპონიმი „ჩამგელიშა“ უნდა ყოფილიყო.

როგორც გადმოცემაშია ნათქვამი, ლახოშდ სოფელს შეერქვა მას მერე, როცა იგი გველეშაპის მოკვლისათვის კახანს აჩუქეს. „ლახოშდ“ სვანურად საუფროსოს ნიშნავს.

საინტერესოა თვით კახანის სახელი. მეცამეტე საუკუნის „სვანეთის სულთა მატიანეში“ ლატალში ცხოვრობს გვარი კახიანი, ამჟამად ეს გვარი მხოლოდ მულახში გვხვდება, მაგრამ ისინი კახანის შთამომავლებად არ თვლიან თავს.

ლანწვალ ამჟამადაც ჰქვია იმ მთას, საიდანაც გადმოცემის მიხედვით, ჯახუ კახანს ეხმარებოდა. ტოპონიმი ასე დაიშლება: ლანწვალ. ლა — სვანურში მაწარმოებელი სუფიქსია, ქართული სა-ს ბადალი. „ნწვალ“ ძირში ლა — პრეფიქსის დართვის შემდეგ მოხდა ა ხმოვნის რედუქცია. ნაწვალ, ანუ ნაწვარ სვანურად შესაწევარს ნიშნავს. გადმოცემის თანახმად, კახანისათვის შესაწევარს მართლაც ამ მთაზე მოუყარეს თავი (ერთი კარდალა შავი ძროხის რძე, გამოსაცვლელი ტანისამოსი და ა. შ.).

არგონავტიკიდან საყურადღებოა ერთი ადგილიც, კერძოდ, როცა მედეას თავისი და ქალკიოპე შვილების გადარჩენას სთხოვს:

„...მაგრამ ცასა და მიწას გაფიცებ, რომ რასაც ახლა მოისმენ ჩემგან, ჩვენ შორის დარჩეს და, ჩემი დარდის თანაზიარი იყავი შენცა“ (გვ. 136). ცისა და მიწის დაფიცების ტრადიცია სვანეთში დღემდე ძალაშია. აი, როგორი კომენტარი აქვს ამ ადგილს სქოლიოში გაკეთებული: „აპოლონიოსი გარკვევით გვიმოწმებს, კოლხთა მთავარი, უზენაესი და უსაშინლესი საფიცარი ურანოსი და გეა ყოფილაო დასაბამიდან, ე. ი. ცა და მიწა“. ეს ფაქტი შინაარსითაც და ეტიმოლოგიურადაც ისევ უძველეს ქართულში — სვანურში დასტურდება: გიმგეა, ღმერთების დედათა დედა; „გიმი ლამზურ ღურმეთ (ღერბეთ)“ — მიწის სალოცავი ღმერთი — დღემდე მტკიცედ შემორჩენილი წარმართული საფიცარია. ამას ემატება მეორე მნიშვნელოვანი დეტალი: ცასა და მიწას სვანი ერთად ფიცულობს ხოლმე: „დეცეგიმი ლამზურლო“ — ცისა და მიწის მადლმა. ამით დასტურდება კოლხური ფიცის პოპულარობაც ძველ საბერძნეთში“ (ხაზგასმა ყველგან ჩვენია, — თ. მ.).

საინტერესოა ის ფაქტიც, რომ გადმოცემის მიხედვით, ხეზე თითქოს „უცხვ ლაირ“ — უცხოური წიგნი ინახებოდა. ამ შემთხვევაში „ხრისოგრაფიული“ დამწერლობის ნიმუშთან შეიძლება გვქონდეს საქმე. „ხრისოგრაფიული“ ქართული მწიგნობრობის არქაული ეპოქის შესახებ საგულისხმო ცნობა აქვს ახ. წ. II-III საუკ. ავტორს ხარაქს პერგამელს, რომელიც წერს, რომ „ოქროს საწმისი“, ეს არისო „ოქროს დამწერლობა“, ანუ „ხრისოგრაფია“, ე. ი. განსაკუთრებული ხელოვნება ოქროს ასოებით წერისა. წიგნები ოქროს ასოებით წერისა აღწერილი იყო ტყავებზე და რომ არგონავტებმა ამ მეტად მნიშვნელოვანი ხელოვნების შესათვისებლად იმოგზაურესო საბერძნეთიდან კოლხეთში. ამ თვალსაზრისთან დაკავშირებით საინტერესოა, რომ ეგვიპტური წარმოდგენების მიხედვით, ოქროს ერკემალს ენაცვლება „ჯადოსნური წიგნი“, რომელიც ინახება მეფის ასულთან, ან თვით ხელმწიფესთან.

სასურველია ე. წ. ანდერიანის მინდორში იმ ყორღანს გათხრა, რომელსაც თქმულება გველეშაპის სასაფლაოდ მიიჩნევს. შესაძლოა, ჰარაშის საიდუმლოებას ამით ფარდა აეხადოს.

ოქროს საწმისზე არსებულ მითთან დაკავშირებით საყურადღებო გადმოცემა არსებობს სამეგრელოშიც (იხ. ჟურნ. „განთიადი“, 19). უფრო მეტიც, მეცნიერულად დადგენილია მედეას ბაღის არსებობა, სხვადასხვა ბალახებისაგან მის მიერ წამლების დამზადების ხალხური წესები, ტრადიცია და ა. შ. ანალოგიური რამ აფხაზურ ფოლკლორში არ დასტურდება.

საგულისხმოა მეორე ფაქტიც: კოლხეთის ძველი სახელწოდება იყო აია. აია ძველი მცირეაზიური ქალ-ღვთაებაა. იგი დასტურდება შუმერებში, ხეთებში, ურარტუელებსა და კოლხეთში. სვანეთში დღემდე შემორჩა აია-ს („აია-მიშლადედ“) კულტი. სვანეთში ივლისის ერთ კვირადღეს ქალების გარკვეული ჯგუფი საგანგებოდ მიჩნეულ ადგილას ატარებს ლოცვას, რომელიც ეძღვნება აიას. აია იყო მიწათმოქმედებისა და მიწისქვეშეთის ქალ-ღვთაება. სამეგრელოში აიაობა იმართება აღდგომამდე ორი კვირით ადრე.

მაშასადამე, სვანებსა და მეგრელებში დღემდე შემორჩა ხსოვნა მითისა ოქროს საწმისისა და ძველკოლხურ ღვთაება აია-ს შესახებ, რომლის სახელსაც თვით ეს მხარე ატარებდა. ანალოგიური რამ აფხაზურ სინამდვილეში არ დასტურდება.

საყურადღებოა ისიც, რომ სვანეთში ნანახია 300-400 გრამიანი ოქროს ვერძები. ბერძენი და რომაელი ავტორები პირდაპირ მიუთითებენ იმაზე, რომ ოქროს საწმისი სვანეთთან არის დაკავშირებული. ენგურის ხეობაში ოქროს მოპოვება უძველესი დროიდან დღემდე გრძელდება.

აფხაზებისათვის ოქროს მოპოვებისა და დამუშავების ტრადიცია უცხოა.

ამგვარად, არსებობს ოქროს საწმისის შესახებ მითის ადგილობრივი ქართული (სვანურ-მეგრული) ვარიანტი, მაგრამ არ არსებობს არავითარი აფხაზური ვარიანტი. სვანურსა და მეგრულში დღემდე შემორჩა რწმენა ქალღვთაება აიასადმი. აია ერქვა კოლხეთს არგონავტების აქ მოსვლის დროს. ტერმინი კოლხი და კოლხიდა ბერძნულ წყაროებში ჩნდება უფრო გვიან, კერძოდ, ძვ. წ. VIII-VI ს.ს. ამ დროიდან აია-ს დაემატა „კოლხეთი“ და უკვე წერდნენ არა მხოლოდ „აია“-ს, როგორც ეს ჰომეროსის ნაწარმოებშია, არამედ „აია-კოლხეთს“. ამ სახელწოდებაში აირეკლა ქვეყნის ძველი და ახალი სახელები. ნიშანდობლივია, რომ აფხაზურში არც აიას კულტი არ დასტურდება.

მაშასადამე, აია-კოლხეთის უძველესი მოსახლეობა, ცხადია, იყო ის ხალხი, რომელმაც დღემდე შემოინახა არგონავტების მითთან დაკავშირებული ფაქტები — წერილობითი ცნობების, თქმულება-გადმოცემებისა და ნივთიერი ძეგლების სახით. ეს ერთხელ კიდევ ცხადყოფს ტურჩანინოვისა და მისი მიმდევრების ცრუმეცნიერულ, ყოვლად გაუმართლებულ შეხედულებებს, ისტორიული სინამდვილისადმი ფალსიფიკატორულ დამოკიდებულებას.

თეიმურაზ მიბჩუანი

# საქართველოს სახალხო ფრონტის აფხაზეთის რეგიონალური ორგანიზაციის გამგეობის განცხადება

ქართული ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა თავისი განვითარების ძალზე რთულ და წინააღმდეგობებით აღსავსე სტადიაში შევიდა. მხოლოდ ძალთა სრული კონსოლიდაცია, ერის ინტერესების ვიწრო პარტიულ, მით უმეტეს, პირად ინტერესებზე მაღლა დაყენება, ერთობლივი ხელიხელჩაკიდებული ბრძოლა საქართველოს დამოუკიდებლობისათვის და არა საკუთარი პარტიის „ავანგარდული“ როლისათვის, ურთიერთპატივისცემა და მიმტევებლობა გამოიყვანს ეროვნულ მოძრაობას გაჭიანურებული კრიზისიდან. პარტიებს შორის „ურთიერთობების გარკვევას“ მოვასწრებთ დამოუკიდებელ საქართველოში.

კრემლი, თავის ადგილობრივ აგენტურასთან ერთად, არც ისე უშედეგოდ ცდილობს განხეთქილება შეიტანოს ეროვნულ მოძრაობაში, დაუპირისპიროს ერთმანეთს პოლიტიკური პარტიები და ამ ნაცადი ხერხით გაუხანგრძლივოს არსებობა სულთმობრძავ იმპერიას. ითვალისწინებდა რა ამ გარემოებას, სახალხო ფრონტი პრინციპულად არ ებმებოდა სუკ-ის მიერ თავსმოხვეულ დისკუსიაში, უპასუხოდ ტოვებდა ცილისმწამებლურ გამოხდომებს მის წინააღმდეგ. ასე მოვიქცევით მომავალშიც, გამონაკლისი დაშვებულია მხოლოდ „ოქროს საწმისის“ ამ ნომერში, და ეს იმისათვის, რათა გამოააშკარაონ პროვოკატორები.

ამასთანავე, ამ განცხადებით გამგეობას სურს განმარტება მისცეს აფხაზეთის საზოგადოებრიობას, რომლის გარკვეული ნაწილი პატივცემული ანზორ გვარამიას ნაცოდვილარი წერილების გამოქვეყნების („საბჭოთა აფხაზეთი“, „სამრეკლო“) შემდეგ დაჟინებით მოითხოვს „მოღალატის“ დასჯას, საჯაროდ გაკიცხვას (ჩვენ წინააღმდეგი ვართ მეგობრებისათვის სხვადასხვა იარლიყების მიწებების და საერთოდ პოლიტიკური ბრძოლის ბინძური ბოლშევიკური მეთოდების გამოყენებისა).

რას „გვერჩის“ ბატონი ანზორი?

მისი აზრით, დამოუკიდებლობის მოპოვების ერთადერთი სწორი გზაა ეროვნული დაუმორჩილებლობა, რაც ფორუმმა აირჩია. „საქართველოს კომპარტია, სოციალ-დემოკრატია და სახალხო ფრონტი, — წერს ჩვენი ოპონენტი, — ადგანან დამოუკიდებლობის აღდგენის საბჭოური პარლამენტარიზმის გზას“. ეს უხეში ცილისწამებაა. სახალხო ფრონტს არაფერი აქვს საერთო კომპარტიის ცნობილ ეროვნულ პლატფორმასთან და სოციალ-დემოკრატების პოლიტიკასთან. ამასთანავე ვაცხადებთ, რომ საბჭოური პარლამენტური გზა სახალხო ფრონტს მიაჩნია დამოუკიდებლობის აღდგენის არა ერთადერთ, არამედ ერთ-ერთ გზად და კონკრეტული პოლიტიკური სიტუაციის გათვალისწინებით სულაც არ გამორიცხავს ბრძოლის სხვა ნებისმიერ მეთოდს, მათ შორის ფორუმისეულსაც.

წერილს „რას ვერჩი სახალხო ფრონტს“ ბატონი ანზორი ასე ამთავრებს: „მაშ მოდით, ყველანი საქართველოს ეროვნული ფორუმის დროშის ქვეშ დავირაზმოთ“. აღნიშნულ წერილს ჯერ კიდევ სტამბური საღებავის სუნი ასდიოდა, როდესაც ჰელსინკის კავშირი, რომლის წევრიც პატივცემული ანზორი ბრძანდება, გავიდა ფორუმიდან და ეს უკანასკნელი, ჩვენი აზრით, დაუმსახურებლად, ანტიეროვნულ ორგანიზაციად გამოაცხადა. მისასალმებელია, რომ სხვა პოლიტიკურ პარტიებთან ერთად ჰელსინკის კავშირმა ჩამოაყალიბა „მრგვალი მაგიდა“, შეიმუშავა რეალური პოლიტიკური კონცეფცია, რომელიც მთლიანად არ ემთხვევა, მაგრამ ძალიან უახლოვდება სახალხო ფრონტის პოზიციას. ამის შემდეგ რა ფასი აქვს ფორუმის ქებასა და სახალხო ფრონტის ლანძღვაში დახარჯულ სიტყვებს? — არავითარი. აი, რატომ არაა საჭირო აჩქარება, თუ არ გინდა აღმოჩნდე უხერხულ მდგომარეობაში, ძალაუნებურად წამოეგო მტრის ანკესზე.

გამგეობა კატეგორიულად აცხადებს, რომ მას არასოდეს მიუღია მონაწილეობა რაიკომის მდივნების დანიშვნაში, არ წამოუყენებია არც „მელიების“ და არც „ტურავების“ კანდიდატურები. ვგმობთ საკადრო საკითხების გადაწყვეტისას ჩვენი ორგანიზაციის სახელით შრომითი კოლექტივების უფლებებში ჩარევას; გვაქვს უტყუარი მონაცემები იმის შესახებ, რომ ცალკეული პირები, რომლებსაც სახალხო ფრონტთან კავშირი არა აქვთ, ფრონტის სახელით დადიან წარმოება-დაწესებულებებში, „აგვარებენ“ იქ საკადრო საკითხებს, ეწევიან ფულის გამოძალვას „ერის საქმისათვის“. ცნობებს ასეთი ფაქტების შესახებ ზოგიერთი არაფორმალური გაერთიანება უფრო ადრე იღებს, ვიდრე ჩვენ (?). ესეც დამაფიქრებელი ნიუანსია... ვიღაცას (არა მარტო მთავრობას) ხელს აძლევს სახელი გაუტეხოს სახალხო ფრონტს და ამავე დროს ცდილობს ჯიბეც გაისქელოს.

როდესაც საკადრო პოლიტიკაზე ვლაპარაკობთ, არ შეიძლება არ გავითვალისწინოთ ის გარემოება, რომ აფხაზეთი არაა თბილისი ან ქუთაისი, სამეგრელო ან კახეთი. ჩვენთან საკადრო პოლიტიკა (განსაკუთრებით ხელისუფლების ზედა ეშელონების დაკომპლექტებისას) მჭიდროდაა დაკავშირებული ეროვნული სამართლიანობის, თუ გნებავთ, ქართველი ხალხის უშიშროების დაცვის საკითხთან, ამიტომ ცალკეულ შემთხვევებში საკადრო პოლიტიკაში ჩარევა აუცილებელიც ხდება აფხაზეთში. იგივე ითქმის სამაჩაბლოზეც, რის შესახებ სამართლიანად მიუთითეს მერაბ კოსტავას საზოგადოების პირველ ყრილობაზე („სარანგი“, № 1).

იმავე ყრილობაზე ბატონმა ზვიად გამსახურდიამ ახლადშექმნილ საზოგადოებას ერთ-ერთ მთავარ ამოცანად დაუსახა მძიმე ეკონომიკურ მდგომარეობაში მყოფი მოსახლეობისათვის დახმარების აღმოჩენა, ხოლო მერაბ კოსტავას საზოგადოების ერთ-ერთმა აქტივისტმა იქვე განაცხადა, რომ „საზოგადოებამ იკისრა დაეხმაროს ქართველ მოსახლეობას სოციალური და ეკონომიკური საკითხების მოგვარებაში“. არც ერთ ნორმალურ ადამიანს აზრადაც კი არ მოუვა უსაყვედუროს მერაბ კოსტავას საზოგადოებას სოციალურ-ეკონომიკური საკითხების მოგვარებაში აქტიური მონაწილეობის სურვილისათვის. გაუგებარია, რატომ გვიკრძალავს ბატონი ა. გვარამია შეძლებისდაგვარად მივხედოთ ჩვენს დაბეჩავებულ თანამემამულეებს? რაში უშლის ხელს ასეთი საქმიანობა საქართველოს დამოუკიდებლობისათვის ბრძოლას? — რა თქმა უნდა, არაფერში. მაშინ რაშია საქმე, ხომ არ შეაშინა ზოგიერთები სახალხო ფრონტის ავტორიტეტის ზრდამ? სიმართლეს ეს უფრო ჰგავს.

ჩვენმა კრიტიკოსებმა ყველა დასაშვებ ზღვარს გადააჭარბეს, როდესაც სახალხო ფრონტს გადააბრალეს აფხაზეთში ერებს შორის შუღლის ჩამოგდება (?!), წარმოება-დაწესებულებების ეროვნული ნიშნის მიხედვით დაყოფა (?!) და ა. შ. ეს უკვე მეტისმეტია, ბატონებო! მხოლოდ გაბოროტებულ ქართველს შეეძლო ასე უსაფუძვლოდ დაებრალებინა ქართველისათვის ეროვნებათაშორისი ურთიერთობის გამწვავება აფხაზეთში. სხვათა შორის, იგივე ბრალდებებია წამოყენებული (ფაქტიურად ქართველების მიმართ) საქართველოს კომპარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის ბიუროს მიერ („საბჭოთა აფხაზეთი“, 1990, 20 აპრილი) და აგრეთვე ბატონ ვ. ხიშბას გამოსვლაში საქართველოს კომპარტიის XXVIII ყრილობაზე. ხედავთ, მეგობრებო, სანამდე დაეცა ზოგიერთი „ეროვნული მოღვაწე“?

წერილს „რას ვერჩი სახალხო ფრონტს“ ა. გვარამია შემდეგნაირად იწყებს: „ეროვნულ მოძრაობაში შეცდომების გარეშე მოღვაწეობა მეტად ძნელია. უშეცდომონი ერთეულებია. ჩვენი მიზანია, რაც შეიძლება ნაკლებად შევცდეთ. სამწუხაროდ, ჩვენ გვაჭირს ძველი შეცდომების აღიარება. ამის მიზეზი კი ჩვენი ამბიციურობაა“. სწორი, სავსებით სწორი სიტყვებია, ოღონდაც ამ სიტყვებით ბატონ ანზორ გვარამიას უნდა მიემართა საკუთარ თავისათვის. ვიმედოვნებთ, იგი საკუთარი თავისა და ახლო მეგობრების წინაშე გულწრფელად აღიარებს დაშვებულ უხეშ შეცდომას და ამიერიდან ხელს აიღებს სახალხო ფრონტის, მისი პოპულარული გაზეთის „ოქროს საწმისის“ დისკრედიტაციის მცდელობაზე.

გამგეობა აცხადებს პროტესტს იმის გამო, რომ ადგილობრივი ოფიციოზის რუპორმა „საბჭოთა აფხაზეთმა“ თავისი გვერდები დაუთმო საქართველოში ცნობილი პოეტის, შესანიშნავი მოქალაქის, საქართველოს სახალხო ფრონტის აფხაზეთის რეგიონალური ორგანიზაციის გამგეობის წევრის, „ოქროს საწმისის“ რედაქტორის ღრმად პატივცემული ჯანო ჯანელიძის შეურაცხმყოფელ, ცილისმწამებლურ წერილებს.

დაბოლოს, საზოგადოებრიობას გვინდა ვუთხრათ, რომ სახალხო ფრონტის აფხაზეთის რეგიონალური ორგანიზაცია, რომელიც აერთიანებს 5 ათასამდე წევრს, ყველაფერს აკეთებს იმისათვის, რომ გაამართლოს თავისუფლებისათვის მებრძოლი ქართველი ხალხის ნდობა, დაიცვას ერის სასიცოცხლო ინტერესები. იგი აპირებს ახალი წესდების საფუძველზე გარდაქმნას თავისი საქმიანობა, გაწმინდოს საკუთარი რიგები შემთხვევითი ადამიანებისაგან.

გაუმარჯოს დამოუკიდებელ საქართველოს!

გაუმარჯოს ქართველი ხალხის ერთიანობას თავისუფლებისათვის ბრძოლაში!

# ლექსიკა განსჯისათვის

ამ ამონაწერის წამკითხველებს ძალაუნებურად გაახსენდებათ ინგლისელი მეცნიერის ჯ. ჰიუიტის ღია წერილი ქართველებისადმი და მისი „უარგუმენტო, დაუინებული" მტკიცებანი, თითქოს მეგრული ენა ვალში იყოს აფხაზური ენის წინაშე, რომ მხოლოდ ცალმხრივია და შეუქცევადი ამ უკანასკნელის გავლენა პირველზე და ამის საფუძველზე დასკვნა, რომ შავი ზღვის პირად აბორიგენები აფხაზები არიან და არა ქართველები. აქ მოცემული ცხრილიდან პირველ-მეორე კლასელი მოწაფეც კარგად გაარჩევს ამ გავლენათა სფეროს და იმას, ვინ ვის ვალშია. ჩვენ არავითარი ვალის გადახდას არ მოვითხოვთ, მაგრამ ბოლოსდაბოლოს ეს აშკარა და სხვა ცილისწამებანი ხომ უნდა შეცვალოს საღმა მეცნიერულმა მსჯელობამ და განჯამ?!.

გადაავლეთ თვალი ცხრილს, ჰიუიტი, ჰიუიტია, მაგრამ ფაქტი ჯიუტია.

გთავაზობთ ამონაწერს წიგნიდან: ა. ჟოჟუა, რჩეული თხზულებები, თბილისი, „მეცნიერება", 1987.

შემდგენლები: ტ. ა. ჟოჟუა, ვ. ვ. დარასელია, ხ. ს. გლაჟბა,

რეცენზენტი: ისტორიულ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ა. ე. კუპრავა.

რედაქტორები: ზ. ა. ძიძარია, ი. ვ. მეგრელიძე.

| აფხაზური | მეგრული | ქართული |
| --- | --- | --- |
| 1. აჭაჭა | ჭაჭა | თირკმელი |
| 2. აყირყი | ყორყელი | ყელი |
| 3. აფანა | ფაჭაჭი | ნვერი |
| 4. ასკამი | სკამი | სკამი |
| 5. აკარუათ | კრავოტი | ლოგინი |
| 6. აკამოდ | კამოდი | — |
| 7. აშკაფი | შკაფი | კარადა |
| 8. აკუალაფ | კოლოფი | — |
| 9. აჩანიკი | ჩაინიკი | ჩაიდანი |
| 10. აუედრა | ვედრა | ვედრო |
| 11. აჩუან | ჩუანი | ქვაბი |
| 12. აჩაშკა | ჩაშიკა | თასი |
| 13. ალრაფინი | ღრაფინკა | სურა |
| 14. ასამუარ | სამუვარი | სამოვარი |
| 15. აჟიამი | ჟამი | — |
| 16. აკუათანი | ოკვათალი | გუთანი (საჭრელი) |
| 17. აჩალტ | ჩერტი | ჩელტი |
| 18. ანირკანტი | ნირკანტი | ნერაქვი |
| 19. ამარკატილი | მარკატილი | მაკრატელი |
| 20. ადალაქი | დალაქი | — |
| 21. ამაგანა | მაგანა | ნამგალი |
| 22. ახიარხ | ხორხი | ხერხი |
| 23. აჩარხი | ჩარხი | — |
| 24. აჭარხალი | ჭარხალი | — |
| 25. ანაშა (აკინტირი) სხვადასხვა ჟიშებზეა ლაპარაკი. | კინტირი | კიტრი |
| 26. აპირპილი | პირპილი | პიმპილა |
| 27. აბახჩა | ბაღი | — |
| 28. აგუარა (აფხაზურად ნიშნავს ღობეს). | აგუარა (მეგრულად ნიშნავს საძროხეს) | — |
| 29. აკამა | კამა | — |
| 30. აყუალმითა | ყვალმინთა | პიტნა |
| 31. აშინკა | შინკა | ნესვი |
| 32. აკილა | კილა-კონა | კონა |
| 33. აკაბა — მამაკაცის ჩოხა-ახალუხს ეძახიან | ლართიდო კაბა ჩოხა-ახალუხი | |
| 34. აჟიბა | ჟიბე | — |
| 35. აფაჩიჩი | ფაჩიჩი | ფოსტალი |
| 36. ახალათი | ხალათი | — |
| 37. აიფკა | იფკა | ქვედანელი ქალის |
| 38. აგურშტრა | გურიშტი | გვირისტი |
| 39. აკუალაფი | კოლოფი | — |
| 40. ასაათი | საათი | — |
| 41. აყაითან | ყაითანი | — |
| 42. აუადა (აუათახი) | ოდა (ოთახი) (ბოძზე შემდგარი სახლი) | — |
| 43. აბალკუან (აგარნა) | ბალკონი აგარნა | აივანი |
| 44. აფეჩქი | ფეჩქი | ღუმელი |
| 45. აბარკუამ | ბორქომი | ბოქლომი |
| 46. აკიიბა | კიბე | — |
| 47. ახუჭი | ხუჭილი | მცირე, ვიწროდ მორგებული, პატარა |
| 48. აბალირ | ბელურა | — |
| 49. აყუარან | ყორანი | — |
| 50. აცილი | ცილი | კვერცხის ცილა |
| 51. აქაში | ქაში | — |
| 52. აცაკამგაშ | ხარკამეჩი | — |
| აჟვამბაში | ფუჯკამბეში | ფურკამეჩი |
| 53. ატამა | ატამა | ატამი |
| 54. აბია | ბია | კომში |
| 55. ანინინდრა | ნინინდარა | მარწყვი |
| 56. აპატირკალ | ფორთოხალი | — |
| 57. აკაკან | კაკალი | — |
| 58. ათერაზი | თერაზი | — |
| 59. ათაუად | თავადი | — |
| 60. აჰაჰიმ | ექიმი | — |
| 61. აკასაფი | კასაფი ყასაბი | ყასაბი |
| 62. აუაჭარ | ვაჭარი | — |
| 63. აჟვანი | ეჟვანი | — |
| 64. ადგილ | ადგილი მინა | — |
| 65. აჰაირი, აჰაუა | ჰაჟა, ჰაირა | ჰავა, ჰაერი |
| 66. ანაყუ | ანაყუ (მეგრულად ნიშნავს ბევრს) | ბევრი, უთვალავი |
| 67. აკირცხი | კირცხი | სეტყვა |
| 68. ადვიქიან | დუქანი | მალაზია |
| 69. აუახუამა | ოხვამე | ეკლესია |
| 70. აფოშთა | ფოშთა | ფოსტა |
| 71. აკალამ | კალამი | — |
| 72. აყამჩი | ქამჩა | — |
| 73. აკუუ | კუ | — |
| 74. აკიბეია | კიბოია | კიბო |
| 75. ამარიალ | მორიალე | მორიელი |
| 76. აყანჭ | ყანჭი | ჭია აბრეშუმის |
| 77. აფარფალიკ | ფარფალია | პეპელა |
| 78. ანირბელ | ნურბელა | — |

1. ქუჩას ამჟამად „აულიცა" შეარქვეს
2. მაგიდას — ასტოლ
3. წულებს — „ზიმაა"
4. მელანს — „აჩერნილა"
5. „გრძელი" — სიტყვის უქონლობის გამო „აუ"-ს იტყვიან ხოლმე, ე. ი. გრძელი — „აუ". კოდალას და გუგულს თითქმის ერთნაირად უწოდებენ

1. აკუკუ — გუგული
2. აწლარკუკუ — კოდალა

# კამათი საკუთარ თავთან

ვერა და ვერ გაიმართა თემიდა წელში, ისევ და ისევ ძალუმად დააბიჯებს ბოროტება, ისევ ძალაშია 1921 წლის 25 თებერვლის ტრაგედია. თებერვალი გაზაფხულის წინა თვეა და ბედნიერებას უნდა ამკვიდრებდეს, მაგრამ საქართველოსათვის თებერვალი გაზაფხულის კი არა, ავადმოსაგონარი საშინელების წინამორბედად მოგვევლინა.

მას შემდეგ იმძლავრა ძალადობამ, წესად იქცა ბოროტების ზეიმი, ტყუილებისა და ფარისევლობის იმპერია მრისხანე დემონად დაატყდა თავს საქართველოს. ამოულიტეს საღად მოაზროვნეთა მეტი თუ არა, 90 პროცენტი, სამხრეთული მზის ქვეშ ჰქვიანი კაცი დიოგენის ფარნით გაბადეს სამებარი. დაინგრა და განადგურდა კულტურულ ძეგლთა უდიდესი ნაწილი, დააქციეს ეკლესია-ტაძრები, სამლოცველოები, საკურთხევლები... მაუზერის ტყვიით დახვრიტეს წმინდა მამები, ალზევდა სატანა და პირისაგან მიწისა აღგავა ყოველივე ადამიანური, ღვთიური ლოცვა სამშობლოს ღალატად გამოცხადდა. გაუგონარი ბოროტება კაცთმოყვარეობის იარლიყით დაამკვიდრეს. ძალა აღმართს ხნავსო — გვასწავლის ქართული ანდაზა, ვინც ოდნავ რაიმე გაბედა და შეესიტყვა ბოროტებას, იმათ სიკვდილით გაუსწორდნენ. ყველგან და ყველაფერში შიშმა დაისადგურა.

ასე და ამრიგად დამყარდა საშინელი ბოლშევიკური რეჟიმი, რომლის უარესი კაცობრიობის ისტორიამ არაფერი იცის. განმკითხავი არავინ იყო!.. ვის, ვის სთხოვდი შველას?!.. ლენინს?!.. ვისი უშუალო ბრძანებითაც დახვრიტეს უწლოვანი ალექსი ნიკოლოზის ძე რომანოვი?..

არაპატიოსნურია ყველაფერში სტალინის დადანაშაულება და ლენინის ანგელოზის ფრთებით შემოსვა, როცა პირველი მეორის ნიჭიერი მოწაფე იყო და მისგან აითვისა სისასტიკისა და რეპრესიების მეთოდები. ხალხის ხოცვა „ხალხის მტრების" ნიღბით, ჯერ ერთი, იაკობინელებიდან მოდის და საფრანგეთის დიდი რევოლუციის მონაპოვარია. საბჭოთა სინამდვილეში ეს ტერმინი პირველად 1917 წლის 28 ნოემბერს გახმიანდა, როცა სახალხო კომისართა საბჭოს სხდომაზე ლენინმა წინადადება შეიტანა „პარტიის ცენტრალური კომიტეტის გამოჩენილი წევრების, ხალხის მტრების რევოლუციური სამხედრო ტრიბუნალის სასამართლოზე გადასაცემად". ლენინის ეს წინადადება ერთსულოვნად იქნა მიღებული, ერთადერთი სტალინი წავიდა წინააღმდეგი და აღნიშნული წინადადება ლენინისა უსამართლობად მიიჩნია. იგივე განმეორდა 1921 წლის კრონშტადტის აჯანყებისას. როცა პოლიტბიუროზე იხილებოდა აჯანყების ჩახშობის საკითხი, სტალინი მისი შტურმით აღების წინააღმდეგი გამოვიდა, რითაც ტროცკის სიტყვებით, უნიათობა გამოავლინა. აჯანყება სისხლში იქნა ჩახშობილი ლენინის წინადადებით, ტროცკის განკარგულებითა და ტუხაჩევსკის უშუალო ხელმძღვანელობით. არ დაინდეს თვით მშვიდობიანი მოსახლეობა და მათი სისხლი საგაზაფხულო ნაკადულებს უერთდებოდა.

ვრცელდება ცრუ აზრი, რომ ლენინმა არაფერი იცოდა ხალხის მასიური განადგურების შესახებ. ინებეთ საწინააღმდეგო: ლენინის წერილი გაგზავნილი 1922 წლის 11 თებერვალს სოკოლნიკოვისადმი, სადაც წერს: „საჭიროა რიგი სამაგალითო პროცესების ჩატარება ულმობელი ზომების გამოყენებით... ახალი ეკონომიური პოლიტიკა ახალ მეთოდებს, სასჯელის ახალ სისასტიკეს მოითხოვს".

არც ჰუმანური დარგის მოღვაწენი დაინდო ამ დიდმა „ჰუმანისტმა": „ისინი აშკარა კონტრრევოლუციონერები, ანტანტის დამქაშები არიან. მისი მსახურების და ჯაშუშების, მოსწავლე ახალგაზრდობის გამხრწნელების ორგანიზაციაა. საქმე ისე უნდა დავაყენოთ, რომ ამ „სამხედრო ჯაშუშებს" გამუდმებით, სისტემატურად ვიჭერდეთ და საზღვარგარეთ ვასახლებდეთ..." — წერს იგი 1922 წელს ძერჟინსკის პროფესორებისა და მწერლების შესახებ. თუ მეთვრამეტე-მეცხრამეტე საუკუნეებში პოლიტიკური მოტივით სულ სიკვდილით დასაჯა 56 კაცი, საბჭოთა ხელისუფლების წლებში მოისპო იმდენი ადამიანი, რამდენიც კაცობრიობას არ დაუკარგავს ყველა ომში, თვით მეორე მსოფლიო ომის ჩათვლით. აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ ლენინის ამ მოღვაწეობის წყალობით რუსეთის მოსახლეობა 1918-21 წლებში 15 მილიონით შემცირდა მაშინ, როცა თვით 30-იანი წლების ცნობილი შიმშილობის პერიოდში მისი მოსახლეობა მატულობდა. მოკლედ, ლენინმა თავისი რვა წლის გარჯის შედეგად იმდენი რამ გააკეთა, რომ „ხალხის მტრების" ულეტის ყველა რეკორდი მოხსნა და გინესის ცნობილ წიგნში ამოყო თავი. ასე რომ, სტალინი აქ არა ერთადერთი, არამედ ერთ-ერთი ფიგურაა იმ უბედური შემოქმედებისა, რასაც ადგილი ჰქონდა ჩვენს ქვეყანაში საბჭოთა პერიოდში. როცა ვლაპარაკობთ ამ უბედურებაზე, საჭიროა, ვილაპარაკოთ სისტემაზე და არა პიროვნებაზე.

## ვერ გამართა წელში თემიდა

თუ ჰიტლერმა დაარღვია თავდაუსხმელობის პაქტი ისეთი ვეებერთელა ქვეყნის წინაშე, როგორიც რუსეთის ბოლშევიკური იმპერია იყო, ეს სივერაგე მაინც ვერ მივა 1920 წლის 7 მაისის რუსეთ-საქართველოს თავდაუსხმელობის პაქტის უგულვებელყოფასთან.

და ბოლოს, საქართველოს ბედი ვეებერთელა იმპერიული გველეშაპის ხახაში შეაგდეს.

დღეს, როცა პირს წმენდენ ლენინს, რომ თითქოს ის მამა აბრამის ბატკანი იყო და ყველაფერი სტალინმა ჩაიდინა, არც ეს გახლავთ სწორი. არ მინდა, ეს ყველა დროისა და ყველა საუკუნის დიქტატორთა შორის სწორუპოვარი დიქტატორი გავამართლო, მაგრამ სტალინი რომ ლენინის საქმის აშკარა დამცველი და გამგრძელებელი იყო, ეს უცილოა. სტალინი რომ მარქსისტული უტოპიის კლასიკოსი და ლენინიზმის ბურჯი და ყველაზე თავგამოდებული დამცველი გახლდათ, აშკარა ჭეშმარიტებაა. სტალინი მარქსიზმ-ლენინიზმის გარდა არცერთ ფილოსოფიურ მიმდინარეობას არ ცნობდა. ანტიკური ხანის საკითხებსაც რომ შეხებოდი, მტკიცებას დაგიწყებდა, ყოველი მოძღვრება მარქსიზმ-ლენინიზმიდან უნდა გამოდიოდესო. აზროვნებაში ამაზე მეტად ძალადობის პოლიტიკის ზეიმი გაგონილა?!.

მე ვუკვირდები და ბევრსაც ვკითხულობ „პერესტროიკის" შემდეგდროინდელ პრესას, მაგრამ ჭეშმარიტება მაინც დუმს. ჭეშმარიტება ის გახლავთ, რომ არ ყოფილიყო სტალინური რეჟიმი, ჩვენი, დღევანდელი სისტემა არ იქნებოდა (სწორედ ამაზე არაფერს ამბობენ). მე არ მინდა სტალინის უდიდესი საბრძოლო-სამხედრო აზროვნებისა და მხედართმთავრული ნიჭის გაუფასურება, მაგრამ იმპერიაში შეიძლება მონახულიყო პიროვნება, რომელიც უარეს ომსაც მოიგებდა, მაგრამ არ შეიძლებოდა მონახულიყო კაცი, რომელიც შეძლებდა გაეტარებინა საკოლმეურნეო სისტემა ცხოვრებაში. „მიახლოებითი ცნობებით, 1930-33 წლების შიმშილობამ შვიდ მილიონამდე ადამიანის სიცოცხლე შეიწირა. ახლა ამას მიუმატეთ შვიდას ორმოცდაათი ათასი განადგურებული კულაკი და შეძლებული გლეხი. კიდევ რამდენიმე ათასი ადამიანი კულაკებთან ბრძოლას შეეწირა" (ვ. უსპენსკი). ასეთია ციფრობრივი მონაცემები. აბა, ვისთვის იყო საჭირო ეს საშინელება, რომლის ტოლფასი ტრაგედია ისტორიამ არ იცის?!

რეპრესიები რომ არა, სტალინი ვერც პირად ძალაუფლებას შეინარჩუნებდა და ვერც საკოლმეურნეო სისტემას გაატარებდა. შეიძლება აქ სტალინი იმდენად დამნაშავე არ არის, რამდენადაც ლენინური კონცეფცია სოციალისტური სახელმწიფოს შენების მარქსისტული უტოპიისა. დღეს იმდენად, რამდენადაც ვერ გამოვდივართ ამ ვერაგი სისტემის მარწუხებიდან, გარდაცვლილი ბელადების ძაგება ეფექტს არ იძლევა.

არის ერთი გზა, — რადიკალურად უნდა შეიცვალოს არსებული სისტემა, შელამაზებითა და კოსმეტიკით წინ ვერ წავალთ!

ფსევდოდემოკრატია ისევე უდღეურია, როგორც ბოლშევიკური იმპერია. ძალადობამ, ადამიანის ყოველგვარი უფლების ფეხქვეშ გათელვამ კატასტროფამდე მიგვიყვანა.

ადამიანში ჩაკლულია ინტერესი, ყველაზე ძლიერი საარსებო ფენომენი. 72 წელიწადი ბოლშევიკური რეჟიმი გეგმაზომიერად სპობდა პიროვნულ ინტერესს და მიაღწია კიდევაც ამას. დღემდე, თითქოსდა „გიგანტური" ნაბიჯებით წინსვლას ლენინს მიაწერდნენ, საკოლმეურნეო წესი თითქოსდა ლენინის, მარტო ლენინის იდეალური შემოქმედების პირმშო იყო. ახლა კი, როცა სამარდება საკოლმეურნეო სისტემა, ის თურმე მხოლოდ და მხოლოდ სტალინის გამონაგონი ყოფილა. საკოლმეურნეო წყობილებასთან შედარებით მე მონათმფლობელური წყობილება გაცილებით პროგრესული მეჩვენება, რადგანაც მონას მონათმფლობელი ასმევდა და აჭმევდა. საკოლმეურნეო წყობილების დროს კი (განსაკუთრებით დიდი სამამულო ომის წლებში) არავინ კითხულობდა, რას ჭამდი და საერთოდ ჭამდი თუ არა რამეს. მალე 36 წელი შესრულდება, სტალინი აღარ არის და რას ფიქრობს ბოლშევიკური იმპერია, ამ საკოლმეურნეო წყობილებას მაინც რომ აღარ ეშვება?!..

სწორედ საკოლმეურნეო სისტემამ მიიყვანა ქვეყანა კატასტროფამდე, მაგრამ ამ სისტემას დამცველთა სოლიდური არმია გააჩნია. კერძოდ, ვინ არიან ისინი? ვინც არასოდეს მუშაობდა ფიზიკურად, ვინც არ მუშაობს და არც აპირებს იმუშაოს და აუგად ხსენებული გათანაბრების სისტემის ნაძალადევ ლუკმას შესცქერის. ჯერ კაცობრიობა არ მისულა იმ შეგნებამდე, რომ ძმამ ძმისთვის იმუშაოს და თავისთავად ცხადია, რომ პეტრე ივანეს გასაკეთებელს არასოდეს გააკეთებს. დაინტერესება რომ შეუვალი ფენომენია, სადაო აღარ უნდა იყოს.

წერენ, სოციალიზმს 62 მილიონი ადამიანი შეეწირაო. საკვირველია, მაშ, ვისთვის აშენებდნენ სოციალიზმს?

მე არ მგონია, კარგი იყოს სისტემა, რომელმაც ნახევრად გიჟი ხრუშჩოვი თერთმეტი წელიწადი მოითმინა სახელმწიფო მეთაურის პოსტზე. მე არ მგონია, გამართლებული იყოს წყობილება, რომელმაც პროლეტარიატის ბელადად გამოაცხადა კაცი, რომლის უშუალო ბრძანებით გაწყვიტეს ღვთისმსახურნი და დაიტაცეს საეკლესიო ქონება. მე არ მგონია, რაიმე გამართლება ჰქონდეს სისტემას, სადაც დოყლაპია ბრეჟნევი 18 წელიწადი თვლემდა ბოლშევიკური იმპერიის უმაღლეს კვარცხლბეკზე. მე არ მგონია, სადმე არსებობდეს ქვეყანა ან სისტემა, სადაც შესაძლებელი გახდებოდა მომხდარიყო 9 აპრილის ტრაგედია.

რა თქმა უნდა, დაიწყო გამოღვიძება, რადგანაც ცოცხალთათვის მარადიული ძილი არ არსებობს, მაგრამ ვინ იცის, საით წავა 72 წელს ნამძინარევი, დარეტიანებული 300 მილიონიანი მასა. გერმანული კედელი დაინგრა და აიღეს კიდეც, მაგრამ, რაც მთავარია, ჯერ კიდევ არ დანგრეულა ბოლშევიკების მიერ აღმართული ბოროტების კედელი. ძნელია, გადალახო ეს კედელი; იგი უნდა დაინგრეს, შელამაზება არ შველის, რადგანაც მის ბალავერში ბოროტების თესლი დევს და საჭიროა მისი ამოძირკვა, მაგრამ, ვაი თუ ჰიდრას თავივით იბარტყოს ამ თესლმა, ამიტომაც საჭიროა უდიდესი სიფრთხილე და გონიერება!

გივი ფრუიძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

# პლურალიზმი თუ ზოილი?!

ეს ვრცელი წერილი სრულიადაც არ არის დაწერილი ერთი ადამიანის მისამართით, (რამეთუ მაშინ ამ წერილის მიზანი მეტად ვიწრო და მეტად პიროვნული იქნებოდა), მიუხედავად იმისა, რომ მისი ადრესატები კონკრეტულნი არიან. ამათგან, ერთი ტიპური სახეა ეროვნულ მოძრაობაში მოკალათებული იმ თუნდაც გამონაკლისებისა, რომლებიც ეროვნული მოძრაობის გმირის ნიღბით ებრძვიან თვით ეროვნულ მოძრაობასა და ყოველივე ჭეშმარიტს და გვაგონებენ სოკოს, ჩატაროებულ-ჩამწიფებულ სიმინდს რომ თან დაჰყვება. მიუხედავად იმისა, რომ რამდენიმე მათგანმა უკვე მოახდინა თვითდისკრედიტაცია, ისინი მაინც ბოლომდე უნდა იქნან მხილებულნი. რაც შეეხება მეორე ტიპს, ისინი განსაკუთრებით საშიშნი არიან აქ, აფხაზეთში, სადაც მოდაშია ორ სკამზე მოკალათება და მხოლოდ და მხოლოდ პირადი კეთილდღეობისათვის ზრუნვა „მოღვაწის“ სახელით. სწორედ მათი სახელით „გლეჯენ ნარს“ მტრები აფხაზეთში და ეს ტიპები ქართველებისადმი ისეთსავე როლს ასრულებენ, როგორსაც ნაჯახის ყუაში ჩაკოპიტებული ხის ტარი ხისავე წინააღმდეგ.

# კაცი, რომელიც განკურნებას საჭიროებს

პატივცემულო რედაქტორო, წავიკითხე თქვენი წერილი „ცხოვრება ძველი სტილით“ („ო. ს.“ № 3) და აბსოლუტურად გეთანხმებით. 1983 წლიდან 1988 წლის თითქმის ბოლომდე ვმუშაობდი აფხაზეთში და ვიყავი „საბჭოთა აფხაზეთის“ მუდმივი ხელისმომწერი, თუმცა არა მკითხველი (ხელისმომწერი გახლდით მხოლოდ ეროვნული მოსაზრებით, ვინაიდან უხერხულად ვთვლიდი „ქართული“ გაზეთი აფხაზეთში არ გამომეწერა). უფრო არაქართული გაზეთი, ვიდრე მაშინ „საბჭოთა აფხაზეთი“ გახლდათ, ალბათ არ არსებობს ქართული პრესის ისტორიაში. დღესაც არ ღალატობს იგი ძველ „ტრადიციებს“, ეტყობა, უფრო მეტიც, პროვოკატორულ საქმიანობასაც მიჰყო ხელი..

და მაინც, გთხოვთ, შემდგომში ნუღარ დაუთმობთ არაქართულ, ანტიქართულ „საბჭოთა აფხაზეთთან“ დისკუსიას თქვენი გაზეთის ფურცლებს, „საბჭოთა აფხაზეთი“ ამას არც იმსახურებდა, არც იმსახურებს და არც დაიმსახურებს. რაც შეეხება ვინმე გვარამიას, გთხოვთ და გირჩევთ, მას თავი დაანებოთ, რამეთუ თქვენი გაზეთი სამედიცინო პროფილისა არ გახლავთ, ა. გვარამია კი, ჩემი ღრმა რწმენით, ბოღმისა, შურისა და პროვოკატორობისაგან განკურნებას საჭიროებს და თანაც სასწრაფოდ.

ელგუჯა ჯოხაძე
მოსკოვი

# ჯოჯოხეთის კანდიდატები ანუ პასუხი სულგაყიდულ ოპონენტებს

აქედანვე უნდა აღვნიშნო, რომ შეცდომა დავუშვი, როცა ჩემს ოპონენტებთან კამათში ჩავები. გაზეთ „საბჭოთა აფხაზეთის“ რედაქტორი თამაზ ჩოჩია და ამავე გაზეთის თანამშრომელი ანზორ გვარამია, ადამიანები, რომლებიც არ დაერიდნენ „ოქროს საწმისის“ 50 ათასიანი მკითხველის საერთო აზრს და ცილი დასწამეს გაზეთს, რომ იგი აფხაზური „აიდგილარაა“, ჭორების გავრცელების ოსტატია და ეთნოკრიზისსა და კონფრონტაციას იწვევსო, მე მომერიდებოდნენ და ცილს არ დამწამებდნენ?!. მე შენ გეტყვი და რედკოლეგია აღუდგებოდა წინ თუ კოლექტივი?!

მართალი გითხრათ, ჩემთვის დიდი პატივია ასეთი ყურადღება, რა ისეთი გზა მე განვვლე ცხოვრებისა, რომ გაზეთმა „საბჭოთა აფხაზეთმა“ გვერდები მომიძღვნას და ჩემზე, და არც თუ გამორჩინებულ ჩემს ბიოგრაფიაზე, ერთად აცხონ წერილები რედაქტორმა და მისმა ლიტმუშაკმა და ანშლაგებით ბეჭდონ?!

რას იზამ, ეტყობა, „საბჭოთა აფხაზეთი“ მართლაც არ ყოფილა პარტიული და სამთავრობო გაზეთი, ანდა, უფრო ზუსტად, ჩემი ადრე გამოთქმული იჭვის დასტურად, ეს წერილები იქ „ზემოდან“ კარნახით გამოიჩეკა ან, ადვილი შესაძლებელია, იქვე, „ზემოთვე“ ითხზვებოდა.

აბა, სხვანაირად როგორ გავიგოთ, რომ ბატონი თ. ჩოჩია თითქმის ორი წელია, რაც რედაქტორად მოგვევლინა, მანამდე კალამი არ შეუხია ქაღალდზე, ჟურნალისტიკის ფაკულტეტიც უკრაინაში რუსულად კი არა, უკრაინულად ჰქონია დამთავრებული და ახლა ასე ოპერატიულად მთელ გვერდს აცხობს (?!).

დავიჯეროთ ნიჭის ასეთი აფეთქება?!.

* * *

დიახ, წერილები, რომლებიც სახალხო ფრონტისა და მისი გაზეთის „ოქროს საწმისის“ წინააღმდეგ გაზეთ „საბჭოთა აფხაზეთის“ რედაქტორმა თ. ჩოჩიამ და მისმა ლიტმუშაკმა ა. გვარამიამ გამოაქვეყნეს, „ზემოდან“ დაკვეთით ან „ზემოთვე“ არის დაწერილი. ამას ისიც ადასტურებს, რომ ამ უკანასკნელმა ამ დღეებში გაზეთ „სამრეკლოში“ (№ 3, აპრილი, 1990) დაბეჭდა წერილი „რას ვერჩი სახალხო ფრონტს“, სადაც მისთვის ჩვეული თავხედობითა და ალოგიკურობით მოითხოვს სახალხო ფრონტის თვითლიკვიდაციას. გასაკვირია, სახალხო ფრონტის დაარსებას ვინ ეკითხებოდა ა. გვარამიას, რომ მის თვითლიკვიდაციას დაეკითხონ?!. საქართველოს სახალხო ფრონტს რომ თავი დავანებოთ, აფხაზეთის რეგიონული ორგანიზაცია ხომ ერთ-ერთი ყველაზე რეალური პოლიტიკური საზოგადოებაა, რომელიც აფხაზ ექსტრემისტებს უპირისპირდება, ოფიციოზს უდგას ოპოზიციაში და ამ საზოგადოების თვითლიკვიდაციის საკითხი განა მტრის კარნახით არ არის დაყენებული და მის წისქვილზე წყლის დასხმას არ ნიშნავს?!. მე შორს ვარ იმ აზრისგან, რომ აფხაზეთის სახალხო ფრონტის გამგეობაში ყველა ანგელოზი იყოს (ასეთი რამ არ ხდება), მაგრამ მისი უმრავლესობა ნამდვილად მებრძოლი და ეროვნული მოძრაობისათვის თავდადებული ადამიანია და რატომ უნდა დავშალოთ ეს რეალური ძალა, მტრის საქმე ჩვენივე ხელით ვაკეთოთ და ისიც ანზორ გვარამიასთანა ადამიანების „შთაგონებით“?!.

არამც და არამც არ მინდოდა, ეს პოლემიკა პირადულში გადაზრდილიყო, მაგრამ ჩემი ოპონენტების დამსახურებით, ეს სიფრთხილე ახლა საკმაოდ დაგვიანებულია.

ა. გვარამიასა და თ. ჩოჩიას კერძო საკუთრებად გაუხდიათ „საბჭოთა აფხაზეთი“. პირველმა ცილისმწამებლური წერილი დაწერა „ოქროს საწმისის“ მისამართით, მეორემ, ისე, რომ რედკოლეგიაზეც არ განუხილავთ, მაშინვე ფართო გზა მისცა გაზეთში, შემდეგ ნ. ხუნდაძის სამართლიან პასუხს ზედვე მიაყოლეს ა. გვარამიას, ისევ ცილისმწამებლური, პასუხის პასუხი, რომელიც ოპონენტისადმი ზურგიდან ხულიგნურ მიხდომას და დანის ჩაცემას უფრო ჰგავდა, ვიდრე პოლემიკას. იქ გვარამია, ნ. ხუნდაძის განქიქებასთან ერთად, ჩემს ქებათა ქებას არ იშურებდა და აღნიშნავდა: „...ბატონი ჯ. ჯანელიძე, რომელიც ყოველთვის გამოირჩეოდა პრინციპულობითა და შეუპოვრობით...“

როგორც ხედავთ, მხატვართა ენაზე რომ ვთქვათ, ა. გვარამიამ ხელის ერთი მოსმით, კროკის წესით, ცამდე ამიყვანა, მაგრამ... როგორც კი ხმა ამოვიღე, მაშინვე იცვალა გეზი და, თავის რედაქტორთან ერთად, ჩემს განქიქებას გაზეთის თითქმის მთელი ნომერი უძღვნა.

თ. ჩოჩიასა და ა. გვარამიას ეს შესანიშნავი დუეტი გასაოცარი თავხედობით გადახძახის და ამხნევებს ერთმანეთს. პირველი კიუინებს — რა კაცობაა ჯ. ჯანელიძეს გადაუარო, შესაბრალისია, დაცემულიაო; მეორე — მაშინვე იტაცებს ნათქვამს, რედაქტორი მაფრთხილებს, წაქცეულს არ გადაუარო... და მხედველობაში აქვთ ის უბედურება, რომელიც მე და ჩემს ოჯახს ამ ექვსი წლის წინ დაგვატყდა თავს.

ამ გაბოროტებულმა, ჟურნალისტებად წოდებულმა ნიღბოსნებმა, თითქოს ჩემი დაცინვისა და გამასხარავების სცენა გაითამაშეს. არ დაინდეს მიცვალებულიც... მაგრამ ერთი რამ უნდა შევაგნებინო რედაქტორსაც და მის ლიტმუშაკსაც — უბედურება არც დაცემას ნიშნავს და არც წაქცევას. უბედურება ის აქლემია, ადრე თუ გვიან ყველას ჭიშკართან რომ იჩოქებს. და კიდევ, მე შვილი, ანზორ ბატონო, ზოგიერთივით ქუჩაში კი არ დამიგდია და ციხეში კი არ გამიშვია, ჯარში გავამგზავრე, გზაში უბედურება მოხდა... ექვსი წელია, სიმართლესა და მკვლელს ვეძებ; მთელ სამხედრო სისტემასა და პროკურატურას მარტოდმარტო ვებრძოდი და აქ საცინიზმო რა არის?!. მე კი არა, დღეს მთელი საქართველო და პროგრესული კაცობრიობა ებრძვის 9 აპრილის მოვლენებთან დაკავშირებით იმავე სისტემასა და იმავე პროკურატურას და სიმართლე მაინც ვერ უპოვნიათ. იქნებ, თქვენის აზრით, ესეც სასაცილოა ან საქილიკო?!.

დაცემა და წაქცევა სწორედ იმას ჰქვია, რასაც თქვენ ჩადიხართ. მე საზოგადო, საქვეყნო საქმეზე გეკამათებით, ხოლო თქვენ არაფერი პირადული არ დამიტოვეთ და გარდაცვლილიც არ დაინდეთ საფლავში.

ბარაქალა თქვენს ქრისტიანობას!..

ა. გვარამიამ გაურკვევლობის ბურუსში გაახვია მკითხველი — ჯ. ჯანელიძემ 1978 წელს ეროვნულ მოძრაობაში ვიღაც ნათესავი მოიყვანა და იმან კი თავის მტრებთან პირადი ანგარიშსწორება გადაწყვიტაო.

საზოგადოებამ უნდა იცოდეს, რომ ის ჩემი ნათესავი კი არა. მოყვარე ოთარ ხვინგიაა, მაშინ ეკონომიკის მეცნიერებათა კანდიდატი, შემდეგ — დოქტორი. კაცი, რომელიც ჩვენზე ათი წლით ადრე, ჯერ კიდევ 1966 წლიდან ჩაება აფხაზი ექსტრემისტების წინააღმდეგ ბრძოლაში (რასაც შეეწირა კიდეც). მისი ამ 25 წლის წინათ დაწერილი წერილი „მიზეზები და შედეგები“, რომლითაც მან 1967 წელს პარტიის საოლქო კომიტეტის კონფერენციას მიმართა და შემდეგ აფხაზეთის ენის, ლიტერატურისა და ისტორიის ინსტიტუტის ღია პარტიულ კრებაზე წაიკითხა რესპუბლიკის ხელმძღვანელობის თანდასწრებით, ჩვენ შარშან „ოქროს საწმისის“ დეკემბრის პირველ ნომერში დავბეჭდეთ, რუბრიკით „მეცნიერის არქივიდან“. ვინც ეს წერილი წაიკითხა და ვინც ოთარ ხვინგიას იცნობდა (გთხოვთ, ტენდენციურობაში ნუ ჩამომართმევთ), დამერწმუნება, რომ მას ეროვნულ მოძრაობაში არც გვარამიასი და არც ჩემი მოსაყვანი თუ გასაძევებელი არაფერი სჭირდა.

1978 წელს ოთარ ხვინგია ერთ-ერთ შეკრებაზე, რომლის წევრები აფხაზ ექსტრემისტებს უნდა დაპირისპირებოდნენ, ნ. მგალობლიშვილმა მოიყვანა და ყველამ ერთად ვთხოვეთ, დაეწერა ვრცელი წერილი, რომელშიაც მხილებულ იქნებოდა აფხაზი სეპარატისტების ანტიქართული მოქმედება, მათი სტრატეგია, ტაქტიკა და გამოხატული იქნებოდა ჩვენი პრეტენზიები იმ უმოქმედობისადმი, რომელსაც იჩენდა მაშინდელი უმაღლესი პარტიული და სამთავრობო ხელმძღვანელობა. მან ეს დავალება მიიღო. ოღონდ, როცა დავიშალენით, მე და ნ. მგალობლიშვილს გვითხრა, რომ ასეთ შეკრებაზე მეტად არ მოვიდოდა, — იქ ზოგიერთი ისეთი პიროვნება ვნახე, რომელსაც არცთუ სუფთა ბიოგრაფია აქვსო, და, მართალი თუ გნებავთ, ა. გვარამია დაასახელა.

მას შემდეგ ო. ხვინგია ჩვენს შეკრებაზე არ გამოჩენილა, თუმცა არც ჩვენ ვატარებდით დიდი ორგანიზებულობით ამ შეკრებებს. ო. ხვინგიასთან შინ მიჰქონდათ წერილისათვის საჭირო მასალები. როცა წერილი დასრულდა, ხელმოწერები დაიწყო და თითქმის მთავრდებოდა კიდეც, საქმეში ა. გვარამია რომ ჩაერია. მან წერილში ამოიჩემა ორიოდე ადგილი, სადაც მოცემული იყო რამდენიმე მაკომპრომეტირებელი ფაქტი პარტიის საოლქო კომიტეტის მაშინდელ ხელმძღვანელზე (სწორედ იმ „ხელმძღვანელობამ“ მოაწერა ხელი ათი წლის შემდეგ ე. წ. „აფხაზურ წერილს“). ა. გვარამიამ ისიც გაიგო (არ ვიცი, საიდან), რომ ო. ხვინგია მის მიმართ უნდობლად იყო განწყობილი. სწორედ ა. გვარამია მოითხოვდა დაჟინებით ამ ფაქტების ამოღებას და მიაღწია კიდეც მიზანს.

დღესაც საეჭვოდ მეჩვენება, რატომ იყო ა. გვარამია ასე დაინტერესებული იმ მაკომპრომეტირებელი ფაქტების ამოღებით და რატომ იცავდა ასე თავგამოდებით ავტონომიური რესპუბლიკის მაშინდელ კორუმპირებულ ხელმძღვანელობას?!.

იქნებ, როგორც თავის უკანასკნელ წერილში წერს, მაშინაც გაურბოდა „ძველი ჭრილობების“ გახსნას, ერთაშორისი მდგომარეობისა და ეთნოკრიზისის გამოწვევას?!.

რაც შეეხება მეორე, „გასაიდუმლოებულ“ პიროვნებას, რომელსაც ა. გვარამია ჩემს თანასოფლელად ნათლავს და, რომელიც თითქოსდა მე წამოვიყვანე საქართველოს კპ ცენტრალურ კომიტეტში იმისათვის, რათა ო. ხვინგიას ინტერესები დაეცვა, ეს „ჩემი მეზობელი“ გახლავთ მერაბ გოგიშვილი, საქართველოს სუბტროპიკული მეურნეობის ინსტიტუტის დოცენტი. ხოლო ის განაცხადი, რომ თითქოს იგი ჩემი თანასოფლელი, მარნელი, იყოს, ეს ა. გვარამიასეული პასკვილია. ბატონი მერაბი მარნიდან კი არა, სოფელ პირველი მაისიდანაა და ალბათ თავად დამემოწმება, რომ იგი მე პირველად იმ დღეს ვნახე და გავიცანი საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის მისაღებში. ხოლო, რაც შეეხება იმას, რომ ის ო. ხვინგიას დასაცავად ჩამოვიდაო თბილისში, ესეც მტკნარი სიცრუეა. ყველა იქ დამსწრეს ახსოვს, ალბათ, რომ ბატონმა მერაბმა ვრცლად ილაპარაკა ჯერ აფხაზეთში, შემდეგ სოხუმსა და, კერძოდ, სუბტროპიკული მეურნეობის ინსტიტუტში შექმნილ რთულ მდგომარეობაზე, პრობლემებზე და ბოლოს ე. შევარდნაძეს დაუსვა შეკითხვა, თუ როგორ გადაწყდებოდა კონფლიქტი, რომელიც ო. ხვინგიასა და საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის მაშინდელ ერთ-ერთ მდივანს ჯ. პატიაშვილს შორის იყო ჩამოვარდნილი. ე. შევარდნაძემ იქვე განაცხადა, რომ ო. ხვინგიას იცნობს, როგორც პრინციპულსა და ნიჭიერ მეცნიერს, მაგრამ ცკ-ს მდივანი მდივანია (და მისთვის ჩვეული სიცილით გაეცინა), ამ კონფლიქტის გამომკვლევი კომისია შედგა და შედეგებს მალე ვაცნობებთ ო. ხვინგიასო. საკითხავია, რა არის იმაში საძრახი, მეცნიერმა რომ მეცნიერის ინტერესები დაიცვას (?!.). ნუთუ ის უფრო სასახელო იყო, ერთ-ერთი ტურბაზის დირექტორის საჩივრების „ერთტომეული“ რომ მიაჩეჩეს ხელთ მდივანს?!.

აფხაზეთის მთელი საზოგადოებრიობა იცნობდა და ახლაც ახსოვთ ოთარ ხვინგია და მე არ შევუდგები მის დახასიათებას. ახსოვთ იმ კონფლიქტის ისტორიაც, რომელიც მას ჯერ სუბტროპიკული მეურნეობის ინსტიტუტის რექტორთან ჰქონდა (ჩემი რწმენით, სწორედ ამ კონფლიქტთან არის დაკავშირებული ჩემს ოჯახზე დატყდარი უბედურებაც, რომლის შესახებ გარკვევით წერდა ორიოდე წლის წინ გაზეთი „ლიტერატურნაია როსია“), შემდეგ პარტიის საოლქო კომიტეტის ერთ-ერთ ხელმძღვანელთან, კერძოდ, ადლეიბასთან, შემდეგ კი კონფლიქტის ძაფმა ჯ. პატიაშვილამდე მიიყვანა. რასაკვირველია, პატიაშვილმა შეძლო მისი დამარცხება, იგი აიძულეს საქართველოს სუბტროპიკული მეურნეობის პრორექტორობა სამეცნიერო დარგში, დაეტოვებინა და აფხაზეთის ენის, ლიტერატურისა და ისტორიის ინსტიტუტში გადასულიყო სამუშაოდ. მეცნიერებისა თუ შემოქმედი მუშაკის ცხოვრებაში ამგვარი კონფლიქტები და მარცხი გამონაკლისი არ გახლავთ ჩვენს დროშიც. ო. ხვინგია ამ ბრძოლებს შეეწირა კიდეც და ინფარქტით გარდაიცვალა ოთხიოდე წლის წინ. ხოლო პატიაშვილმა და ადლეიბამ უკვე ერთი წელია სიცოცხლეშივე დაამტკიცეს თავიანთი „სიმართლე“.

ასეთი იყო საქმის ნამდვილი არსი, პატივცემულო მკითხველო; დიახაც, მათი — არც ერთი და არც მეორე მხარის გვარებით მოხსენიება, ხელსაყრელი არ გახლდათ გვარამიასათვის და ამიტომაც მისთვის ჩვეული ქარაგმებით ლაპარაკი ირჩია.

ახლა, რაც შეეხება იმ ფაქტს, რომ მე თითქოს რესპუბლიკის ხელმძღვანელთან ჩემი წიგნების გამოცემის შესახებ დამეწყოს საუბარი, რამაც, მისი თქმით, მდივანი გააბრაზა და ხმას აუწიაო.

ამ ცილისწამებამდე ერთი თვით ადრე, იგივე ბრალდება წაუყენა ა. გვარამიამ ნ. ხუნდაძეს გაზეთ „საბჭოთა აფხაზეთში“, სადაც წერს: „რესპუბლიკის ერთ-ერთ ხელმძღვანელთან შეხვედრაზე კი თავისი წიგნების გამოცემის საკითხი დასვა (იგულისხმება ნ. ხუნდაძე — ჯ. ჯ), განა არ ახსოვთ ეს ამბავი გაგრელებს, განა თვით ბატონი ჯანო ჯანელიძე არ იყო ყოველივე ამის მოწმე?“ — მომმართავს თავად მე ცბიერი ოპონენტი.

მე კი შემიძლია ვუპასუხო ა. გვარამიას, რომ ყოველივე ეს სიცრუეა, არავითარ მსგავს დიალოგს გაგრაში, გაგრელებსა და რესპუბლიკის ხელმძღვანელობას შორის, მე არ დავსწრებივარ, იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ იმ დღეებში და არც ახლო ხანებში, იქ, გაგრაში, არ ვყოფილვარ და მოწმედ საიდან გამოვადგები?!.

ეს ისე, ჩემი გულის მოსაგებად და ბრძოლიდან „გამოსათიშად“ ჩაურთო წერილში ა. გვარამიამ, მაგრამ, როცა ეს არ გაუვიდა და ბრძოლაში მეც ჩავები, ერთი თვეც არ არის გასული და უკვე იმავე გაზეთში, იმავე სტილით და იმავე სიცრუით ჩემზე მოაქვს იერიში: „...ჯანელიძემ ილაპარაკა თავისი წიგნების გამოცემაზე. რესპუბლიკის ხელმძღვანელმა ხმას აუწია, ამისთვის ჩამოდითო აფხაზეთიდან“. როგორც ხედავთ, ერთ თვეში მოწმის როლიდან ბრალდებულის როლში გადამისროლა გვარამიამ. მის მიერ ნ. ხუნდაძისთვის წაუენებული ბრალდება წყლის ორი წვეთივით ჰგავს ჩემზე შეთხზულ ცილისწამებას. როგორც ჩანს, ეს ადამიანთა პროვო-

(გაგრძელება მე-6-7 გვ.)

(გაგრძელება)

ცირების გვარამიასეული პრიმიტიული სტერეოტიპია და საკმაოდ გაცვეთილიც.

მადლობა ღმერთს, რესპუბლიკის იმ ხელმძღვანელთან ჩვენ ორნი არ ვყოფილვართ დიალოგზე, ცხრანი ვიყავით და შენს გარდა, ანზორ ბატონო, ერთი ვინმეც თუ იტყვის, რომ მე საკუთარი წიგნების გამოცემაზე ვილაპარაკე, საერთოდ ხელში არ ავიღებ კალამს, რაც შენთვის და შენისთანებისთვის დიახაც ხელსაყრელი იქნება.

რა ვუწოდო, ანზორ ბატონო, ახლა ამ შენს საქციელს, ფარსადანობა, საკუთარ თავზე ლაფის დასხმა თუ... ორთავე ერთად?!.

როგორც ხედავთ, ა. გვარამია ბრალს მდებს, რომ ეროვნულ მოძრაობაში მოვიყვანე ნათესავი, რომელიც შეეცადა პირადი ინტერესების მოსაგვარებლად გამოეყენებინა იგი და ამიტომ გააძევეს იქიდან. შემდეგ მე თბილისში, რესპუბლიკის ხელმძღვანელობასთან, წავიყვანე ჩემი თანასოფლელი, რათა მას ჩემი ნათესავი დაეცვა და მე ამისათვის ეროვნული მოძრაობა დამატოვებინეს. აგერ კიდევ, რესპუბლიკის ხელმძღვანელთან შეხვედრაზე ჩემი წიგნების გამოცემაზე მილაპარაკია და საკუთარი ინტერესებისათვის გამომიყენებია ეს შეხვედრა. ამას წერს ა. გვარამია მიმდინარე წლის 26 აპრილს გაზეთ „საბჭოთა აფხაზეთში“.

რა შეიძლება ამ ჩემს საქციელს ეწოდოს? ალბათ შესაფერი სახელის მოძებნა არ გაჭირდება; მაგრამ თუკი ზემოთნახსენები ყველა ბრალდება სრული ჭეშმარიტებაა, რა აზრისა უნდა ყოფილიყო თვით ა. გვარამიასთანა „შეუვალი“ კაცი ჩემს შესახებ თუნდაც ამ ერთი თვის წინ?

მოვუსმინოთ თვით ა. გვარამიას.

ნაწყვეტი მიმდინარე წლის 23 მარტის „საბჭოთა აფხაზეთში“ გამოქვეყნებული ერთ-ერთი წერილიდან: „1978-80 წლებში ვინც ჩვენს წინააღმდეგ (მათ შორის ჯ. ჯანელიძის წინააღმდეგაც) აქტიურობდნენ და პირველობდნენ, ახლა ეროვნულ მოძრაობაში პირველობას სწორედ ისინი იჩემებენ...“ და კიდევ იქვე: „ბატონი ჯანო ჯანელიძე, რომელიც მუდამ პრინციპულობით და შეუპოვრობით გამოირჩეოდა, ნუთუ ვერ ამჩნევს იმათ, ვინც ყალბი პათოსით ბაქიბუქობს დღეს?..“.

რა ჰქვია ასეთ საქციელს, არც ამის მიხვედრა გაუჭირდება მკითხველს. ერთის მხრივ — „პრინციპული“, „შეუპოვარი“, მეორეს მხრივ — „გამყიდველი“ და „გაძევებული ეროვნული მოძრაობიდან“, როგორ შევუთავსოთ ერთმანეთს? ერთ თვეში ასე რამ დაუქვეითა მახსოვრობა ა. გვარამიას, მაგრამ დავუშვათ, რომ მოხდა ჟურნალისტის მეხსიერებაში ასეთი ფსიქიკური დეგრადაცია, მაგრამ ხად არის რედკოლეგია, ან კოლექტივი?!. დავიჯერო, რედაქციის არც ერთი მუშაკი არ კითხულობს თავისსავე გაზეთს? და თუ კითხულობს და განსჯის უნარი შერჩენია, შეიძლება ასეთი მონური მორჩილება გამოუცხადო ცილისმწამებელთ, სულ ერთია, რედაქტორი იქნება იგი თუ ლიტმუშაკი?!. თუ, ყველა ერთად, მტრად და მახვილად აღმართულა აფხაზეთის სახალხო ფრონტის, გაზეთ „ოქროს საწმისისა“ და მისი რედაქტორის ჯ. ჯანელიძის წინააღმდეგ?!.

მგონი, ყველაფერი ერთად!

გაზეთ „საბჭოთა აფხაზეთის“ რედაქტორი და ა. გვარამია თავს იზღვევენ და გაზეთის მთელ კოლექტივს ჩემს წინააღმდეგ აქეზებენ, თითქოს მათი სახელით მიტევენ და ეს ფანდი მათ დასჭირდათ ტაქტიკისათვის, რათა კოლექტივს წინააღმდეგობა არ გაეწია ერთი თვის მანძილზე ჩვენს წინააღმდეგ ზედიზედ ხუთი მასალის დაბეჭდვაზე, რომელთა შორის პირველი სამი წერილის აზრს, ზედ მინაწერით თუ ვიმსჯელებთ, რედაქცია არ იზიარებს.

რა შეიძლება ამას ეწოდოს — ერთად იბეჭდება ორი წერილი: „დამხვდურისა“ და „მომხვდურისა“ და არც ერთს თანაუგრძნობს რედაქცია და არც მეორეს.

ნამდვილად სამაგალითო უპრინციპობაა!..

რატომ აძლევენ თავს უფლებას რედაქტორი და ლიტმუშაკი რედაქციის კოლექტივის სახელით ილაპარაკონ, როცა პირველი წერილი, რომელიც ა. გვარამიას ეკუთვნის და „ოქროს საწმისი“-სადმი პასკვილია და მეტი არაფერი, რედკოლეგიაზე არც განუხილავთ, ისე დაიბეჭდა.

აკი, მეც ხაზგასმით აღვნიშნე, რომ ჩემს წერილში („ოქროს საწმისი“, მარტი, № 3) მთელ კოლექტივს არ ვგულისხმობდი იმ უმოქმედობასა და ინერტულობაში, რასაც „საბჭოთა აფხაზეთი“ იჩენს აფხაზეთში ანტიქართული მოძრაობის მიმართ.

და ესეც შეღავათი იყო, მართალი თუ გინდათ.

აბა, სხვანაირად რა ვუწოდოთ გაზეთის პოზიციას, მის ქმედებას. როცა 44 დღე და 44 ღამე გაფიცული და ქუჩაში გამოსული იყო აფხაზური უნივერსიტეტის მთელი ქართული კოლექტივი, მთელი ქართული სტუდენტობა და პროფესორ-მასწავლებლები, რომელთაც აფხაზეთის მთელი წარმოება-დაწესებულებები და ქართული საზოგადოებრიობა შეუერთდა, გაზეთ „საბჭოთა აფხაზეთს“ კი ერთი პაწაწკინტელა ინფორმაციაც კი არ მიუცია, ეს მაშინ, როცა თვით ამ რედაქციის რამდენიმე მუშაკი და ა. გვარამიაც საგაფიცვო კომიტეტში შედიოდნენ და „სამუშაო ჯგუფში“ ფართიფურთოდნენ.

დიახ, ეს მაშინ, როცა მათი მეზობელი აფხაზური გაზეთის „აფსნი ყაფშის“ რედაქცია, მთელი მისი კოლექტივი, პირიქით იქცეოდა, აფხაზ გაფიცულებზე ანშლაგებს აძლევდა, ჩვენი გაფიცულების პროვოცირებისათვის კი დეპეშებს დეპეშებზე აგზავნიდა მოსკოვის უმაღლეს ინსტანციებში.

განა უმოქმედობაზე მეტი არ შეიძლება დავარქვათ ქართული რედაქციის ასეთ პოზიციას იმ კრიტიკულ სიტუაციებში?!.

თ. ჩოჩია შესაშური სითამამით იმართლებს თავს იქაც, სადაც კაცს ხმა არ ამოეღება. როცა აპრილში სოხუმში საზოგადოების მასიური გაფიცვები მიმდინარეობდა (და მათ შორის მკდომარეც), საგაფიცვო კომიტეტის სხდომებზე აღშფოთებით აღნიშნავდნენ, რომ გაზეთი „საბჭოთა აფხაზეთი“ მხარს არ უჭერს ამ აქციას და არც ერთი სტრიქონი გამოხმაურებისა არ დაბეჭდილა. მაშინ, მართალი გითხრათ, გამოვედი სიტყვით და აღვნიშნე, რომ კაცი, რომელმაც აფხაზეთის ქართული ტოპონიმიკის მასიური განადგურების დოკუმენტაციას მოაწერა ხელი, საეჭვოა, ამ მძიმე პირობებში გვერდით ამოგვიდგეს და მხარი დაგვიჭიროს-მეთქი და თ. ჩოჩია დავასახელე (რაც შეეხება საქართველოს სუბტროპიკული მეურნეობის ინსტიტუტის რექტორს, ბატონ ნაპოლეონ ქარქაშაძეს, ტოპონიმიკურ დოკუმენტზე მისი ხელმოწერის ფაქტი ჩემთვის მეორე დღეს გახდა ცნობილი). როგორც შემდეგ გავიგე, ჩემი გამოსვლის შესახებ ჩვენი ეროვნული მოძრაობის „ლიდერმა“ ა. გვარამიამ იმავე დღეს ყველაფერი ჩაუჭიკჭიკა თავის რედაქტორს. მეორე დღეს კი ქაღალდის ნახევარზე დაწერილი თ. ჩოჩიას „განსაკუთრებული აზრი“ მოიტანა, რომელიც მას ხელმოწერაზე დაურთავს თურმე. სწორედ მაშინ გახდა ცნობილი, რომ თ. ჩოჩიამ და ნ. ქარქაშაძემ ხელი მოაწერეს აფხაზეთში ქართული ტოპონიმიკის აფხაზურით შეცვლის დოკუმენტებს „განსაკუთრებული აზრის“ დართვით.

პატივცემულო რედაქტორო, თქვენს „განსაკუთრებულ აზრს“ მხოლოდ მაშინ ექნებოდა მნიშვნელობა, თუ იმ დოკუმენტს ხელს არ მოაწერდით, თორემ ადამიანს განაჩენი გამოუტანოთ და თან რაღაც „განსაკუთრებული აზრი“ დაურთოთ, ეს ვერაფერი შეღავათია. თქვენი განჩინებით კაცი თუ დახვრიტეს, ვის აინტერესებს შემდეგ თქვენი „განსაკუთრებული“ თუ „არაგანსაკუთრებული“ აზრი?!. ანდა, რა უფლება გქონდათ, რა კომპეტენციით იყავით აღჭურვილი და რა სათანადო ცოდნა გაგაჩნდათ იმისათვის, თქვენ, კაცს, რომელსაც ჟურნალისტიკის ფაკულტეტი უკრაინაში უკრაინულ ენაზე დაგიმთავრებიათ, მოგეწერათ ხელი უმნიშვნელოვანეს დოკუმენტებზე და გადაგეჭრათ ის საკითხები, რომლებიც უმაღლესი კომპეტენციის მქონე მეცნიერებსაც სადაოდ გაუხდიათ?!.

მაგრამ იციან, ვის მიმართონ ფალსიფიკატორებმა ფალსიფიცირებული დოკუმენტების ხელმოსაწერად და ვისგან მიიღებენ დასტურს.

...და აი, ჩემზე შურისძიების დროც დაუდგათ თ. ჩოჩიასა და ა. გვარამიას, და არც დააყოვნეს. მერე როგორი ხერხებით, მეთოდებით და თავგამოდებით?!. მაგრამ ერთი მითოლოგიური ფაბულისა არ იყოს, მხედველობიდან გამორჩათ, რომ შეიძლება კაცი სხვისთვის გათხრილ საფლავში თვითონ ჩაშვავდეს. თუმცა „საბჭოთა აფხაზეთის“ რედაქტორის ეს სამრაუნდიანი სერიალი ქართული გაზეთისადმი, ქართული მოძრაობისა და ქართველი კაცისადმი პირველი სიმუხთლე არ გახლავთ და, თუ დასცალდა, გვჯერა, არც უკანასკნელი იქნება...

15-16 ივლისის სისხლიანი დღეების შემდეგ ქართველი ექიმები, ექიმთა საგაფიცვო კომიტეტის წევრები, როცა თავგამოდებით იბრძოდნენ აფხაზეთში იმ სისხლიანი აქციების ინსპირატორთა, ორგანიზატორთა და მონაწილეთა გამოსავლენად, როცა მძაფრი პროტესტი და ბრძოლა გამოუცხადეს ჰიპოკრატეს ფიცის გამტეხთ და საპროტესტო გაფიცვებითა და სხვადასხვა მშვიდობიანი აქციებით მოითხოვდნენ მოღალატეთა სამსახურიდან გათავისუფლებასა და დასჯას, 300 ექიმის ხელმოწერით გაზეთების — „საბჭოთა აფხაზეთისა“ და „სოვეტსკაია აბხაზიას“ რედაქციებს გადაეცათ საპროტესტო განცხადება, რათა დაებეჭდათ მასალები 15-16 ივლისის დღეებში ჩადენილ დანაშაულობათა შესახებ, მაგრამ თქვენც არ მომიკვდეთ, განა ასეთ ნაბიჯს გადადგამდნენ თ. ჩოჩიასა და ი. გავასთანა რედაქტორები?!. პირიქით, მათ ქართველ ექიმებზე დაბეჭდეს ცილისმწამებლური სტატია, სარედაქციო მინაწერით. მაშინ ქ. სოხუმის გაფიცულმა ქართველმა (და არა მხოლოდ ქართველმა) ექიმებმა გამოიტანეს ტრანსპარანტები, რომლითაც მოითხოვდნენ, რომ თ. ჩოჩიასა და ი. გავას დაეტოვებინათ რედაქტორის სავარძლები. ერთ-ერთი ასეთი ტრანსპარანტის ტექსტი გაზეთმა „ერთიანმა საქართველომაც“ კი დაბეჭდა თავის ფურცლებზე.

ესეც „ოქროს საწმისია“, ბატონო თამაზ და ბატონო ანზორ? და ეს ჯერ კიდევ როდის ჩამოგხადეს ნიღაბი. ესეც სახალხო ფრონტია და სახალხო ფრონტის გაზეთი?!.

აი, ასეთ გაზეთში მოღვაწეობთ, ბატონო ანზორ, თქვენ და თქვენი ცრუ-პატრიოტი კოლეგები, რომლებიც პარტიიდან პარტიაში და საზოგადოებიდან საზოგადოებაში ისე დაძუნძულებთ, როგორც ისიდორე მევლე საკოლმეურნეო ყანებში.

ერთი კი უნდა იცოდეთ, მთავარია არა ის, თუ სად მოღვაწეობ, არამედ როგორ მოღვაწეობ და ვინ ხარ შენ. ნებისმიერ პარტიაში, ნებისმიერ ინსტანციაში, თვით უმაღლეს პარტიულ და სამთავრობო ორგანოებში მოიძებნებიან სამშობლოსა და ხალხისათვის თავდადებული ადამიანები. განა ეს ბალტიისპირეთის მაგალითმაც არ დაამტკიცა?!.

მაგრამ... დავუბრუნდეთ ექიმთა ტრანსპარანტებს...

როგორც კი თ. ჩოჩიამ იხილა მისი საწინააღმდეგო ტრანსპარანტები, ამჯერად მისთვის უჩვეულო ოპერატიულობა, ენერგიულობა და მოქნილობა გამოიჩინა. დაუკავშირდა თავის კოლეგა ი. გავას, აფხაზეთის ჯანმრთელობის სამინისტროს აპარატის აფხაზ მუშაკებს, დამნაშავე ექიმთა ჯგუფს და სასწრაფოდ შეადგინა გაფიცული ქართველი ექიმების მაკომპრომეტირებელი მასალები. გაფიცულებს რედაქციის მუშაკი მიუგზავნა და დაემუქრა, თუ არ ჩამოხსნიდნენ მის მამხილებელ ტრანსპარანტებს, გამოაქვეყნებდა აღნიშნულ მასალას. ასეთ პროვოკაციულ ხერხებსა და მანევრებს პარტიის საოლქო კომიტეტსა და ქალაქკომის აპარატში ნამუშევარი ფუნქციონერი, ეტყობა, დიდი დახვეწილობითა და ხელოვნებით ფლობს.

მკითხველმა მაპატიოს, თუ შიგადაშიგ, წერილში, ჩემთვის უჩვეულ ხერხებს მივმართო და პირადულსაც შევეხო (თუმცა რასაც ახლა აღვნიშნავ, პირადული არც ეთქმის), მაგრამ როცა მოწინააღმდეგე ყველანაირ ბინძურ ხერხსა და მეთოდს იყენებს, მე იისფერი ფრაკითა და თეთრი ხელთათმანებით დიახაც ვერ მივეგებები. ამით იმისი თქმა მინდა, ბატონო თამაზ, რომ თქვენმა მეუღლემ, რომელიც მეოთხე სამმართველოს სოხუმის სამკურნალო კომისიაში მუშაობს ექიმად, არა მარტო თქვენ, არამედ აფხაზეთის ასსრ ჯანმრთელობის დაცვის მინისტრს აქშბასაც „გაუშანსა“ „ავადმყოფობის ფურცელი“ იმ ძნელბედობის ჟამს და თანამდებობიდან ორჯერ მოხსნილი მინისტრი მესამეჯერ იხსნა სამინისტროდან გაძევებისაგან, და 15-16 ივლისის სისხლიანი აქციის ეს ერთ-ერთი ხელმძღვანელი და აქტიური მონაწილე, „ავადმყოფად“ წოდებული, ბოლო დრომდე ინარჩუნებდა მინისტრის სავარძელს. განა ასეთი ხალხი, ასეთი ქართველები „ოქროს საწმისსა“ და მის რედაქტორს დაინდობდნენ? როცა ამ წერილთა ციკლით ერთს კი არა, ოთხ ქულას ერთად იღებენ: ჯერ ერთი, აფხაზ ექსტრემისტთა თვალში, მეორე, როგორც ადრე აღვნიშნე, უკვე იდეურად და მორალურად გაკოტრებული აფხაზეთის ოფიციოზის მხრივ, მესამე, სახალხო ფრონტს უტეხენ სახელს, და მეოთხე, პირად ანგარიშსწორებასაც ახდენენ ადრე თქმული სიმართლისათვის. მეხუთე ქულასაც იღებ შენ, ანზორ ბატონო, მხოლოდ შენ (ეს უკვე ბატონ თამაზს არ ეხება, არ მიყვარს ცილისწამება თქვენსავით) და კარგად იცი, რომ სისხლიანი და შავი ხალხი გიწერს იმ ქულებს. ძლიერ შორს კი შეგოტოპავს და ვნახოთ, როგორ გამოტოპავ უკან?!.

მრავალი ასეთი ფაქტის აღნიშვნა შემიძლია, ბატონო რედაქტორო და ბატონო ანზორ, მაგრამ განა გაზეთი ყველაფერს დაიტევს?!.

პატივცემული ა. გვარამია და მისი რედაქტორი წინასწარ გზას მიჭრიან, ხმა არ ამოიღო, რომ ჩვენ პირადი ანგარიშსწორებისათვის პარტიული გაზეთი გამოვიყენოთ და რედაქციის მთელი კოლექტივის სახელით გაიძახიან, ჯ. ჯანელიძემ თავს ლაფი დაგვასხაო. მე შორს ვარ იმ აზრისაგან, რომ „საბჭოთა აფხაზეთის“ რედაქცია თავს ართმევდეს მოვალეობას, მაგრამ აქ პასუხისმგებლობა მთელ კოლექტივს კი არა, უპირველესად, კოლექტივის ხელმძღვანელს, რედაქტორს, ეკისრება და თუ როგორი პასუხისმგებლობით და ფხიანობით ასრულებს თ. ჩოჩია თავის მოვალეობას, მგონი, „საბჭოთა აფხაზეთის“ მკითხველისთვის ეს საკამათო არ უნდა იყოს?!. მარტო ის რად ღირს, რომ გაზეთმა ერთი თვის მანძილზე ხუთი წერილი და მთელი გვერდები მიუძღვნა, ანშლაგებით, ჯერ „ოქროს საწმისს“ და შემდეგ ჩემს განქიქებას. იქნებ ეროვნულ-სოციალური კონცეფცია გაინტერესებთ გაზეთ „საბჭოთა აფხაზეთის“?!. ინებეთ, უახლესი, სულ ცინცხალი — „...იმასთან დაკავშირებით, რომ იზრდება ეკონომიური, სოციალური, ეროვნული დაძაბულობა ქვეყანაში, ერთიანდებიან ექსტრემისტული ძალები და ანტიდემოკრატიული გზით, მიტინგური, ძალისმიერი მოქმედებით ცდილობენ სახელი გაუტეხონ ყოველივე საბჭოურს...“ და ა. შ. და ა. შ. (№ 73 17.4.90). რაო, ძლიერ ჰგავს, არა, ნიკოლსკისა და როდიონოვის მიერ 9 აპრილის მოვლენების მეორე დღეს დაწერილ პროვოკაციულ ტექსტს?!.

უნდა ვაღიაროთ, რომ გაზეთი „საბჭოთა აფხაზეთი“, რომელსაც თითქმის არავინ კითხულობდა, ნამდვილად პოპულარული გახდა იმ დღეებში (და მხოლოდ იმ დღეებში!) ჩემის წყალობით, მაგრამ, ვაი, რომ ეს პოპულარობა „ოქროს საწმისის“ ერთ-ერთი პერსონაჟის, სახელს დახარბებული, შერეკილი გუდულას პოპულარობას უფრო გვაგონებს.

შენ კი, წინდახედულება და პატიოსნება გაკლდა ყოველთვის, პატივცემულო ანზორ, თორემ განა არ იცოდი, რომ ერთხელაც სიტყვის თქმის უფლება მეც მომეცემოდა და სიმართლის ფარდა არც ისე სქელია, შენ რომ გგონია. თუმცა, წინდახედულება და მომთმენობა რომ გქონოდა, შემოქმედებითი ცხოვრების პატიოსან გზას არ გაცვლიდი მანქიერებისა და საქმოსნის გზაზე, რამაც ბევრისთვის კარგად ცნობილ ფინალამდე მიგიყვანა თბილისში. შემდეგ აქეთკენ, აფხაზეთისაკენ გამოსწიე, იფიქრე, აქ პროვინციაა და უფრო გამივა ჩემებური ნომრებიო. ჩვენც დამნაშავენი ვართ, კეთილი გულით მიგიღეთ, დიდი ხლაფორთით და ვაი-უშველებლით ჩაგწერეთ, შენი რედაქციაში მოწყობისათვის ხვეწნით სახე გვქონდა დაღრეჯილი აფხაზ კოლეგებთან. ვიფიქრეთ, წარსულს დაივიწყებს, სწორ გზას დაადგებაო, მაგრამ გაგვიგონიათ ძაღლის კუდის გასწორება?!.

ბატონო ანზორ, თქვენისთანა უმადური ადამიანები სწორედ მიხეილ ბულგაკოვის შარიკას მაგონებენ მოთხრობიდან „ძაღლური ბედი“, — მოხეტიალე-მაწანწალა ოთხფეხს პროლეტარი-დამნაშავის სხეულის ზოგიერთი ნაწილი რომ გადაუნერგა ქირურგმა და შემდეგ შარიკამ თავისი მხსნელის შევიწროვება და გამოძევებაც რომ განიზრახა შინიდან და იძულებული გახდა ქირურგი ისევ უკუოპერაცია ჩაეტარებინა და ისევ ძაღლური ყოფისათვის დაებრუნებინა ეს უტიფარი და უმადური ჰიბრიდი.

ბავშვები რუსულ სკოლაში შეიყვანეო, პატარა ჭკუის კაცი ხარო და ა. შ. ნუთუ შეიძლება კაცმა ყველაფერი იკადროს?!. განა ვინც მე მიცნობს ქალაქ სოხუმში, არ იცის, რომ ჩემმა უფროსმა გოგონამ ქართული სკოლა და ქართული ინსტიტუტი დაამთავრა, ხოლო მომდევნო გოგონა, რომელიც ქართულ სკოლაში რუსულს ასწავლის, ავადმყოფობის გამო, მეშვიდე კლასამდე, ყოველ წელიწადს ექვს-ექვსი თვით, ევპატორიაში იმყოფებოდა სამკურნალოდ და, აბა, იქ ჩემთვის ქართულ სკოლას ვინ გახსნიდა?!. და სწორედ იმისთვის, რომ მისი ტყუპისცალი ძმა დისთვის არ დაგვეშორებინა (მედიცინაში ასეა რეკომენდებული), იძულებული ვიყავით, ისიც რუსულ სკოლაში შეგვეყვანა. განა როცა იმ ბინძურ სტრიქონებს წერდი, ყოველივე ეს არ მოგეხსენებოდა?!.

მოგეხსენებოდა, კარგადაც მოგეხსენებოდა, ანზორ ბატონო, მაგრამ შენისთანა ადამიანები მზად არიან თავად ჭაობში ჩაიხრჩონ, ოღონდაც იქიდან ერთი-ორი გუნდა ტალახი ისროლონ და ვინმე გასვარონ.

ფარსადანობას მწამებ, ბატონო ანზორ, შენმა მეგობარმა გიწოდაო. სხვას თუ არა, შენ კარგად მოგეხსენება, ვინც იყო ის ჩემი „მეგობარი“. გამომცემლობის ერთ-ერთი ხელმძღვანელი, რომელიც შვილების მონათვლასაც მთავაზობდა ერთ დროს, მაგრამ, აი, 1976-77 წლებში, როცა მორიგი ანტიქართული გამოსვლები მზადდებოდა, შევედი გამომცემლობაში და ყველა ქართული წიგნი (მათ შორის, მგონი, შენიც!) ამოღებული დამხვდა საგამომცემლო გეგმიდან, თან ისიც დააყოლა აფხაზმა კოლეგამ, აქ ქართული წიგნი აწი არ გამოიცემაო. გამოვა, ნახავ, რომ გამოვა-მეთქი, ვუთხარი პასუხად, დავჯექი, დავწერე განცხადება და, ჩემს ცხოვრებაში პირველად, მივედი საოლქო კომიტეტის მდივანთან (სხვათაშორის, აფხაზთან), მან მომისმინა, დამამშვიდა და სიტყვა მომცა, ყველა ქართული წიგნი აღდგენილი იქნებოდა საგამომცემლო გეგმაში. და მართლაც ასე მოხდა (მე მგონი, შენი წიგნიც გამოიცა მაშინ ჩემის წყალობით). და ერთხელაც, როცა სუფრასთან ვისხედით იმ გამომცემლობის ხელმძღვანელთან ერთად, შემთვრალი მომაჩერდა და მითხრა, შენ ფარსადანი ხარ, რატომ იჩივლე საოლქო კომიტეტში. მე კი მივუგე, როგორიც არსენაც შენ ბრძანდები, მეც ისეთი ფარსადანობა გაგიწიე-მეთქი, შენ ქართული წიგნები ჩახო და ამოყარო საგამომცემლო გეგმიდან და მე შვილები განათლო-მეთქი? ავდექი სუფრიდან და ამით დამთავრდა ჩვენი ნათელ-მირონობა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეს ყველაფერი იცი, კარგად იცი, ანზორ ბატონო, მაგრამ უკუღმართი მახსოვრობა გაქვს და რას იზამ?! ეს შენი წესია, როგორც გინდა, ისე ჭრა და კერო.

განცხადება დაწერე საყვარელიძესთან, მეგრელებმა შემჭამეს. პროვოკაციაზე მიდიხარ. ეს ბინძური ხერხი, ალბათ, აფხაზი პროვოკატორებისაგან აითვისე, თორემ შენც კარგად იცი, დედაჩემი ხაინდრავა იყო გვარად, ლეხაინდრაოდან, მეც იქ დავიბადე, მეუღლე ხვინგიაა, ორივე ბებია კოლხი მყავდა და, თუ „მეგრელობაა“, შენზე ნაკლები „მეგრელი“ მართლაც შემირცხვენია.

ივლისის სისხლიანი მოვლენების წინ მშობლიურ სოფელში ხმა გამივრცელეს, თითქოს აფხაზ სეპარატისტებს მივეყიდე. ახლა ა. გვარამია გაჰყვირის, რომ თითქოს მეგრელების მოძულე ვიყო და, საქართველო, აფხაზი პროვოკატორებივით, ორ ნაწილად დამეყოს აფხაზეთში. ხომ არ გეცნობა, მკითხველო, ა. გვარამიას ცილისწამებაში განსაკუთრებული სამსახურის წარმომადგენელთა დახვეწილი ხელწერა?!. არადა, ჩემი განცხადება საყვარელიძისადმი, ალბათ, საოლქო კომიტეტის არქივში დევს, სადაც პირდაპირ ვწერდი, რომ ჩემი გვარი არ მოსწონთ, ალბათ აქ, აფხაზეთში-მეთქი, რაც შემდგომი მოვლენებით მთლიანად დადასტურდა, როცა „ქართველთა“ და „მეგრელთა“ დანაწევრება აშკარად დაიწყეს.

შენც კარგად იცი, ბატონო ანზორ, ერთხელ ალმანახ „რიწის“ პასუხისმგებელ მდივნად დამნიშნეს, მაგრამ შენისთანა გულბოლმიანმა მომწერლო ელემენტებმა შეთქმულება მომიწყვეს და გადამაყენეს (გვარი კი არა, პრინციპულობა არ მოსწონდათ ჩემი), მეორეჯერ ალმანახ „რიწის“ რედაქტორობა შემომთავაზეს, მაგრამ, როცა აუცილებელი პირობები წამოვაყენე ალმანახის არსებობისათვის და არ მიიღეს, უარი განვაცხადე რედაქტორობაზე და შვებულებაში გავედი. მესამეჯერ იმავე ალმანახ „რიწის“ რედაქტორად სოხუმში ჩემი არყოფნისას დამნიშნეს, ჩემთვის არც უკითხავთ, ისე, შენც კარგად იცი და სხვებმაც. როცა ჩამოვედი, უარი განვაცხადე, რადგან სხვა მეჭირდა მაშინ. მაგრამ ორჯერ გამომიძახეს თბილისში, მთავარ სარედაქციო კოლეგიაში და მაიძულეს, დამეწყო მუშაობა. სამი თვე ვმუშაობდი, ორი ნომერი მოვამზადე სტამბაში ჩასაშვებად და ტელეფონის ზარი გაისმა თბილისიდან, მთავარი სარედაქციო კოლეგიის თავმჯდომარე, ბატონი ოთარ ნოდია მირეკავდა, გურამ ენუქიძემ ცეკაში კინაღამ გამლახა, ჩემს დაუკითხავად რედაქტორი რატომ დანიშნეო, თუ კაცი ხარ და ძმა, ნუ გადამაყოლებ ამ საქმეს, დაუბრუნე მასალები ძველ რედაქტორსო. არაფერი მითქვამს ორი სიტყვის გარდა, ჩემს მეტი სათამაშო ვერავინ ნახეთ-მეთქი და, როგორც მითხრა ბატონმა ოთარმა, ისე მოვიქეცი. არ იყო ეს პატიოსანი საქმე და ნამოქმედარი, მაგრამ საჩივრის დაწერა კი არა, ხმაც არ ამომიღია; იცი შენ, სხვებმაც იციან, თუ ვის არ აწყობდა და რატომ არ აწყობდა ჩემი რედაქტორობა, მაგრამ თავს ისულელებ. ცალკე უბედურება, ცალკე ეს შეურაცხყოფა, ცალკე კიდევ უთქმელობა და მეათე დღეს უკვე ინფარქტით საავადმყოფოში წამიყვანეს. საჩივარი კი არა, საყვედურიც არავისთვის მითქვამს. ამ საქმის ყველა მოწმე-მონაწილე, მადლი ღმერთს, ცოცხალია, მათ შორის ბატონი ოთარ ნოდიაც და ბატონი გურამ ენუქიძეც და გაიკითხეთ, ერთი სიტყვა, ერთი საჩივარი თუ მიმიწერია სადმე.

ვითომ არ გეფიქროს და არ იცოდე, ბატონო ანზორ, რატომ ხდებოდა ყოველივე ეს ჩემს გარშემო?!.

საქართველოს რუსთაველის საზოგადოების ყრილობის ტრიბუნიდან ჩამოგაგდეს სტვენა-სტვენითო, სწერ. იმ ყრილობის ტრიბუნიდან მე სულ ცოტა 10-15 წუთს ვილაპარაკე და შენ რომ გასული წლის ჟურნალ „ცისკრის“ მეთორმეტე ნომერში დაბეჭდილ ჩემს წერილს გადაწვდი და, რომ წამოგცდა, არა უშავდაო, სწორედ იმ წერილს ვკითხულობდი ტრიბუნიდან. სტვენა ნამდვილად არ გამიგონია, მაგრამ როცა სამხედრო პროკურატურის ვანდალიზმზე დავიწყე ლაპარაკი, ერთი-ორი ტაში ვილაცამ კი წამოტატყუნა, ისიც ვიცი, ვისი იყო ის ტაში. ასედაც რომ არ იყოს, შენისთანა ერთი-ორი პროვოკატორი, თუ მეტი არა, ყველა საკრებულოში და დარბაზში ზის და რა არის ამაში გასაკვირი?!. სწორედ იმ წერილს ვკითხულობდი მაშინ, „ცისკარში“ რომ დაიბეჭდა და დაიბეჭდა ისე, რომ ერთი სიტყვაც არ შეცვლილა. წერილის ანოტაციაშიც სწორედ ასე წერდა რედაქცია, თუ გახსოვს და თუ მახსოვრობა სულ არ დაგქვეითებია, სულ ცოტა 60 ათასმა კაცმა წაიკითხა ის წერილი და დაე, მათ განსაჯონ. და განსაჯეს კიდეც... ის სტატია ინგლისურად ითარგმნა უკვე და თავის საქმეს აკეთებს... შენ კი როდემდე უნდა იცხოვრო, ანზორ, ამგვარი პროვოკატორობით, გადაგდებებითა და მართლაც ავკაცობით. იმ წერილში, „გზა სიმართლისა და გზა სიცრუისა“, ჩემი სულიერი ტრავმებით სპეკულაცია დამწამე. ის, რაც 6 წლის წინათ მოხდა, იმაზე საქვეყნოდ ერთხელ ვილაპარაკე და ვილაპარაკე მხოლოდ იმიტომ, რომ იგი, ჩემის ღრმა რწმენით, უშუალოდ დაკავშირებულია აფხაზეთის ამბებთან და პარალელს ვავლებდი იმასთან, რაც ალვნიშნე აფხაზეთის მწერალთა კავშირის პლენუმზე, აჩიგვარაში რუსთაველის ძეგლის გადაჭრასთან დაკავშირებით, და იმასთან, რაც შემდეგ მე და ჩემს შვილს გადაგვხდა. შენ და შენი რედაქტორი კი „ვაშინერსის“ ყველა საზღვარს გადახვედით და ერთხელ კი არა, ათჯერ, პირდაპირ ჭრილობებზე მაბიჯებთ ფეხს და შიგ სულში მაფურთხებთ. ვინ აუკრძალა ადამიანს, ილაპარაკოს და წეროს იმაზე, რაც გადახდა და ეძიოს სიმართლე?!. ნუთუ საქართველოს ჰელსინკის კავშირის — ეროვნული ალორძინების აფხაზეთის ორგანიზაციის გამგეობის წევრს ამდენი არ უნდა ესმოდეს?!. იცით კი, საერთოდ რატომ შეიქმნა ჰელსინკის კავშირი, რატომ დაიწერა მისი ცნობილი დეკლარაცია და ვის ინტერესებს უნდა იცავდეს იგი?!. და თუ იცით, რატომ მიკრძალავთ დავიცვა ჩემი მოქალაქეობრივი უფლებები?!. განა ერთხელ მაინც არ გინახავთ თბილისში, სამხატვრო გალერეის წინ თვეობით მსხდომი შვილმოკლული დედების (მამებიც იქვე დგანან!) აქციები, შემზარავი ფოტომასალებითა და მტკიცებებით?!. იქნებ თქვენ მათაც დასცინოთ და აუკრძალოთ სიმართლის ძიება?!.

თუ გახსოვს, ბატონო ანზორ, თბილისში, საგანგებო კონფერენციაზე სიტყვა ჩამოგიგდეს აფხაზეთის სახალხო ფრონტის წარმომადგენლებმა, შენს პირველ წერილზე — „სიტყვა მოუზომელი“, გაზეთ „საბჭოთა აფხაზეთში“ რომ დაბეჭდე. დამორცხვებით გითქვამს, ცოტა ნასვამი ვიყავი, რომ ვწერდი და გადავაჭარბეო. ვიცი, ანზორ ბატონო, რასაც ნიშნავს შენი „ცოტა ნასვამობა“, ზოგჯერ ფსიქიატრიულ ჩარევამდე რომ მიდის. ან კი შეიძლება ნასვამმა და ნაბახუსევმა კაცმა აიღოს ხელთ კალამი და ერის ბედზე თუ უბედობაზე წეროს?!

ეროვნული მოძრაობა და მოღვაწეობა თქვენ რა, სუფრასთან ღრეობა ხომ არ გგონიათ?!.

და კიდევ ერთი, ბატონო ანზორ, იმ ღამით, როცა შენი და შენი რედაქტორის უკანასკნელი წერილები იბეჭდებოდა „საბჭოთა აფხაზეთის“ ფურცლებზე, თუ გახსოვთ, სახალხო ფრონტის წარმომადგენლები მოვიდნენ რედაქციაში და გირჩიეს, არ გადაგედგათ ეს პროვოკაციული ნაბიჯი. „თუ გახსოვთ“-მეთქი, იმიტომ ვწერ, რომ მაშინაც კარგა მაგრა ყოფილხართ გადაკრულში. შენც და შენი პარტნიორებიც...

რაშია საქმე, წინასწარ რას ილხენთ, რას ზეიმობთ?!. ქართველი კაცი ასე იტყვის ხოლმე, ცუდის ნიშანია წინასწარი ზეიმიო.

სწორედ ერთ-ერთი შენი ეს პარტნიორთაგანი ბრძანდებოდა, გასული წლის აპრილის გაფიცვების ჩაშლის მცდელობისათვის აწ განსვენებულმა სოსო ადამიამ რომ გაახილაქა და კიდევ მეორემ ლაზათიანი ჰიტლაყი უთავაზა, როცა მისთვის ჩვეული თავხედობით ცდილობდა ხალხის დაშლას. მაგრამ ასეთი რამ თქვენისთანა ადამიანებისათვის ღვთის წყალობად მიიჩნევა, ოღონდ „დავალებული“ ალასრულონ.

ანზორ გვარამია ერთ-ერთი წერილის სათაურს — „შხამადაც შერგებია...“ გვიწუნებს და გვტუქსავს, რომ ასეთი წყევლა-კრულვით შორს ვერ წახვალთო, და ან არ იცის, ან სხვა და სხვა საქმეებით გართულს, დაავიწყდა, რომ ეს სიტყვები ილია ჭავჭავაძეს ეკუთვნის და არა „ოქროს საწმისს“ და სწორედ სამშობლოს მოღალატეთა გასაკიცხად დაიწერა. ჩვენც საქვეყნოდ ცნობილი ოზგანის ქართველ თანამესუფრეთა გაკიცხვის მიზნით გამოვიყენეთ დიდი კლასიკოსის სიტყვები და რა არ მოსწონს ამაში ჩვენს „თანამედროვე კლასიკოსს?!“.

რაც შეეხება „აჯიკიან საკმაზს“, ეს ხალხიდან აღებული სარკაზმული ეტიუდებია და არა ანეგდოტები, ხალხი კი არასოდეს ცდება და არც სხვა ხალხს უპირისპირდება. ხოლო, რომ ბრძანებთ, ბატონო რედაქტორო, ბაზრის აჯიკის დონეზეა დაწერილიო, ნუთუ არ მოგეხსენებათ, რომ ოჯახში დამზადებული აჯიკის ხარისხი გაცილებით მაღალია, ვიდრე ფაბრიკისა?!.

* * *

ხოლო, რაც შეეხება „ოქროს საწმისის“ მეორე ნომერში დაბეჭდილ წერილს: „ჭკვიანი დამნაშავენი საგიჟეში“, ამ წერილის თაობაზე საჩივარი არავის დაუწერია და თუ კომისია მუშაობს, მხოლოდ ჩვენი ოფიციალური მიმართვის საფუძველზე. შენ კი ფერებს რად ამუქებ, თუმცა ეს შენი ხელობაა, ანზორ ბატონო, ...და, რაც იმ წერილში წერია, როგორც შემდგომა მოვლენებმაც დაადასტურეს, ზღვაში წვეთია და თქვენი საეჭვო თავგამოდებით რად იცავთ იმ ვიღაც-ვიღაცეებს, რომლებიც თავად ხმას არ იღებენ. ვიცი შენი საეჭვო კავშირებისა და გარიგებებისა, ანზორ ბატონო, და „ერთაშორის ურთიერთობების“ სპეკულაციით თავგამოდებას მოეშვი. ეს წმიდათაწმიდა ხალხის საქმეა და არა მაკლერთა.

გაზეთ „საბჭოთა აფხაზეთის“ მკითხველი თუ ყურადღებას მიაქცევს ა. გვარამიას ჟურნალისტურ „მოღვაწეობას“, შეამჩნევს, რომ მისი შემოქმედების თემატიკა მრავალფეროვანია, გამონაკლისი ამ მხრივ მხოლოდ მორალის თემა გახლავთ.

რატომ? — იკითხავთ ალბათ.

იმიტომ, რომ ა. გვარამია თვით არის მორალურად დაცემული (სიტყვა „დაცემული“ ამ შემთხვევაში სწორედ თავის ადგილზეა ნახმარი, პატ. რედაქტორო!) და მას რედაქციის ყოფილმა ხელმძღვანელობამ მორალის თემაზე წერა აუკრძალა. ბევრისთვის ცნობილია, რომ ა. გვარამიამ სამი ოჯახი გააუბედურა და მიატოვა და დრო იყო, ყოფილ ორ წყება ცოლ-შვილს ოფიციალურად უხდიდა ალიმენტს (რასაკვირველია, იგი სასამართლოს ძალით აიძულეს, თორემ ნებით რისი გადამხდელი იყო?!.), ხოლო მესამე წყება ცოლ-შვილს გარიგებით, ხელზე აძლევდა ფულს, გაზეთის გამომცემლობის ბუღალტერიაში გაგიკიდებიან, სამი მიმართულებით ფულის გაგზავნა რომ მოუწევთო.

ა. გვარამია წერს — თუ მთავრობას მივეყიდე, სადაა საზღაური? არც თბილისში, არც სოხუმში მთავრობას ბინა არ მოუცია ჩემთვისო.

ჯერ ერთი, ასეთი რამ მე თქვენთვის არ დამიბრალებია, მაგრამ რადგან თავად იბრალებთ, კეთილი... თბილისის ბინის შესახებ ცოტა ქვემოთ მოგახსენებთ, ხოლო სოხუმში მთავრობა ბინას დიახაც ვერ მოგცემდა, რადგან, როგორც კი ჩამობრძანდი სოხუმში, სულ მალე უკვე რიგით მეოთხე ცოლის კუთვნილ ორსართულიან სახლში ზედსიძედ შეხვედი, ხოლო მანქანა მართლაც მიიღე 1978 წელს, იმათზე უწინაც, რომლებიც შენზე 20-30 წლით ადრე მუშაობდნენ რედაქციაში და სულ მალე კიდეც მიაყიდე. თუ გახსოვს, სწორედ იმ მანქანით მოვიარეთ თითქმის მთელი აფხაზეთი მე და შენ, რათა აფხაზი ექსტრემისტების საპასუხო გამოსვლა მოგვემზადებინა, მაგრამ დანიშნულ დღეს რაიონებიდან არავინ ჩამოსულა. როცა ერთ-ერთ ჩვენს მიერ გაფრთხილებულ პიროვნებას შევეკითხე, ერთი-ორი წლის შემდეგ, რატომ არ ჩამოხვედი დანიშნულ დროს და ხალხი არ ჩამოიყვანე-მეთქი, მომიგო, თქვენ ხომ გამოგზავნეთ კაცი და ხომ შემოთვალეთ, არ ჩამოხვიდეთო? დიდი ხვეწნა-მუდარის შემდეგ გამიმხილა, რომ ის ჩასული „კაცი“ შენ იყავი და შენ უთხარი, რომ გამოსვლა არ იქნებაო. ასეთ რამეებში, კარგად გახსოვს, ჩვენ ვიხაც ვადანაშაულებდით, მაგრამ ის აშკარად გამოდიოდა იმ „გამოსვლების“ წინააღმდეგ, შენ კი?!.

სწორედ მას შემდეგ მიგიჩნიე 30 ვერცხლიან კაცად, ანზორ ბატონო!..

ისევ ალიმენტს დავუბრუნდეთ...

ბევრი თავის ტეხა არ არის საჭირო, იმის მისახვედრად, როგორი ხინდისიერებით უხდიდი ალიმენტს შენს მიერ გაუბედურებულ მრავალრიცხოვან ცოლ-შვილს. ჰონორარს იმ ხალხის სახელზე აწერინებდი, რომელთაც თავის დღეში არ სჭერიათ კალამი ხელში...

უეჭველია, მკითხველს გაუჩნდება აზრი, კი მაგრამ, ასეთი ბიოგრაფიის კაცმა ასეთ საქმეს ხელი რატომ მოკიდაო. ჰო, მაგრამ, სხვანაირი ბიოგრაფიის კაცი მოკიდებდა კი ხელს „ასეთ საქმეს“?

ესეც ჩვენი ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ლიდერი!.. და აქვს კი ასეთ ადამიანს უფლება, წეროს მორალის თემაზე, შეეხოს ჩემს პირად ღირსებებს და უზნეობის ჭაობში ჩაფლული მიწოდოს?!.

მაგრამ ამ შემთხვევაში, ჩემთან პირადი ანგარიშსწორების მიზნით, გაზეთ „საბჭოთა აფხაზეთის“ ახლანდელმა რედაქტორმა ა. გვარამიას ეს ტაბუც ახსნა და მერე როგორ? — მთელი გვერდები გაზეთისა დაუთმო და ორთავემ ერთად ცილისწამების წუმპეში გამსვარეს.

ა. გვარამიაზე, როგორც ხედავთ, ლაპარაკი ზედმეტია, მაგრამ განა თვით რედაქტორს ასეთი საქციელი მორალურად ჩაეთვლება?

ა. გვარამია სიცრუის კორიანტელს აყენებს, როცა წერს: “50-ს გადაცილებული კაცი სულ რალაც 4 წიგნის ავტორი ვარ, შენ კი პატ. ჯანო, ყოველ წელიწადს პერედელკინოში და ბიჭვინთაში (უნდა იყოს: პერედელკინოსა და ბიჭვინთაში — ჯ. ჯ.) გარბიხარ, ერთ-ორ თვეში 10-15 თაბახის მოცულობის (უნდა იყოს: ოდენობის — ჯ. ჯ.) წიგნებს აცხობ, დიახ, წიგნებს, მაღაზიების თაროებს წლობით რომ აბეზრებს (უნდა იყოს: აბეზრებენ — ჯ. ჯ) თავსო.

მკითხველისათვის ცნობილი მიზეზების გამო მე მე-6 წელია, მივლინება შემოქმედებითი მიზნით არ გამომიყენებია (მხოლოდ ერთხელ, როგორც გამონაკლისი, ადრე წასული პოეტის ლექსები ვთარგმნე) და მთელი ჩემი ძალა და ენერგია მხოლოდ სიმართლის ძიებას შევალიე. ბიჭვინთაში კი მე ასეთი მივლინებით საერთოდ არ ვყოფილვარ. მაგრამ ასედაც რომ ყოფილიყო და მწერალს მწერალთა კავშირის შემოქმედებითი სახლით მესარგებლა და ლექსები მეწერა, განა ეს დანაშაულად უნდა ჩამეთვალოს?!.

პროდუქტიულობა მწერლისათვის თუ ნაკლია, მაშინ ლერმონტოვსა და პუშკინს (თავს კი არ ვადრი მათ, მაგალითი მომყავს) უნდა წავუყენოთ ეს ბრალდება, რომ პირველმა 27 წლისამ, მეორემ კი — 37-სამ ათეულობით ტომი დაუტოვეს შთამომავლობას.

რაც შეეხება იმას, რომ თითქოს ჩემი წიგნებით მაღაზიის თაროები იყოს დაზურგული, მე, რასაკვირველია, არ ვიტყვი ზოგიერთივით, ვარსკვლავებს ვკრეფ და მკითხველს ვაბედნიერებ-მეთქი, მაგრამ ის, რომ ჩემი წიგნები თაროებს თავს აბეზრებდნენ, ამის შემოწმება მკითხველიისთვის მიმინდვია. თუმცა კმარა თავის მართლება... ახლა ასეთი სტრიქონები მინდა შეგახსენო, ანზორ ბატონო, თვალი კარგად მიადევნე: „...თანამედროვე მკითხველი ჯანო ჯანელიძის კრებულებს გულგრილად ვერ ჩაუვლის, უსათუოდ აიღებს მათ ხელში და ახალ, მისთვის ჯერ უხილავ სამყაროში მოგზაურობის სურვილით განიმსჭვალება... მაღალ პოეტურ ფორმაშია გაცხოველებული ადამიანური ხედვა, ადამიანური თანადგომის უზენაესი იდეა... ჯანო ჯანელიძის პოეტურ თვალსაწიერზე ნათლად და შთამბეჭდავად გამოიკვეთა საკუთარი კონცეფცია, მისი შემოქმედების მთავარი მიმართულება. და ამ ნათელ თვალსაწიერს იქით ისახება ახალი და ახალი თვალსაწიერი, რომელიც უფრო ძლიერი იმედებით გვიახლოვდება, შორეული ცისარტყელების ელვარებით და იდუმალებით გვეზიდება, უფრო საინტერესო და საოცნებო სამყაროსაკენ...“ დიახ, ხომ არ გეცნოთ, ბატონო ანზორ, ეს სტრიქონები? ხომ არ შეგახსენოთ, ვისია, ისევ მეხსიერება ხომ არ გღალატობთ?!. დიახ, ეს შენი სტრიქონებია ჩემი შემოქმედებისადმი, ექვსი წლის წინათ მოძღვნილი, და ჯერ გაზეთ „საბჭოთა აფხაზეთში“ დაბეჭდილი და შემდეგ გამომცემლობა „ალაშარაში“ დასტამბულ შენს „ლიტერატურულ წერილებში“ ჩაბეჭდილი, თითქმის 500-მდე სტრიქონი, სულ ქებათა ქება. ახლა რა ღმერთი გაგვიწყრა მე და ჩემს წიგნებს, რომ ექვსი წლის წინათ მკითხველი გვერდს ვერ აუვლიდა, ხელში არ აღლ ის კრებულები და დღეს კი მაღაზიის თაროებს თავს აბეზრებენ?.. როგორ გავიგოთ ეს მეტამორფოზა? ან მაშინ სტყუოდი, ჩემო ანზორ, ან ახლა სტყუი!.. და ვინც ერთხელ ტყუის, მას შეუძლია სულ იცრუოს. არ შეიძლება, ანზორ ბატონო, კალმით ვაჭრობა. ვინც კალმით ვაჭრობს, ის სინდისით ვაჭრობს და ვინც სინდისით ვაჭრობს, ის ყველაფრით ვაჭრობს. და ასეთ კაცს შეიძლება ეროვნული მოძრაობის დროშა ჩააბარო?!. ამის პასუხს უკვე, ანზორ ბატონო, შენგან კი არა, სხვებისგან მოველით!..

რაც შეეხება შენს მწერლურ მოღვაწეობას, 50-ს გადაცილებული კაცი 4 წიგნის ავტორი ვარ და მეტის არაო, რომ ბრძანებთ, მართალი რომ გითხრათ, შენ ენგურგაღმა მწერლად არც არავინ გიცნობს და გთვლის, და თუ ენგურგამოღმა მწერლობ, ესეც ჩვენივე დათმობებითა და რაღაც შეღავათებით ხდება და ლიტერატურული საქმოსანი ნ. ხუნდაძე კი არ არის, ათეულობით ორიგინალური და ბრწყინვალე თარგმანების წიგნის ავტორი, არამედ შენ ხარ. სხვანაირად 50-ს გადაცილებული კაცი, რომელიც პროფესიონალი მწერალი არ არის და არც პერსპექტივა აქვს, გახდეს, უნდა მოეშვას კალამთან ღლაბუცს და ფულის კეთების ის გზა აირჩიოს, რომელიც შენ ასე ძალიან გეხერხება და რისი წყალობითაც ერთხელ (თუ მეტჯერ არა?!.) ციხეში ამოჰყავი თავი (თბილისში მშობლების მიერ ნაყიდი ბინა სწორედ მაშინ მიაყიდე!), რის შედეგადაც საკუთარი დედა შეიწირე და ღვიძლი ბიძა (დედის ძმა) დღესაც ხმას არ გცემს, როგორც საკუთარი დედის მკვლელს. ხოლო ერთმა, აწ გარდაცვლილმა ჩვენმა კოლეგამ და მეგობარმა, შენი ინტრიგებითა და აყალ-მაყალით თავგაბეზრებულმა, ვერაფრით რომ ვერ მოგიშორა თავიდან, გასაჭირში შეტანილი შენი ბინძური ფული, უკანვე, ფოსტით გამოგიგზავნა.

ყველაფერი ეს სწორედ თქვენს რედაქციაში ხდებოდა და ყველაფერი ეს „საბჭოთა აფხაზეთის“ კოლექტივს კარგად მოეხსენება. ამიტომაც გაოცებას ვერ ვმალავ, როგორ იტანენ ასეთ კაცს, როგორ აძლევენ ასეთ ფართო ასპარეზს გაზეთის ფურცლებზე?!. და რატომ ყველა ერთად იბრმავებს თვალებს?!.

კარგ კაცს კი დაეწყვილეთ პაექრობასა და ჩემთან ჭიდილში, ბატონო რედაქტორო, მაგრამ ხომ იცით ძველი ბერძნული სიბრძნე, მითხარ, ვინ არის შენი მეგობარი და გეტყვი, ვინცა ხარ შენო!..

პატივცემულო ოპონენტო, მტკიცებას ვერა და ვერ დავიწყებ, პოეტი ვარ თუ არა. მე კი არა, თვით დიდი ვაჟა, დღეში სამჯერ მაინც დაეკითხებოდა საკუთარ თავს დაეჭვებით, ნეტავ პოეტის თუ მცხია რამეო, ხოლო გენიალურმა ბეთჰოვენმა ამ სიტყვებით დატოვა წუთისოფელი: „ბოლოსდაბოლოს, თურმე მეც მქონია ცოტაოდენი ნიჭი“-ო. ა. გვარამიას კი, „ლიტერატურული წერილების“, ამ პრეტენზიული სათაურის პრეტენზიულ ავტორს, იმდენად ზერელე და ყალბი შეხედულება შექმნია ლიტერატურასა და, სახელდობრ, თვით პოეზიაზე, რომ ჩემი განქიქებისათვის ბუქნაობასა და უბედობაში გართულს, ვერც წარმოუდგენია, რომ 10-15 თაბახი ლექსების ერთ-ორ თვეში მოქუჩება მე კი არა, ლერმონტოვი და პუშკინი რომ წამოაყენოთ საფლავებიდან და მიავლინოთ პერედელკინოსა და

(დასასრული მე-11 გვ.).

# აწმყო — წარსულის განმეორება

## 1917 წელი: ჩვენ და აფხაზები

იყვანო — შენიშნავს ივ. გომართელი.

რადგანაც აფხაზები და სამურზაყანოელი ქართველები ერთად ცხოვრობდნენ, ერთ ოლქს შეადგენდნენ, „ამიტომ აუცილებელია, საჭიროა მათ შორის სრული მეგობრული განწყობილება და თანხმობა. ამას მოითხოვს როგორც ინტერესი რევოლუციისა (იგულისხმება თებერვლის რევოლუცია — ჯ. გ.), აგრეთვე აფხაზებისა და მეგრელების კეთილდღეობა“.

ამ კავშირის განმტკიცება ჰქონდა მიზნად საქართველოს ინტერპარტიული საბჭოს დეპუტაციას აფხაზთა და სამურზაყანოელთა გაერთიანებულ კრებაზე, რომელიც 8-9 ნოემბერს ჩატარდა სოხუმში, — აღნიშნავს ივ. გომართელი.

„აფხაზთა წარმომადგენლები არა თუ ცივად, თითქმის მტრულად შეხვდნენ ქართველების დეპუტაციას კრებაზე. მათ წინდაწინვე ჰქონდათ გადაწყვეტილი, რომ დეპუტაციის რჩევა უკუეგდოთ და მტკიცედ დაეცვათ თავისი პოზიცია... აფხაზებმა შეკრეს კავშირი მთიულებთან და კაზაკებთან, შემდეგ მოიხმეს სამურზაყანოს მეგრელები და განუცხადეს: თუ ჩვენთან მეგობრული ცხოვრება გინდათ, ამ კავშირში უნდა შემოხვიდეთო“. ამგვარი საქციელი ივ. გომართელს დაუშვებლად მიაჩნია, სანამ კავშირს შეკრავდნენ, აფხაზები ვალდებულნი იყვნენ მეზობლების აზრი გაეგოთ.

„როდესაც აფხაზები მთიულებს და კაზაკებს უკავშირდებიან მეგრელების ზურგს უკან, მეგრელებმა უკვე იციან, რომ ამ კავშირს აფხაზები მათ წინააღმდეგ აწყობენ. სხვანაირად ახსნა აფხაზების არაინტერნაციონალური და არადემოკრატიული მოქმედებისა ყოვლად შეუძლებელია... აფხაზებმა ძალიან კარგად იციან, რომ სამურზაყანო საქართველოს ნაწილია და სამურზაყანოს მცხოვრებთა უმრავლესობა, გარდა ორი-სამი სოფლისა, მეგრელები არიან“. მიუხედავად ამისა, ყრილობის ერთმა დელეგატმა განაცხადა: სამურზაყანო იგივე აფხაზეთიაო. სამურზაყანო რომ საქართველოს ნაწილია, ეს ყველამ იცის, მაგრამ ინტერპარტიული საბჭოს დეპუტაცია, გაითვალისწინა რა თავისი მდგომარეობა და მიზანი, არ დაადგა პოლემიკის გზას. ისე პატარა აფხაზეთი ერთხელ და სამუდამოდ უნდა „გამოეთხოვოს იმ აზრსა და ოცნებას, რომ ის ვისმე გადაყლაპვით საკუთარ თავს გაზრდის“. ნებისმიერ შემთხვევაში აფხაზებს ქართველებთან მტრული განწყობილება არ გამოადგებათ. თუ მათ ერთმანეთი დათმეს, ეს ორივესათვის მეტად საზიანოა.

როცა აფხაზები მეგრელებს ეუბნებიან, მთიელებისა და კაზაკების კავშირში შემოდითო, ამით მათ სურთ მეგრელები თავის ერს ჩამოაშორონ. „აფხაზებს კარგად უნდა სცოდნოდათ, რომ მეგრელები ქართველები არიან და ქართველ ერს ვერავითარ საკითხში ისინი ვერ ჩამოშორდებიან, ვერ გამოეყოფიან“.

ინტერპარტიული საბჭოს დეპუტაცია და სამურზაყანოელები ურჩევდნენ აფხაზებს მოეწესრიგებინათ აფხაზ-მეგრელთა შეკავშირების საკითხი, ხოლო მთიელებთან ურთიერთობის საკითხი კი ჯერ-ჯერობით ღიად დარჩენილიყო. აფხაზები თავისას არ იშლიდნენ, მაშინ „სამურზაყანოელმა მეგრელებმაც უარი განაცხადეს (მთიელებთან კავშირზე — ჯ. გ.), ქართველ ერს ჩვენ ვერ გამოვეყოფით, ყველგან და ყოველ კავშირში ჩვენ მას უნდა გავყვეთო“.

ივ. გომართელს სურს გაერკვეს აფხაზებსა და ქართველებს შორის ურთიერთობის გამწვავების ეკონომიკურ და პოლიტიკურ მიზეზებში. მისი აზრით, „აფხაზები არც მეურნეობას მისდევენ, არც ხვნა-თესვას, არც ვაჭრობას, არც მრეწველობას, არც ხელოსნობას“. სამაგიეროდ ნებისმიერ გლეხს აქვს 30-60 დღიური და ზოგან მეტი მიწა. „აფხაზი მოხდენილია, ტანადი, ლამაზი, მას უყვარს ცხენი, ქეიფი, ბუნება—შრომა, მუშაობა კი — არა. მიწა იმდენი აქვს რომ, შეუძლია თვითონ არ იმუშაოს“. მას იჯარით აძლევს მეგრელს, ბერძენს, სომეხს.

სომხები და ბერძნები აფხაზეთში უმთავრესად მრეწველნი არიან, ისინი იღებენ იჯარით აფხაზის მიწას, მოჰყავთ თამბაქო, იგებენ დიდძალ ფულს და იჯარას წინასწარ იხდიან. ამიტომ ეკონომიკურ ნიადაგზე აფხაზებს, სომხებსა და ბერძნებს შორის უკმაყოფილება არ არსებობს.

„ნამდვილი მიწის მუშა აფხაზეთში მეგრელია. ყოველი მოძრაობისა და რევოლუციის დროს აფხაზსა და მეგრელს შორის იბადება უთანხმოება, რადგან პირველია მემამულე, მიწის პატრონი, მეორე კი მიწის მუშა.

რევოლუციის ხანაში მეგრელი აფხაზს მოსავალს ან არ აძლევს, ან აძლევს ნაკლებს.

სოციალისტური ქადაგება: მიწა მშრომელს, მიწის მუშასო, მეგრელებში ფეხს იკიდებს და ეს კი აფხაზს აფრთხობს.

აფხაზი შიშობს: „ვაი თუ ჩემი მიწა მეგრელმა წამართვასო“.

ყოველივე ამის გამო აფხაზი გაურბის ქართველს და სხვაგან ეძებს ხსნას და შველას. ქართველებში თანდათანობით ძლიერდება დემოკრატიული შეგნება, ეს გავლენას უკარგავს, ნიადაგს აცლის აფხაზეთის თავადაზნაურობას, რომელსაც დიდი გავლენა აქვს აფხაზებში. „აფხაზეთის გლეხობა ბრმად ემორჩილება თავის თავადაზნაურობას. აქ არ არის ისეთი წოდებრივი განხეთქილება, როგორც ჩვენში, რადგან არ არის მიწის ისეთი სივიწროვე და ისეთი ეკონომიკური დამოკიდებულება წოდებებში, როგორც ჩვენში.

აფხაზეთის თავადაზნაურობას უნდა საკუთარი გავლენის შერჩენა. ამ გავლენას საფრთხე მოელის სამეგრელოდან, რადგან შემოდის დემოკრატიული და სოციალ-დემოკრატიული აზროვნება. ამიტომ აფხაზეთის თავადაზნაურობა ცდილობს მეგრელებს ჩამოშორდეს და ამით საკუთარი გავლენა უზრუნველყოს აფხაზეთში.

ერთადერთი მთელ აფხაზეთში გიორგი შერვაშიძეა, რომელიც ქართულ ორიენტაციას ატარებს, დანარჩენები ქართველებს და საქართველოს გაურბიან.

ამას უნდა მივუმატოთ ის გარემოება, რომ აფხაზეთში დასახლებული არიან რუსები, რომელთა ერთი ნაწილი შავრაზმულ აგიტაციას ეწევა. რაც უფრო აიმღვრევა წყალი, რაც უფრო გამწვავდება აფხაზეთში ეროვნული ურთიერთობა, რაც უფრო მეტ საფრთხეში ჩავარდება აქ რევოლუციის ბედი, მით უფრო სასარგებლო იქნება ამგვარი შავრაზმელებისათვის და ამიტომ აფხაზებს ყურში ჩასჩურჩულებენ: მეგრელები, ქართველები თქვენი დამღუპველი არიან, ჩამოშორდით, გარეკეთ აქედან და მთელ აფხაზეთს თქვენ დაეპატრონეთო.

ამას უნდა დავუმატოთ ეროვნული თავმოყვარეობა.

ქართველები ნიადაგ მეგობრობას გვეფიცებით და საარჩევნო სიაში სოციალ-დემოკრატებმა ერთი აფხაზიც არ შეიტანეს; განა ჩვენ არ გვყავს სოციალ-დემოკრატები, განა აფხაზეთი არ არის ღირსი, რომ ერთი საკუთარი წარმომადგენელი ჰყავდეს დამფუძნებელ კრებაზედო.

აი, რას გაიგონებთ აფხაზეთში.

სიმართლე უნდა ვთქვათ, ეს საყვედური სრულიად სამართლიანია. აფხაზი არც ერთ სოციალ-დემოკრატს ისე არ ენდობა, როგორც აფხაზ სოციალ-დემოკრატს.

ამ გარემოებისათვის უსათუოდ უნდა გაეწიათ ანგარიში ჩვენს მენშევიკებს და სიაში შეეტანათ ერთი აფხაზი მაინც, მით უმეტეს, რომ ასეთი პირები მოეპოვება აფხაზებს...

აფხაზეთი განირჩევა საქართველოსაგან ზნე-ჩვეულებით, სარწმუნოებით (უმეტესობა მაჰმადიანია), ტრადიციებით, მდგომარეობით, წოდებრივი ურთიერთობით, მუშაობით, მიწისმფლობელობით.

ამიტომ ყოველივე იმის თქმა, რაც საქართველოში ითქმის, ამ მხარეში შეუძლებელია.

ზოგჯერ თქმითაც დაშავდებისო, აი, ეს მუდამ უნდა გვახსოვდეს.

აფხაზების გასოციალისტება, აფხაზეთში გლეხობისა და თავადაზნაურობის დაშორება ჯერ-ჯერობით ყოვლად შეუძლებელია, რადგან საამისო პირობები ცხოვრებას არ შეუქმნია.

ამიტომ, როდესაც ამა თუ იმ საზოგადო და პოლიტიკურ საკითხს ვეხებით აფხაზეთში, დიდი სიფრთხილე, გამჭრიახობა, წინდახედულობა და თავდაჭერილობა გვმართებს, რომ სარგებლობის მაგიერ, ზიანი არ მოვუტანოთ იმ საქმეს, რომელსაც ვემსახურებით.

ყოველივე აქ ჩამოთვლილ მიზეზებს ზედ ერთვის პანისლამისტური ქადაგება. აფხაზეთში მოდიან მთიელების წარმომადგენლები და ქადაგებენ, შემოდით ჩვენს კავშირში; თქვენს შინაურ ცხოვრებას ჩვენ არ შევეხებით; იცხოვრეთ და მოაწყვეთ თქვენი საქმეები, როგორც თქვენ გინდათ, ჩვენ მხოლოდ მფარველობას გაგიწევთო“.

მაშინ, როდესაც ეკონომიკური ურთიერთობა აფხაზ-ქართველთა შორის გამწვავებულია, ქართველები როგორც აფხაზი გლეხებისათვის, ისე თავადისათვის საფრთხეს წარმოადგენენ, როდესაც ძლიერდება ქართველობა აფხაზეთში, დემოკრატიული იდეალი ქართველთა წყალობით არღვევს აფხაზთა ურთიერთობას, ამავე დროს პანისლამისტები მიდიან მათთან და ეუბნებიან, გიხსნით, დაგეხმარებითო და თქვენს შინაურ ცხოვრებაში არ ჩავერევითო.

„გასაკვირალიც არ არის, თუ ასეთ პირობებში აფხაზები მთიელთა ორიენტაციას ღებულობენ და მთისკენ იწევენ. რა გზას უნდა დავადგეთ ჩვენ, ქართველები?

ჩვენ არავის არ მივცემთ ნებას, რომ ჩვენს შინაურ ცხოვრებაში ჩაერიოს, აგრეთვე არც ჩვენს თავს უნდა მივცეთ ნება, რომ აფხაზთა შინაურ ცხოვრებასა და ურთიერთობაში ჩავერიოთ.

სკოლა, ბიბლიოთეკა, კოოპერატივი — საერთოდ კულტურული მუშაობა — აი, რა უნდა გავაძლიეროთ ჩვენ აფხაზეთში.

აფხაზეთში მიწის საკითხის გადაჭრა არის აფხაზების საქმე და არა ჩვენი.

აფხაზების მიწა ეკუთვნის აფხაზებს და უნდა დარჩეს მხოლოდ აფხაზებს, სხვას არავის.

ყოველი ღონე უნდა ვიღონოთ, რომ აფხაზ-მეგრელთა შორის შეტაკებას არავითარი ალაგი არ ჰქონდეს...

ქართველმა დემოკრატიამ ყოველი ღონე უნდა იღონოს, რომ აფხაზეთმა მიიღოს ჯერ ერობა და შემდეგ ეროვნულ-ტერიტორიალური ავტონომია სოხუმის ოლქის იმ ნაწილში, სადაც უმრავლესობას აფხაზები შეადგენენ. სამურზაყანო კი შევა საქართველოს ავტონომიის საზღვრებში“.

ასეთი რეკომენდაციებით ამთავრებს ივ. გომართელი პირველ წერილს. ერთი კვირის შემდეგ, 1917 წლის 23 ნოემბერს, ქვეყნდება მეორე წერილი, სადაც ავტორი, პრინციპში, იმავე საკითხებს ეხება.

იგი აცნობს მკითხველებს ზოგიერთი მკვლევარის აზრს აფხაზთა აფრიკული წარმოშობის შესახებ. დიდი სიყვარულით, ღრმა ზთაგონებითა და მაღალი მხატვრული ოსტატობით აღწერს აფხაზეთის ბუნების განუმეორებელ სილამაზეს, აფხაზი მისთვის ამ ბუნების თავისუფალი შვილია. „შეუძლებელია აფხაზეთში ბუნება არ შეგიყვარდეთ, ბუნება არ გაალმერთოთ, — აგრძელებს ივ. გომართელი.

აფხაზმა მართლაც გაალმერთა ბუნება; აფხაზის სარწმუნოება თვითონ ბუნებაშია. აფხაზებში ორი სარწმუნოებაა — ქრისტიანობა და მაჰმადიანობა.

ნამდვილად კი აფხაზი არც ქრისტიანია, არც მაჰმადიანი: ის ბუნებას ეტრფის, ბუნებას სცემს თაყვანს, ბუნებას ალმერთებს, ის პანთეისტია...

საარაკო ბუნება ადამიანს ათრობს, აზარმაცებს.

აფხაზიც ზარმაცია.

ბუნება აქ მუდამ მხიარული, მუდამ მომღერალია.

აფხაზიც მუდამ მხიარულია, მუდამ მომღერალი.

ცხენი, ცეკვა, დროს ტარება — აი, აფხაზი. აფხაზის ცეკვა ზღვის ტალღების თამაშია. აფხაზი უსათუოდ ცერებზე უნდა შედგეს და ისე იცეკვოს.

აფხაზის ენა ლამაზია, კეთილხმოვანი; სიტყვა — მოკლე, მოხდენილი, ხმიანი. ზღვის ტალღების შრიალი, მთების კალთებს შუა ნიავის სისინი და კლდეების გამოძახილი.

აფხაზი მჭევრმეტყველია, ორატორია: ის იწყებს ლაპარაკს დინჯად, თანდათან ხმას უმატებს, სიტყვა სიტყვას მისდევს ტალღასავით; ჰქუხს, სჭექს, თვალები ბრწყინავენ, ტანი ირხევა; ხელები ხმას მისდევენ.

სასიამოვნო სასმენია და სანახავი, როდესაც აფხაზი ლაპარაკობს, მჭევრმეტყველობს.

აფხაზმა ვერ შექმნა კულტურა, ვერ შექმნა მწერლობა და დღეს ის დამახინჯებული რუსული ანბანით ცდილობს მწერლობის დანერგვას.

აფხაზეთის უმაღლესი წოდების სალიტერატურო ენა იყო ქართული.

აფხაზების ენას ქართული ანბანი ზედგამოჭრით შეეფერება.

თვითმპყრობელმა რეჟიმმა მისცა აფხაზებს გადამახინჯებული რუსული ანბანი მხოლოდ იმ მიზნით, რომ აფხაზები და ქართველები ერთმანეთისაგან დაეშორებია.

თვითმპყრობელობა გაქრა, მისი პოლიტიკა და მისი ანბანიც უნდა გაქრეს. აფხაზები დღეს საკუთარ ანბანს ვერ შექმნიან... ისინი უნდა დაუბრუნდნენ ქართულ ენას, ქართულ მწერლობას, იმ მწერლობას, რომელზედაც იკვებებოდა, იზრდებოდა და ვითარდებოდა აფხაზეთის უმაღლესი წოდება“.

აფხაზის ორიენტაცია დღეს არის მთიულ-ოსმალური, მათ ქართული არაფერი მოსწონთ, ამიტომ ისინი ქართულ მწერლობას დამახინჯებულ რუსულს ამჯობინებენ. ქართული კი უსათუოდ უნდა შევიდეს აფხაზეთში სკოლების, ბიბლიოთეკების, კოოპერატივების შემწეობით, — წერს ივ. გომართელი.

აფხაზებს რუსეთმა მუსრი გაავლო: ასიათასამდე კაცი ოსმალეთში გადაასახლა. დღეს კი მათი რიცხვი სამშობლოში 40-50 ათასს არ აღემატება. აფხაზების მთელი ტრაგედია სწორედ ამაშია — მცირერიცხოვნობაში. ეს კარგად ესმის აფხაზ ახალგაზრდებს და ერის გაზრდა სურთ ორი გზით. პირველს აშკარად აცხადებენ, მეორეს კი მალავენ.

პირველია გადასახლებული აფხაზების დაბრუნება ოსმალეთიდან და მათ დასასახლებლად ქართველების გამორეკვა აფხაზეთიდან.

თუ აურაზე მიდგა საქმე, — აღნიშნავს ივ. გომართელი, — უმალ უნდა აიბარგონ რუსის მოხელეები და ბიუროკრატები, რადგანაც გაძევებული აფხაზების ადგილ-მამული ამათ მიიღეს საჩუქრად. ამას გრძნობენ რუსის შავრაზმელები და მოსვენებას არ აძლევენ აფხაზებს: გარეკეთ ქართველებიო.

მეორე გზა არის სამურზაყანოს გადაყლაპვა. აფხაზი ახალგაზრდობის ეს განზრახვა გამომჟღავნდა ყრილობაზე. პირველი გზაც და მეორეც უტოპიურია.

თურქეთში ცხოვრობს გადასახლებულთა მეორე თაობა, ძირითადად იქ დაბადებულები, რომელთათვის სამშობლოა ოსმალეთი და არა აფხაზეთი. ისინი აქ არ ჩამოვლენ საცხოვრებლად. რამდენიმე ოჯახის გადმოსახლება კი მოსახლეობას საგრძნობლად ვერ გაზრდის.

„სამურზაყანოს გადაყლაპვა და გააფხაზება 50-ათას აფხაზს არავითარ საშუალებით არ შეუძლია, მით უმეტეს რომ, სამურზაყანოს მეგრელები რიცხვით, კულტურულად და ეკონომიურად აფხაზებზე წინ არიან.

აფხაზთა ახალგაზრდობის ერთი ნაწილი ფიქრობს, რომ, აფხაზების დღე დათვლილია, რომ მათ მომავალი არა აქვთ, რომ აფხაზები ვინმემ უნდა გადაყლაპოს. ეს ნაწილი ასე სვამს საკითხს: აფხაზებს აწვება ქართველობა და მუსლიმანობა. ან ერთმა, ან მეორემ აფხაზეთი უნდა გადაყლაპოს; ამიტომ რა უფრო უმჯობესია აფხაზებისათვის — ქართველებში გათქვეფა თუ მუსლიმანებში?

უმჯობესია ზღვას შევუერთდეთ, ვიდრე პატარა მდინარესო, მსჯელობენ აფხაზების ეს ნაწილი და ამჯობინებენ მაჰმადიანებში გათქვეფას.

თვითონ აფხაზთა ბედით თუ ვიხელმძღვანელებთ, სულ ერთი არ არის მათთვის, ვინ გადაყლაპავს, თუ კი ეს გადაყლაპვა აუცილებელია?

რასაკვირველია, სულ ერთია, მაგრამ აქ ემატება პანისლამიზმი და სწორედ ეს ხრის სასწორს მაჰმადიანებისაკენ.

ამნაირი შეხედულება ნაყოფია სასოწარკვეთილებისა.

ძველი დრო, როდესაც ცეცხლითა და მახვილით ანადგურებდნენ და სპობდნენ ერს, წავიდა. დღეს არსებობის დაცვა ყოველი ერისათვის ბევრად უფრო ადვილია, ვიდრე უწინ იყო“.

ეროვნული სახის შენარჩუნებისათვის „საჭიროა აფხაზებმა მოიპოვონ ეროვნულ-ტერიტორიული ავტონომია“. მხოლოდ პოლიტიკური ავტონომიის მოპოვება მოუტანს აფხაზებს სრულ სიმშვიდეს. ხოლო „მეზობლებთან მტრული განწყობილება, მუშტსა და ხანჯალზე ცქერა, ვისიმე აყრა-აწიოკების განზრახვა და გულში ტარება უკვე ნაცადი და უვარგისი პოლიტიკაა“.

ივ. გომართელის აზრით, „რა პოლიტიკასაც უნდა აწარმოებდნენ აფხაზები ჩვენთან, საიდანაც უნდა იყურებოდნენ ისინი, ქართველი დემოკრატია ვალდებულია აფხაზებს დაეხმაროს თავისი სამართლიანი მისწრაფებების განხორციელებაში და ეხმარება კიდევაც“.

როგორც ივ. გომართელს მიაჩნია, ჩვენი პოლიტიკა აფხაზეთში (რომელშიც არ შედის სამურზაყანო) უნდა მდგომარეობდეს იმაში, რომ არ დავიწყოთ ხელის ფათური აფხაზთა შინაურ ცხოვრებაში. ქართველებს აქ სრული კულტურული დამოუკიდებლობა უნდა ჰქონდეთ; სხვადასხვა თანამდებობებზე შეძლებისდაგვარად აფხაზები უნდა დაინიშნონ, ვინაიდან აფხაზეთი უსამურზაყანოდ, თითქოს საქართველო არ არის და აფხაზების კულტურა და ცხოვრება განსხვავებულია ქართველი ხალხის ცხოვრება-კულტურისაგან. გარდა ამისა, აფხაზეთში საჭიროა დემოკრატიული აზროვნების გავრცელება. რადგანაც აფხაზეთში გლეხობასა და თავადაზნაურობას შორის არ არსებობს მკვეთრი წოდებრივი განსხვავება, სოციალისტური ქადაგება აქ სარგებლობას ვერ მოგვიტანს. „სოციალიზმის წინააღმდეგ თავადი და გლეხი აფხაზეთში ერთიანდებიან და ერთად იბრძვიან“. აგრარული საკითხიც სხვანაირად უნდა გადაიჭრას აფხაზეთში, ვიდრე საქართველოს დანარჩენ რაიონებში. საქმე ის არის, რომ აგრარული საკითხის ჩვენებური გადაჭრით აფხაზი გლეხის (იგი ფაქტიურად მემამულეა) მიწა ქართველს რჩება.

„კულტურული მუშაობა, აფხაზეთის პოლიტიკური გათვითცნობიერება და დემოკრატიული აზროვნების გაღვიძება, — აი, რა შეიძლება დღეს აფხაზეთში და რა არის საჭირო“, — დაასკვნის ივ. გომართელი და შემდეგნაირად ამთავრებს წერილს:

„ამ გზას უნდა დავადგეთ, თუ გვინდა აფხაზებს სარგებლობა მოვუტანოთ და ჩვენსა და მათ შორის მეზობლური განწყობილება დავამყაროთ. თუ ასე მოვიქცევით, აფხაზების კავშირი მთიულებთან და კაზაკებთან არ შეცვლის ჩვენსა და აფხაზებს შორის მეგობრულ და მეზობლურ განწყობილებას. წინააღმდეგ შემთხვევაში იგი უსათუოდ გამოიღებს ჩვენთვის არასასურველ ნაყოფს“.

ასეთია ივ. გომართელის წერილების შინაარსი. როგორც ვხედავთ, მათში ბლომადაა როგორც სწორი, მისაღები, ისე არასწორი, მიუღებელი დებულებები. მაგრამ ეს არაა დღეს იმდენად მნიშვნელოვანი. მთავარი ის გახლავთ, რომ აფხაზეთში ამჟამად ობიექტურად არსებული თუ ხელოვნურად შექმნილი პრობლემები თურმე საქართველოს სახელმწიფოებრიობის აღდგენამდე წარმოშობილან, როცა მრავალტანჯული ქართველი ერი სულს ღაფავდა და ძალიანაც რომ სდომებოდა, არავის „ჩაგვრა“ ან „გადაყლაპვა“ აღარ შეეძლო. უფრო მეტიც, დაუძლურებულ და, ამავე დროს, თავისუფლებას მოწყურებულ საქართველოს ჯერ საკუთარი ავტონომია არ ჰქონდა გამოცხადებული (სრულ დამოუკიდებლობაზე რომ არაფერი ვთქვათ), როცა მისი თვალსაჩინო წარმომადგენლები (ამ შემთხვევაში ივ. გომართელი, რომელიც ინტერპარტიულ საბჭოს წარმოადგენდა) ქვეყნის ნაწილისათვის — აფხაზეთისათვის პოლიტიკური ავტონომიის მინიჭების საკითხს სვამდნენ, თანაც უფართოესი უფლებებით...

„აფხაზურ საკითხს“ დიდი ხნის, შესაძლებელია, არაერთი საუკუნის ისტორია აქვს და იგი თავისი ღრმა ფესვებით სხვადასხვა ჯურის დამპყრობელთა, უპირველესად რუსეთის იმპერიულ პოლიტიკას უკავშირდება, იმ პოლიტიკას, რომელიც დღემდე გრძელდება. შესაბამისად, იმპერიის დანგრევისა და საქართველოს სრული დამოუკიდებლობის აღდგენის გარეშე აფხაზეთის ხსნაზე ფიქრიც ზედმეტია. ეს ელემენტარული ჭეშმარიტებაა, ჩვენი საერთო ისტორიით დადასტურებული.

„პერესტროიკის“ გამჭვირვალე პოლიტიკურ ნიღაბს ამოფარებული კრემლი დღეს უფრო, ვინემ არასდროს, დაინტერესებულია ერების, მათ შორის ქართველებისა და აფხაზების დაპირისპირებით, რათა შეინარჩუნოს დრომოჭმული იმპერიის მთლიანობა. ე. წ. მოკავშირე რესპუბლიკების „კავშირიდან“ გასვლის შესახებ ამას წინათ მიღებული კანონის, უფრო სწორად, უკანონობის, ავტორები ყოველთვის შეუშლიან ხელს ქართველთა და აფხაზთა ისტორიული ძმობის, ერთიანობის აღდგენას. მათი მხრიდან მხოლოდ ახალ-ახალი პროვოკაციებია მოსალოდნელი.

რაც უფრო ადრე გაიცნობიერებს ყოველივე ამას აფხაზი ხალხი და რაც შეიძლება მალე ჩადგება ქართული ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის რიგებში, მით უფრო სწრაფად და იოლად მოიპოვებს თვითონაც თავისუფლებას, მით უფრო საპატიო ადგილს დაიკავებს დამოუკიდებელ საქართველოში. სხვა გზა, ძველებურად, — როგორც ივ. გომართელი წერს, — „მუშტსა და ხანჯალზე ცქერა, ვისიმე აყრა-აწიოკების განზრახვა“ უპერსპექტივო და დამღუპველია.

ჯემალ გამახარია

## ჩემი სარფსგაღმა ტკივილი



„მა თქვა ირო გურსუ მიყუნთი!“..*

საქართველოსთვის ექვსი საუკუნის წინათ დაკარგულმა 23 წლის ლაზმა ბიჭმა მათემ მითხრა ტრაპიზონში და გული მართლაც მომეწურა... მანამდე კი, სანამ ტრაპიზონში მოვხვდებოდი, ბათუმში, პოეტ დავით თედორაძის სახლში, თურქეთში მცხოვრებ ქართველს — გურამ ქათამაძეს შევხვდი. მან დიდებული ქართულით მოგვმართა მასპინძლებს: ეს ორი კვირაა აქა ვარ და ერთი რამ მიკვირს თქვენი, ძმებო! სუფრასთან იმდენ გეგმას დასახავთ ხოლმე, ხვალიდან ქვეყანას ააშენებთ, მგონია, არადა, გათენდება თუ არა, ისევ საქეიფოდ სხდებითო!..

ვერ ვიტყვი, მაინცდამაინც გვეწყინა-მეთქი, მით უმეტეს, ჩვენი მუსლიმანი ძმა ღვინოსთან ცოტა მწყრალად იყო...

სამიოდე კვირის მერე, პოეტ ზურაბ გორგილაძის დახმარებით, პოეტმა ბათუ დანელიამ, ისტორიკოსმა ნუგზარ ანთელავამ და მე, ქართული ტურისტებით სავსე ავტობუსით, ორად გახლეჩილი ლაზთა სოფელი სარფი — საქართველო-თურქეთის საზღვარი გადავლახეთ.

ჩვენ ობოლი ერი ვართო! თითქოს არცა მაქვს რაიმე სადაო, თუმცა დავუმატებდი: უფრო ტრაგიკული ერი, ვიდრე ობოლი.

ტრაგიკული ხარ, აბა რა, როცა შენი მშობლიური მიწის მესამედზე მეტი შენს საზღვრებს გარეთაა. შენი ციხე-კოშკი, შენი ეკლესია-მონასტერი ცხვრის სადგომებადაა ქცეული, ან მეჩეთად გადაკეთებული, მილიონობით შენს ღვიძლ შვილს კი, ეროვნებასთან ერთად, გვარ-სახელი აქვს შეცვლილი!..

ვინც თურქეთში ცხოვრობს, ყველა თურქია, უბრძანებია ათათურქს და ქართველი, სომეხი, ბერძენი, ქურთი თუ სხვა „იძულებითი თურქი“ გამხდარა.

არადა, იმ მიწების დიდი ნაწილი, ახლა თურქეთს რომ ეკუთვნის, ისტორიული საქართველოა! ერთხან ვახტანგ მეფემ, მერე დიდმა თამარმა დაიბრუნა, განიმტკიცა, ეკლესიები განაახლა, ახლები ააშენა და... ისევ წაგვგლიჯეს... გიორგი ბრწყინვალემაც ბევრი იომა, ხელახლა გამოსტაცა და კვლავ დავკარგეთ, ვერ იქნა და ვერ შევინარჩუნეთ.

მას შემდეგ სამუდამოდ ჩამოწვა უკუნი. და არამარტო ჩვენი მიწა და ციხე-ტაძრები, ის ქართველობაც და ლაზობაც მკერდიდან გვყავს მოგლეჯილი, მივიწყებული.

მე ეს თურქეთში წასვლამდეც ვიცოდი და საქართველო-თურქეთის საზღვარზე გულმა რეჩხი მიყო, გულიც, ჩემი სარფივით, თითქოს ორად უნდა გამგლეჯოდა...

და მაინც, მე საოცარი საქართველო ვნახე იქ: თავის სამშობლოზე მეოცნებე, მლოცველი, მოფიქრალი უამრავი ყმაწვილი თუ ბერიკაცი. თურმე არც ისე მცირერიცხოვანი, ობოლი ერი ვართ და შეიძლება, ამით გაიხარო, როგორც იტყვიან, სული მოიბრუნო. სხვა რა უნდა თქვა, როცა ქართველი, ლაზი (მიუხედავად იმისა, ექვს საუკუნეზე მეტია სარწმუნოება დაკარგული აქვს) თურქ კაცს ქალს არ ატანს!..

მიუხედავად იმისა, გვარ-სახელი შეცვლილი აქვს, თავისი ნამდვილი გვარი და სახელი დღესაც ახსოვს, ნეთინი მათედ გეცნობა, ისლამაზი — გვარამად...

მიუხედავად იმისა, პასპორტში თურქი უწერია, ქართველი რომაა, არ დავიწყნია და, რაც მთავარია, უმრავლესობა ქართულად ცდილობს დაგველაპარაკოს, ვინც არ იცის, ისიც ცდილობს, რამენაირად მშობლიურ ენაზე რომ შეგვეხმიანოს. არც ქართული თუ ლაზურ-მეგრული ყოფა და წეს-ჩვეულებაა დავიწყებული, ხოლო მიხრა-მოხრა თუ ფერ-იერი ხომ ჭეშმარიტად წმინდა ქართული აქვთ და ქართული (სხვათა შორის, ერთ-ერთ ლაზურ ოჯახში ლომით და სულუგუნით გაგვიმასპინძლდნენ, თან — ღერღილი არ მქონდა და ლომი ცოტა თხელი გამომივიდაო, ოჯახის დიასახლისმა სუფთა ლაზურ-მეგრულით მოგვიბოდიშა!)...

ჩვენ, ჩვენდა სამწუხაროდ, უფრო დავივიწყეთ ისინი, თითქოს მახსოვრობამ ყველას ერთბაშად გვიღალატა, იშვიათად თუ ვიხსენებთ მათ და, ისიც გაკვრით, ზერელედ, რომ ოდესღაც შენი მიწა იყო, შენი საგამგებლო-საერისთავო — ტაო-კლარჯეთი, არტაანი თუ არტანუჯი... ტრაპიზონი და არზრუმი, რიზე და ართვინი, ქართველ-ლაზთა სამოსახლო-დოხორეა, დღესაც კი, ამ ქალაქებისა თუ რაიონების ქუჩებში ყოველ ნაბიჯზე ხვდები შენს ენაზე მოსაუბრე სისხლისმიერ ძმას და სახლიკაცს... ეს (ჩვენი გაგლეჯა-დაშორიშორება), უპირველესად, ერის ისტორიის უკუღმა დატრიალების შედეგია, რისთვისაც არა ერთი ქართველი „მოღვაწეა“ დამნაშავე, მერე რუსთა „ხელმწიფობა“, მათი (რუსეთ-თურქეთის) გარიგება-გადანაწილების მსხვერპლი ვართ, მაგრამ უბედურება უფრო ის არის, დღესაც ვერ გაგვიგია, რა და როგორ იყო. ანუ ჯერაც უკუღმა და უკუღმართად ვხედავთ ყველაფერს და მოვლენებსაც აქედან ვაფასებთ. აბა, სხვა რა უნდა თქვა, როცა იმითაც „ამაყობს“ ქართველი კაცი, რომ აჭარა, სამცხე-ჯავახეთი, ფოთი... „ვიყოჩაღეთ“ და თურქეთს არ დავუთმეთო.

ადრე თუ გვიან, ისტორია თავისას იტყვის, თავისუფალი საქართველოს დროს ჩვენი მზეც ამოვა, ჭოროხიც ადიდდება, შავი ზღვაც დაიწმინდება...

თუმცა, ეს მაშინ, თავისუფალ საქართველოში, დღეს კი?!.

დღეს, როცა თურქეთისკენ გზა გაიხსნა, ანუ როგორც იტყვიან, „მოსკოვის დაუკითხავად“ ჩავდივართ იქ, საინტერესოა, რას ვაკეთებთ, რანაირად ვაცნობთ თავს უცხოს თუ ჩვენიანს?!

შემიძლია თამამად ვთქვა, ძალიან ცუდად, სამარცხვინოდაც კი!.. ისინი (ქართველები, ლაზები), რბილად რომ ვთქვათ, განაწყენებული არიან და სწორადაც!

მე მესმის, ჩვენი დუხჭირი, გამათხოვრებული ყოფის თუ საგანგებოდ ამობრუნებული ჯიბეების წყალობით (მაგალითად, ბათუ დანელია და მისი საქვეყოდ პატარა ზურგჩანთა გულმოდგინედ, მთელი თანამედროვე ტექნიკის მოშველიებით სამჯერ გაჩხრიკეს), რა საშინელია უცხო ქვეყანაში (ჩვენში არაფერი, ჩვენში ხომ მიჩვეულნი ვართ და ვართ!) სიარული. „თურქი“ უძახე შენ და (ურჯულობა-სისასტიკესთან ერთად, თურქი ანუ თურქი კაცის ყოფა, მთელი მისი ქვეყანა — უღონობასიდუხჭირის სინონიმია სამეგრელოში!), ისე კარგად, თანამედროვედ, თუ შეიძლება ითქვას, ევროპულად ცხოვრობს, გაოცდები. ასი წლის რომ იყო, რაც აქამდე არ გინახავს შენს ქვეყანაში, ვიტრინებს მიღმა ან ღია ცის ქვეშ, სარფიდან ას-ასორმოცდაათ ნაბიჯზე შეგიძლია დაინახო და ბოლოსდაბოლოს ადამიანი ხარ, არ შეიძლება შენი თავი არ შეგეცოდოს! უცებ, შენდა უნებურად, აღმოაჩენ, რომ თავად მთავრობას აძლევს ხელს შენი მათხოვრობა (თუმცა ბოლომდე არ მესმის, მაინც რატომ?); გაგლახავებული, უპატრონო ძაღლივით, გაძეძგილ ვიტრინებთან ჰყავდე ატუზული, აქ კიდევ — ქურდად, არაკაცად, სინდის-ნამუსის გამყიდველად ეგულვებოდე, ან კუჭგამხმარს, უდღეურივით ჩაგიშვებს საფლავში და ეგ არის. მაგრამ ე. წ. „მათხოვარსაც“ აქვს თავისი ღირსება და, მით უმეტეს, ქართველ ადამიანს ზნედაცემულობა არ ეპატიება!

არადა, რა არ გაგვაქვს და რას არ ვყიდით. ვყიდით ყველგან: ქუჩაში, სასტუმროში, მაღაზიაში... მხარზე გვკიდია ცელი, ველოსიპედი... ამოღლიავებული გვაქვს ელექტროზურღი, ქურა, უთო, ზერხი... ჯიბეებში გვიწყვია ქლიბები, არყის ბოთლი (გასაყიდად!), სხვა ათასი წვრილმანი... მასპინძელმა: ამჯერად ქართველმა, ლაზმა უკვე იცის, რაზე ხარ ჩამოსული და თუ ხელები დაცარიელებული დაგინახა: რა ქენით, გაყიდეთ და იყიდეთო, გამარჯობისთანავე გულწრფელად გეკითხება.

არ შეიძლება, გული არ დაგწყდეს!

სამწუხაროა, მაგრამ უნდა ითქვას, დღეს ჩვენი ქალების გარკვეულმა ნაწილმა მშვენივრად იცის, ვთქვათ, რა „გადის“ თურქეთში, რა — ისრაელში, გერმანიაში, პოლონეთში და ა. შ. ეს, ცხადია, მათი ინტერესის მრავალფეროვნებით კი არ არის გამოწვეული, საინტერესოს და არანაკლებ საჭოჭროს ჩვენში რა გამოლევს, ეს უფრო ჩვენი ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური კრიზისის შედეგია, ჩვენი უმწეო ყოფის შედეგი!

............

მე არ მინდა ეს წერილი ჩვენი ქალის თუ კაცის უზნეობის ზეიმით დავამთავრო.

ჩემი საწუხარ-საფიქრალი სხვა რამეა, ჩემთვის უფრო მნიშვნელოვანი, ვიდრე რომელიმე კალთამადლიანი დიაცის ვაჭრული სული...

პირიქით, ბედნიერად ვგრძნობდი თავს, რომ თურქეთში, მის ჩრდილო-აღმოსავლეთის ქალაქებში, ყოველ ნაბიჯზე ვხვდებოდი ქართველს, ლაზს...

განა ლაზი ქართველი არ არისო, შეიძლება გამინაწყენდეს ვინმე და, ალბათ, სწორიც იქნება, მაგრამ, სამწუხაროდ, ქართველისა თუ ლაზის საკმაო ნაწილმა ეს ასე არ იცის, თუ იცის, ბუნდოვნად... თუმცა, ჩვენდა საბედნიეროდ, ორივეს აქეთ, დედასაქართველოსკენ რომ უცქერს გული, ეს ჭეშმარიტებაა და, რა თქმა უნდა, ბედნიერებაც! ხვდები შენს სისხლს და ჯილაგს და მასაც, თითქოს სახესთან ერთად სული, გონება ერთბაშად უნათდებაო, დაუჯერებლად დიდხანს, თითქმის „მობეზრებამდე“ არ გშორდება.

ყველაფერი აინტერესებს შენი...

ჩაიზე გპატიჟებს, უკან მოგყვება, გეფერება... უცებ მეჩეთად გადაკეთებულ შენი ეკლესიისკენ მიგახედებს და თვალდაც თვალები ენისლება...

ჩვენ?!.

ქართველმა კაცმა, აქაურობისდა მიუხედავად, უცხოეთში დროის ფასი ნამდვილად იცის, წუთს არ დაჰკარგავს, რომ როგორმე გაყიდვაც მოასწროს და ყიდვაც!

თუმცა, ღმერთი მაღალია და იმის საშუალებასაც მისცემს, ალბათ, ქართველ კაცს, რომ ულვთოდ წაგლეჯილ მის მიწა-წყალს, გახლეჩილ სულსა და სხეულს სხვა მისიითაც ჩააკითხოს!

ღმერთი იყოს მათი და ჩვენი მფარველი!

ზაურ კალანდია

* მე თქვენ მუდამ გულში მყავხართ (ლაზურ-მეგრ.).

# როცა დუმილი ღალატია

სოფელი ბესლახუბა შედგებოდა შემდეგი მეტი კომპლექსიდან. ერთმანეთის გვერდით ცხოვრობდნენ აფხაზები, ქართველები, რუსები, თურქები და სხვა ერის წარმომადგენლები. ბოლო დროს სოფელი ორად გაიყო.

ყველაფერი დაიწყო იმ მძიმე მოსაგონარი 9 აპრილის შემდეგ. აფხაზეთის 15-16 ივლისის ამბებში კი მონაწილეობას ღებულობდნენ ჩვენი სოფლის ექსტრემისტულად განწყობილი აფხაზები.

აფხაზმა ექსტრემისტებმა სოფელში დადგინეს სამორიგეოდ (არ ვიცი, რას და ვის მორიგეობდნენ და იცავდნენ). მოშლილი იყო მუშაობა. მანქანა-ტრაქტორები გარაჟში ჩაკეტეს, რის შედეგად არ სრულდებოდა სასოფლო-სამეურნეო სამუშაოები. დროზე გადაუზიდაობისაგან განადგურდა ან გაფუჭდა მოკრეფილი ჩაი, დალპა რამდენიმე ათეული ტონა თიქა და სხვა ნედლეული. იყო დიდი განუკითხაობა.

ბზარი თანდათან იზრდებოდა. სოფელ ბესლახუბას 30 წლის უკან შეუერთდა სოფელი ახალი აკვასკა, რომლის მოსახლეობა 200-ზე მეტ ქართულ კომლს ითვლის. მთლიანად სოფელში აფხაზები უმცირესობას შეადგენენ (გადაგვარებული ქართველების — თაყაიშვილების, კირთაძეების, ბერულავების, კვაკვესკირების, ზუხბაიებისა და სხვათა ჩათვლით). აფხაზებმა აითვალისწუნეს ქართული მოსახლეობა. ეუბნებოდნენ (ახლაც ეუბნებიან), აიყარენით და თქვენს მიწას დაუბრუნდითო. იყო იმისი ქადილიც, რომ ქართველების აღსასრულის დღე დადგა.

26 მაისს ახალი აკვასკის ქართული სკოლის ბავშვების მიერ გამოტანილმა საქართველოს ეროვნულმა დროშამ კინაღამ დიდი კონფლიქტი გამოიწვია (სასწრაფოდ შეგროვდნენ ახლომახლო მცხოვრები აფხაზები და აკვასკაში დააჯირითებდნენ მძიმეწონიან სატვირთო და მსუბუქ მანქანებს... გაგსრესთო). თუ არა ყოფილი პირველი მდივნისა და მილიციის უფროსის თავდადება, ღმერთმა უწყის, ის დღე როგორ დამთავრდებოდა. სამაგიეროდ, იმ საღამოს სასწრაფოდ შეგროვდნენ ბესლახუბის კულტურის სახლში სხვადასხვა კუთხის აფხაზები. ჰქონდათ დიდი ბჭობა, სადაც აშკარად გამოავლინეს თავიანთი ზრახვები („ნენავიდიმ გრუზინოვ"). სიტუაცია იმანაც დაძაბა, რომ სასწავლო წლის წინა დღეებში სკოლაში მისულმა ქართველმა პედაგოგებმა დერეფანში ნახეს ჩამოფხრეწილი ქართველი მწერლების სურათები, ქართველი ბავშვების მიერ დადგმული შინმოუსვლელთა მემორიალი აოხრებული, ქართული წარწერები განადგურებული და მაგიდაზე წარწერა „ვი გრუზინი...... უბირაიტეს ვონ ატ სიუდა, პაკა ნი პოზდნო..."

დღის წესრიგში დადგა ბავშვების სკოლაში გაშვება-არ გაშვების საკითხი. სკოლის აფხაზური სექტორის პედაგოგებმა, ამის თაობაზე შეგროვილ ქართველ ბავშვთა მშობლების მოთხოვნაზე — მოეძებნათ დამნაშავე და დაესაჯათ, უპასუხეს,

## რა მოხდა ბესლახუბაში?!

თქვენ მაგას ვერ მოძებნითო.

ამის შემდეგ იძულებული ვიყავით ბავშვები დროებით გადაგვეყვანა ახალი აკვასკის ქართულ სკოლაში, რომელიც ცენტრს 10-12 კილომეტრითაა დაშორებული. ოჩამჩირის საქველმოქმედო ორგანიზაცია „მოამაგემ" ჩვენი ბავშვებისათვის უფასოდ გამოჰყო ავტობუსი, მოსწავლეთათვის — ვაგონები და სასწავლო ნივთები. სათანადო ინსტანციების მიმართვის მიუხედავად, დღემდე ვერა და ვერ გაიხსნა სოფელში ქართული სკოლა. ბავშვები ისევ 10-12 კმ.-ის მანძილზე დადიან. სოფსაბჭოს თავმჯდომარეს (რომელიც ქართველია და აკვასკიდანაა) სამუშაო კაბინეტის კარი აუჭედეს. მუშაობის საშუალებას უსპობდნენ ქართველ ხალხს. არ აძლევდნენ ტრანსპორტს ჩაის გადასაზიდად. ზოგიერთმა ბრიგადირმა დროებით სხვაგან იშოვა მანქანა ჩაის გადასატანად. იყო შემთხვევა, მძღოლს ფაბრიკაში მიუხტნენ და ფიზიკური შეურაცხყოფაც კი მიაყენეს. აფხაზები შეიარაღებულები დადიოდნენ, იდგნენ ღალიძგის პირას და იყო სროლაც.

მდგომარეობა საგრძნობლად გამწვავდა. დადგა საკითხი სოფლის გაყოფისა (ეს საკითხი სოფელში მანამდეც იდგა, აფსუათა პროვოკაციული გამოხდომებისა და აშკარა სიძულვილის გამო).

ქართველმა მოსახლეობამ მოითხოვა სოფლიდან გამოყოფა, ამის თაობაზე წერილობით მივმართეთ რაიონულ, ავტონომიურ და რესპუბლიკურ მთავრობებს. მოვიწვიეთ საერთო კრება რაიონული ხელმძღვანელობის თანდასწრებით. № 2, 9 და 7-8 ბრიგადების მოთხოვნა განიხილეს. განსაკუთრებით გამოჰყვეს მე-7-8 ბრიგადები, ხოლო მე-2 და მე-9 ბრიგადის ხალხი შეაშინეს, თქვენ ძირძველი მოსახლეობა ხართ, ვერსად წახვალთო. თუ მაინცდამაინც... მაშინ მე-7-8 ბრიგადები წაბრძანდნენ, ისინი ხომ ჩამოსულები არიანო. მოგეხსენებათ, ეს ხალხი 30 წლის წინათ ჩამოვიდა „ენგურის გაღმიდან". ეს სიტყვა ბრჭყალებში იმიტომ ჩავსვი, რომ ადგილობრივი აფხაზური სახალხო ფორუმის ზოგიერთი წარმომადგენელი, რომლებიც ზუსტად „ენგურის გაღმიდან" არიან ჩამოსული, ატარებენ ქართულ გვარებს, პრივილეგიების ძებნაში გაუყიდიათ თავიანთი ეროვნება, ახლა ისინიც გაიძახიან, წადით ენგურს გაღმა, იქ არის თქვენი მიწა, ჩვენს შინაურ საქმეებში ნუ ერევითო (ღმერთო, სადაა სამართალი!..), წადით, ოღონდ უმიწოდ, ჩვენ არაფრის მომცემი არა ვართო. იმ ორასზე მეტი მოსახლის ცალკე წასვლისა არც ისინიც იყვნენ მაინც და მაინც წინააღმდეგი, იმიტომ, რომ, აკვასკელების კოლმეურნეობიდან გასვლის შემდეგ მათთვის უფრო იოლი იქნებოდა სოფელში დარჩენილი სხვა ქართველების, რომლებიც აფხაზებს ბევრად აღემატებიან, დაჩაგვრა და თავიანთი პოლიტიკის გატარება.

ასეც მოხდა. ახალი აკვასკა გამოეყო ბესლახუბას ისე, რომ არც ერთი მტკაველი სახნავ-სათესი მიწა და ჩაის პლანტაცია არ მიუციათ.

გლეხკაცის საარსებო მიწაა და საკითხავია, რა სინდისით არ აძლევენ ბესლახუბელი ექსტრემისტები აკვასკელებს თავიანთ კუთვნილ მიწას. რით იცხოვროს ხალხმა?! ამაზე უფრო მეტი მტრობა გაგონილა, შვილი გააგდო სახლიდან და არაფერი მისცე... ეს უსამართლობა როდემდე ვითმინოთ?

აკვასკელებისათვის ჩამორთმეულ ჩაის პლანტაციას და სახნავ-სათეს მიწებს თვითონ მოუვლიან? ამბობენ, სხვა სოფლიდან ჩამოიყვანენ ხალხს მიწის დასამუშავებლადო. ამაზეა ნათქვამი, ავმა ძაღლმა არც თვითონ ჭამა და არც სხვას აჭამაო. ოღონდ ქართველებს დააკლდეთ, ოღონდ ქართველები დაიჩაგრონ...

შენს მიწაზე, საქართველოში, საარსებოდ მიწას არ გაძლევენ (ისიც ვინ?), რომელ საბჭოურ კონსტიტუციაში წერია ეს?

9 აპრილის გლოვის დღე არა მარტო ქართველებმა, არამედ სხვა სალად მოაზროვნე ხალხმაც აღნიშნა. ჩვენ ჩვენს უბანში (მხედველობაში მაქვს მე-2 ბრიგადა) ჩამოვკიდეთ 9 აპრილისადმი მიძღვნილი საქართველოს ეროვნული დროშა შავი ბაფთით, ისიც ჩამოხსნეს.

ნუთუ ვერ ხედავენ ბოლო დროს მომხდარ მოვლენებს საქართველოში და საერთოდ. თუ მარტო მათ მიერ ასე ჭეშმარიტებად მიჩნეულ „აიდგილარას" მეტს სხვას არაფერს კითხულობენ ან თავიანთ „აყუატელეხვაფშის" მეტს სხვა ტელეგადაცემებს არ უყურებენ, საქვეყნოდ რომ გაიძახიან, ქართველები გვჩაგრავენო, საკითხავია, ვინ უფრო მეტად იჩაგრება, აფხაზები თუ ქართველები?!.

საერთო კრებამ ერთხმად დაუთმო რამდენიმე ჰექტარი უსარგებლო მიწის ნაკვეთი სოხუმის გაზაპარატურის ექსპერიმენტულ ქარხანას. მათი ხელმძღვანელობა ბევრ კარგ წამოწყებას გვპირდება ჩვენს საკეთილდღეოდ. აშენებენ ბაგა-ბაღს, სადაც ჩვენი ბავშვებიც ივლიან (სოფელში 30 წელზე მეტია, ბაგა-ბაღი შენდება), ჩვენი სოფლიდან 50 ახალგაზრდას თხოულობენ სპეციალობის შესაძენად სასწავლებელში, ხალხი დასაქმდება, სამუშაო იქნება, ახალგაზრდობა არ გაიქცევა სოფლიდან. ეს განა ცუდია?!

სახალხო ფორუმის წარმომადგენლებს ეს ხელს არ აძლევთ — აქაოდა ეს მშენებლობა ხელს შეუწყობს ქართველების ჩამოყვანას და გამრავლებასო. მთავარია, სოფელში ქართველები არ ჩამოიყვანონ, თუ გინდა გადამთიელი იყოს, ოღონდ ქართველი არა!..

ერთხელ რაღაც განცხადება ქართულად დავწერე და, ეს რა ენაზე დაწერე, ვინ წაიკითხავსო, — ამას მეუბნება ის ადამიანი, რომელიც ქართულ გვარს ატარებს. თავისი მშობლიური ენა ზოგიერთს ჩიქორთულად მიაჩნია; რა ხდება?!. ნუთუ ასე განწირულია ქართველი ერი, რომ თავის სამშობლოშიც ასე სდევნიან, ვის რა დავუშავეთ?!.

საკადრო პოლიტიკა თავიანთ სასარგებლოდ აქვთ მოწყობილი, გამგეობაში ყველა აფსუაა.

მართალია, გაყოფის შემდეგაც, როგორც ზემოთ აღვნიშნე, საგრძნობლად აღემატებიან ქართველები, მაგრამ ზოგიერთებს შიშის თუ მორჩილების გრძნობა ჯერაც იმდენად აქვთ ძვალ-რბილში გამჯდარი, რომ აშკარა უსამართლობის წინაშეც უსუსურად გრძნობენ თავს, ხმის ამოღებასაც ვერ ბედავენ, ეშინიათ.

აი, 70 წლის საბჭოთა დიქტატურის ნამოღვაწარი! ახლა, როდესაც ყველამ უნდა აღიმაღლოს ხმა უსამართლობის წინააღმდეგ და შექმნას ერთიანი ბირთვი, რომ საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელმა მოძრაობამ აღმავლობის გზით იაროს, ზოგიერთები დუმილის და მორჩილების პოლიტიკას ადგანან. მით უმეტეს, დღეს ქართველ კაცს მოეთხოვება თავისი პირადული „მე"-სა და ქართველობის დაცვა და ამ დროს პასიურობა, ჩემი აზრით, დანაშაულია როგორც საკუთარი თავის, ისე ერის წინაშე. ამას იმისათვის ვამბობ, რომ ძალა ერთობაშია და ცარიელი სიტყვების რახარუხი ჩვენ ბევრს ვერაფერს გვარგია. ზოგიერთებს ჰგონიათ, საქართველოს დამოუკიდებლობა ხონჩით მორთმეული სასმელ-საჭმელია და მეტი არაფერი. თუ ასეა, მაშ რად ვიბრძვით, დავაღოთ პირი და ის თავისუფლება თავისით მოვა. არა, ზოგიერთო ქართველო, ასე არ არის, ეს ბრძოლაა თავისუფლებისათვის, ბრძოლა აქტიური, ბრძოლა არა ხმლით, არამედ პოლიტიკურად, მშვიდობიანი გზით; ამ ბრძოლაში ყველა ქართველმა უნდა მიიღოს მონაწილეობა. მონა, მორჩილი ადამიანი საქართველოს ვერ გაათავისუფლებს.

ყველამ თავისი საკეთებელი უნდა აკეთოს. ყველამ თავის კუთხეს მოუაროს, თორემ უმოქმედოდ, სხვისი იმედით ყოფნა არას გვარგებს.

ყველამ ერთად დავიკაპიწოთ ხელები და ვიბრძოლოთ ნანატრი თავისუფლებისათვის. ეს უპირველესად აფხაზეთის ქართველობამ უნდა შეიგნოს, და ვინც დღეს ისევ მოთმინებისა და წაყრუებისაკენ მოგვიწოდებს, — საქართველოს მოღალატეა.

**დავით ბარამია,**
ოჩამჩირის რაიონი, სოფელი ბესლახუბა

# ზოგი რამ აფხაზეთსა და აფხაზებზე

თითქმის სამი ათეული წელი ვიცხოვრე და ვიმუშავე აფხაზეთში. მოხდა ისე, რომ სხვადასხვა დროს აფხაზეთის სამ ქალაქში, გაგრაში, სოხუმსა და ტყვარჩელში მომიხდა ცხოვრება. ვინ მოთვლის, რამდენჯერ ვყოფილვარ და რამდენი ღამე გამითევია გალსა და ოჩამჩირეში, არ არის აფხაზეთში სოფელი, სადაც ერთხელ მაინც არ დამედგას ფეხი. ერთი სიტყვით, მთელი აფხაზეთი მაქვს მოვლილი, ცხადია, არა სხვათა შორის, არა როგორც ტურისტს, არამედ ვაკვირდებოდი ყველასა და ყველაფერს, ბევრ რამეს ვსწავლობდი კიდეც.

მრავალწლოვანმა დაკვირვებამ და ადამიანებთან ურთიერთობამ იმ დასკვნამდე მიმიყვანა, რომ ნამდვილი აფხაზები (ძირძველი აფხაზების მემკვიდრეები და არა აფსუები) და ქართველები ერთმანეთის თვისტომნი ვართ. გვარებით ხომ ერთნი ვართ, გარეგნობითაც ვგავართ ერთმანეთს, ტრადიციებიც და რჯულიც ერთი გვაქვს, თუ არ ჩავთვლით ცალკეულ გამონაკლისებს (ამას რომ ვწერ ახლა, წინასწარ ვგრძნობ, როგორი ბრაზით აღივსებიან ჩემს წინააღმდეგ ის აფხაზები, რომლებიც ღმერთს დაუსჯია მათივე თვისტომთა მიმართ სიძულვილით. კაცმა რომ თქვას, არც მე მეხატებიან ისინი გულზე, მაგრამ რასაც ვამბობ, რეალობაა და ამაზე თვალის დახუჭვა არ ეგების).

რაც შეეხება ოზგანსა და ძმათა მისთა — ამ ლეგალურად მოქმედ მაფიოზებს, აფხაზეთში დატრიალებული ტრაგედიის ორგანიზატორებსა და სულისჩამდგმელებს, დღესაც რომ დაუსჯელად დააბიჯებენ „ცენტრში" მჯდომი მფარველისა და ალაჰის წყალობით — მათი ნამდვილი აფხაზობა ვინ თქვა! ისინი „იბრალებენ" აფხაზობას, სინამდვილეში კი აფსუათა ნაშიერები გახლავან, თავისთავს რუსულად, ბატონი ჭაბუა ამირეჯიბის თქმისა არ იყოს, Абхазец-ს რომ უწოდებენ. განა შემთხვევითია ის, რომ აფხაზეთს „აფსნი" („აფსუა") ჰქვია მათებურად? სოხუმს კი — ისტორიულ ცხუმს — „აყუას" უწოდებენ (სხვათა შორის ეს სახელწოდება მეგრული სიტყვიდან „ყუა"-დანაა ნაწარმოები) და მისი რუსული ტრანსკრიფცია — „აკუა" ქართულად, ცოტა არ იყოს, უხერხულად ჟღერს.

ჩემში არასოდეს არ იწვევდა ეჭვს ის, რომ ტერმინი „აფხაზი" და შესაბამისად „აფხაზეთი" ქართული წარმოშობისაა. წინააღმდეგ შემთხვევაში წარმოუდგენლად მიმაჩნდა, ისტორიის გარკვეულ მონაკვეთებში საქართველოს სახელმწიფოს მეთაურთა ტიტულატურა დაწყებულიყო ასე: „მეფე აფხაზთა"... როგორც ცნობილია, ეს ტიტულატურა საკმაოდ ვრცელია („მეფე აფხაზთა და ქართველთა (ქართლელთა), რანთა და კახთა"... და ა. შ.), ხოლო როცა ტიტულატურა შემოკლებით იხმარებოდა, საქართველოს სახელმწიფოს მეთაურს ეწოდებოდა „მეფე აფხაზთა".

უნებურად ისმის კითხვა: რომელი ჭკუათმყოფელი მეფე დაარქმევდა თავის სახელმწიფოს უცხო სახელს? პასუხი ერთმნიშვნელოვანია: ცხადია, არც ერთი.

„აფხაზეთის" („აფხაზის") ქართული წარმოშობის საკითხი საკმაოდ ვრცლად აქვს გაშუქებული პავლე ინგოროყვას თავის ფუნდამენტურ ნაშრომში „გიორგი მერჩულე". ვფიქრობ, ურიგო არ იქნება, შევახსენო მკითხველს, თუ კონკრეტულად რას ამბობს დიდი მეცნიერი აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით:

„წყაროების ჩვენებათა მიხედვით ირკვევა, რომ ამ ტომის (აფხაზების — მ. ჩ.) სახელწოდების თავდაპირველი სახეობა არის **მოსხი** (იგივე მესხი — მ. ჩ.).

აფხაზთა ამ სატომო სახელწოდების „მოსხი"-ს არქაული დიალექტური ფორმებია:

მოსხი (მოსოხი)-მასხი (მასახი)-ბასხი (ბასახი).

სატომო სახელიდან **ბასხი** მომდინარეობს ქვეყნის სახელწოდება ა-ბასხეთი ანუ ა-ბას-ხია (ე. ი. იგივე სა-ბასხ-ეთი); ხოლო შემდეგ ქვეყნის ამ სახელიდან აბასხეთი ანუ აბასხია დამკვიდრდა სატომო სახელის მეორადი ფორმა აბასხი, რომლის სახენაცვალი ფორმაა აბხასი, აბხაზი, აფხაზი" (იხ. პ. ინგოროყვას „გიორგი მერჩულე", 1954, გვ. 137-139).

მიუხედავად იმისა, რომ ჩემთვის (და არა მარტო ჩემთვის) უდიდესი ავტორიტეტის პ. ინგოროყვას ეს დასკვნა უცილობელ ჭეშმარიტებად მიმაჩნდა, მე მაინც დაინტერესებული ვიყავი სახელწოდება „აფხაზეთის" („აფხაზის") წარმოშობის საკითხით. ალბათ უფრო იმიტომ, რომ პ. ინგოროყვას მოსაზრებას ყველა როდი იზიარებდა (ბევრი დღესაც არ იზიარებს). ჩემი დაინტერესება იმით გამოიხატებოდა, რომ ვცდილობდი მიმეგნო უკვე არსებული მოსაზრებისაგან განსხვავებული „ვარიანტისათვის", რომელიც, ჩემი აზრით, უფრო მეტ ნათელს მოჰფენდა აღნიშნული სახელწოდების წარმოშობის საკითხს.

მე ვერ დავიტრაბახებ იმით, სიტყვა „აფხაზი"-ს წარმომავლობა, შედგენილობა და თავდაპირველი მნიშვნელობა მეცნიერულად მაქვს შესწავლილი-მეთქი (ეს აღემატება ჩემს შესაძლებლობას), მაგრამ წლების მანძილზე რომ დაინტერესებული ვიყავი ამ სიტყვის ეტიმოლოგიით, ამას, როგორც იტყვიან, წყალი არ გაუვა. და აი, ასეთ რამეს მივაკვლიე: ჯერ კიდევ აფხაზეთში ყოფნისას და აგერ, ახლახანაც, მრავალი სარწმუნო წყაროდან (სარწმუნო წყაროდ ვთვლი მეგრულის კარგ მცოდნეს) შევიტყვე, რომ „აფხა" ძველმეგრულად ზურგს ნიშნავს, უფრო სწორად, ზურგის ზედა ნაწილს — ბეჭს. აქედანაა ნაწარმოები „აფხაზა" („აფხაზი"), რაც მეგრულად ზურგის შვილს ნიშნავს. ვისგანაც ეს შევიტყვე (მეტწილად მოხუცი მეგრელებისა და აფხაზებისგან. ეს უკანასკნელნი ხომ შესანიშნავად ფლობენ მეგრულს), მათ ისიც მითხრეს, რომ სიტყვა „ამხანაგის" წინამორბედი „აფხანიკი" ასევე ძველმეგრულად ზურგის კაცს ნიშნავსო („აფხა-ნიკი").

როგორადაც უნდა იყოს, ერთი რამ ფაქტია: კ. ოზგანისა და მისთანების მიერ გზასაცდენილმა და გაბრიყვებულმა ჩვენმა „ზურგისკაცებმა" ჩაგვცეს ზურგში მახვილი.

●

ზემოთ ოზგანსა და მისთანებზე ვთქვი — აფხაზობას „იბრალებენ"-მეთქი. ამასთან დაკავშირებით ეს ამბავი გამახსენდა:

ერთი (ცნობილი აფხაზი (უფრო სწორად — აფსუა) პოეტი ყოველი შეხვედრისას ვითომ ხუმრობით მეუბნებოდა: — შენ ქართველი ჩაჩუა კი არა, აფხაზი ჩაჩბა ხარო. ამაზე ერთხელ ვუპასუხე: ჩაჩბასი რა მოგახსენო, აფხაზი კი ნამდვილად ვარ-მეთქი. მაგრამ მაინც აღარ მომეშვა ის მამაცხონებული. და ერთხელაც, როცა სხვების გასაგონად უკვე მერამდენედ „შემახსენა" ჩემი აფხაზობა, ექსპრომტად ეს მივუგე: **მე, კი, ბატონო, აფხაზი ვარ, რაც იმას ნიშნავს, რომ ქართველი ვარ სისხლით და ხორცით. შენ კი, იცოდე, რომ ხარ სულ სხვა მოდგმის და ჯიშის და მებრალები, აფხაზობას „იბრალებ" როცა.**

ნეტა გენახათ, რა დღეში ჩავარდა ის ცნობილი პოეტი. იმ დღის შემდეგ აღარ „შეუხსენებია" ჩემთვის, რომ აფხაზი ვარ.

აფხაზებსა და აფხაზეთზე ეს მცირე საუბარი იმით მინდა დავამთავრო, რომ აფხაზეთი ისევეა საქართველოს ღვიძლი ღვიძლთაგანი, როგორც ქართლ-კახეთი, იმერეთი, გურია და სამეგრელო; როგორც აჭარა და სვანეთი, რაჭა-ლეჩხუმი და თუშ-ფშავ-ხევსურეთი.

და როცა ვამბობთ — „ჩემი ხატია სამშობლო", — რაღა თქმა უნდა, აფხაზეთსაც ვგულისხმობთ.

**მიხეილ ჩაჩუა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

(დასასრული)

ბიჭვინთაში და ბლოკიც გალიცინოში გაგზავნოთ თხზვად, მაინც ვერ შექმნიან ამდენ „პროდუქციას“!

ესეც ჩვენი „უნივერსალი“ ფილოლოგი, ჟურნალისტი, იურისტი, მრეწველი, პროზაიკოსი და ბოლოს, პოლიტიკური „მოღვაწე“!

მე კი, პოეტი თუ არა, დაბეჯითებით შემიძლია, გითხრათ, რომ ვიგინდარა არასოდეს ვყოფილვარ და არც გავხდები. ვიგინდარებად იბადებიან, ყალიბდებიან და ბოლოს კვდებიან. და წარმოიდგინეთ, მათ შორისაც შეიძლება აღმოჩნდნენ ადამიანები, რომელთაც ორი უმაღლესიც კი დაუმთავრებიათ, ანზორ ბატონო!..

თქვენ დანაშაულად მითვლით, რაიკომის მდივანს პოემა მიუძღვენიო. პოემა არა, მაგრამ ლექსი კი მივუძღვენი და არა რაიკომის მდივანს, არამედ ენგურჰესის ერთ-ერთი უბნის მაშინდელ ხელმძღვანელს და ლექსსაც სწორედ იმიტომ ჰქვია „სინათლე“. ხოლო როდესაც ამ ლექსის ლირიკული გმირი რაიკომის მდივანი გახდა, მლიქვნელობად რომ არ ჩაეთვალათ შენისთანა მიჩხრეკავებს, ლექსს მიძღვნა ჩამოვაშორე და ისე შევიტანე მეორედ წიგნში. თუმცა სიმართლე თუ გინდათ, იცოდეთ, ის პიროვნება, ვისაც „სინათლე“ ეძღვნება, უკეთეს ლექსაც იმსახურებდა და იმსახურებს დღესაც თავისი კაცური კაცობით.

განა ცოტანი არიან საქართველოში სასიქადულო მამულიშვილები, ნიჭიერნი, პატიოსანნი, თავდადებულნი სამშობლოსათვის, რომელთაც, დიახაც, დღეს მაღალი თანამდებობა უკავიათ, მაგრამ ხვალისათვის თავისუფალი და დამოუკიდებელი საქართველოსთვის შეუძლიათ უყოყმანოდ თავიც გასწირონ?!. რა ვქნათ, მივუხდეთ მათ და ვაი-პროლეტარ-ბოლშევიკებივით ყელი გამოვღადროთ?!.

ა. გვარმიას თავი გამოუდვია და ყველა რაიკომის მდივანში თითქოსდა აუცილებლად კორუფციის ნიშნებს გულისხმობს. არ არის ეს სწორი! მას საკუთარ თავზე გამოცდილებითაც კარგად მოეხსენება, რომ სულაც არ არის აუცილებელი, იყო რაიკომის მდივანი, ისედაც შეგიძლია, მშვენივრად მიიღო და გასცე ქრთამი და, ვულგარულად რომ ვთქვათ, ამისათვის ვირის აბანოშიც კი ამოყო თავი.

ბატონო რედაქტორო, თქვენ თქვენთვის ჩვეული შემპარავი ქლესობითა და ღიმილისმომგვრელი დემაგოგიურობით ავითარებთ აზრს, თითქოს მე იმიტომ ვამხილე თქვენი „ტოპონიმიკური ისტორია“, რომ ლექსი არ დამიბეჭდეთ. გასაკვირია, რატომ იგდებთ თავს სასაცილო მდგომარეობაში? ვინ გეკითხებათ თქვენ ჩემი ლექსების ბეჭდვას და პუბლიკაციას?!. ისინი, თუ ღმერთმა ჰქნა და დამაწერინა, გზას უთქვენოდაც გაიგნებენ!

ან რა „ლიმიტს“ მაყვედრით?!. არც მე და არც ერთ ჩემს შვილს არავითარი „ლიმიტით“ დიახაც არასოდეს გვისარგებლია. მხოლოდ ერთხელ (როცა თქვენ პარტიის ქალაქკომის განყოფილების გამგე იყავით) გოგონასათვის მართლაც მივიღე „ლიმიტი“ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა (მაგრამ არა თქვენი წყალობით) და თქვენ მაშინვე იგივე „ლიმიტი“ გაეცით აფხაზი მეცნიერ-ისტორიკოსის ქალიშვილზე, რომლის მამაც მეორე დღესვე მოვიდა ჩემთან და წინადადება მომცა, გამოცდებიდან მომეხსნა ჩემი შვილის კანდიდატურა, თორემ... ეს მისი მხრივ მართლაც კეთილშობილური გაფრთხილება იყო, რადგან მისაღები გამოცდები აფხაზურ უნივერსიტეტში ტარდებოდა და ქართველი აბიტურიენტის გასვლა კონკურსში აფხაზი მეცნიერის შვილთან, თავად მოგეხსენებათ, რა პერსპექტივას გვიტოვებდა... ჩემმა შვილმა უარი თქვა თქვენს ნაწყალობევ „ლიმიტზე“ და ჩვეულებრივ გამოცდაზე დადგა ჩვეულებრივ.

ხოლო, რაც შეეხება ჩემს „ურაპატრიოტობას“ და „გეგმებზე“ წერას, თავად გაზეთ „საბჭოთა აფხაზეთის“ კოლექტივსა და მკითხველებს მოეხსენებათ, რომ ეს ჩემი თემატიკა და სტილი არ გახლავთ. ეს თქვენი, საბჭოური იდეოლოგიის ღვაწლმოსილი მუშაკის ჰობია და ანპარეზი, მაგრამ, როგორც ვგრძნობ, ფინალიც მალე იქნება!..

ჩემს პოეზიაში გაინტერესებთ პატრიოტიზმი?!. ინებეთ:

„მაინც აქ ვდგავარ (გაყვედრი განა?!.),
ღმერთმა მაშოროს სხვა ხვედრი, სხვა გზა!..
კვლავ გორგასალის სიკერპით ვდგავარ
და დარიალის ღია კარს ვრაზავ“.

და კიდევ ამისთანებისთვის ბევრჯერ გაუჩერებიათ ჩემი წიგნები და აუჩეხიათ კიდეც. ერთხელ, როცა ეს სტრიქონები „საბჭოთა აფხაზეთში“ იბეჭდებოდა და შენ მორიგე იყავი, ანზორ ბატონო, კარგა მაგრად შეაკეთე (1978 წ.) და მეორე დღეს შენთვის დამახასიათებელი უკბილო ხუმრობით მითხარი, რა, რუსებს ურაზავ დარიალის კარებსო?!.

დიახ, რუსებს კი არა, ყველას, ყველას უნდა ჩაერაზოს დარიალის კარი, თვით ქართველსაც, თუკი გამყიდველია და მოღალატე საქართველოსი!..

ბევრი, ამ წერილის წამკითხავი, თუ არ იტყვის, იფიქრებს მაინც, კი მაგრამ ასეთი ბიოგრაფიის კაცი ასეთ საქმეს რატომ ჰკიდებდაო ხელს?!.

მე თქვენ გეკითხებით, სხვა ბიოგრაფიის კაცი მოჰკიდებდა ხელს „ასეთ საქმეს“?!.

— რისი ბრალია ეს? — იკითხავდა, ცოცხალი რომ ყოფილიყო ხულმანთი აკაკი და თავადვე უპასუხებდა, ან პირადულისა და ან ტვინთხეულობისა.

მე კი დავუმატებდი, — ერთისაც, მეორისაც და კიდევ პლუს სულგაყიდულობისაც.

რაც შეეხება ჩემს ხაზინაო პირობებს, მამისეული ორსართულიანი სახლი კი არ დამიტოვებია სოხუმში და სოხუმშივე სახელმწიფო ბინაში კი არ გადავსულვარ, კოოპერატიულ ბინაში ვცხოვრობ, ბატონო თამაზ, და 60-ს მიტანებული კაცი, ახლაც ვიხდი კარგა გვარიან შესატან თანხას და, ალბათ, ისე ჩავალ საფლავში, კიდევ გადუხდელი დამრჩება რაღაც-რაღაცეები.

იქნებ ამ ცილისმწამებლურ წერილთა ციკლით ჩემი გასახლება გადაწყვიტეთ, ისე როგორც ძველად ხდებოდა და, თუ ასე გიფიქრიათ, დიახაც, ძველი სტილით გიფიქრიათ, რადგან ახლა სხვა დროა და საკუთარზე კი არა, ნაძარცვ-ნაგლეჯზე არ სცემენ კაცს ხმას.

სწორედ ამით ისარგებლეს ზოგიერთებმა და, როგორც ამბობენ, კარგა მაგრად მოითბეს ხელი აფხაზეთში დატრიალებული უბედურებითა და სხვადასხვა შესაწირავებით.

ნათქვამია, სახლი რომ აშენდება, შიგ პირველები ბუზები შეფრინდებიანო. სწორედ ამ ბუზებს მაგონებს ეროვნულ მოძრაობაში მოკალათებული ზოგიერთი ნილბოსანი.

შეხორცებულ ჭრილობებს გახსნა და გახსენება არ ეგებისო, ჰკუას გვარიგებ, ანზორ ბატონო, და საკუთარ „კონცეფციას“ გვთავაზობ. ეს შენთვის არის შეხორცებული 15-16 ივლისის სისხლიან დღეთა ჭრილობები, შენთვის; რომელსაც სხვათა კი არა, საკუთარ შვილთა ბედიც რომ ნაკლებად გადარდებს, თორემ, აბა, რამაზ მღებრიშვილისა და სხვა ოც შეწირულთა მშობლებსა და შვილებს დაეკითხე, შეხორცებული თუ ჰქვია მათ ჭრილობებს, ჯერ წლისთავიც რომ არ გადაუხდიათ?!.

ერთადერთი, რაც ამქვეყნად ყველას ერთნაირად მოსწონს, ეს ფული გახლავთ, რისთვისაც ბევრი მათგანი ყველაფერს კადრულობს და სულსაც ჰყიდის.

ერთადერთი, რაც ყველას ერთნაირად აკმაყოფილებს, ეს არის საკუთარი ჭკუა, რომელიც ზოგიერთს საერთოდ არ გააჩნია.

ჩვენ ვერავის დავაძალებთ, რომ გაზეთი „ოქროს საწმისი“ ყველას ერთნაირად მოსწონდეს, ან არ მოსწონდეს, თუნდაც იგი ქართველი იყოს, მაგრამ მისი გამოცემისათვის მოღალატედ გამოგვაცხადონ და ჭორების გამავრცელებლები, ეთნოკრიზისისა და კონფრონტაციის გამომწვევნი გვიწოდონ, არც ეს არის სამართალი. თუმცა ყოველივე საზოგადოებრიობამ და, მით უფრო, მკითხველმა განსაჯოს.

და ბოლოს, წერილის დასაწყისში პატ. რედაქტორი თ. ჩოჩია გაოცებას ვერ მალავს და ასე მესხმის თავს: „ძნელად წარმოსადგენია, რომ ქართველმა კაცმა, რომელიც პრეტენზიას აცხადებს პოეტობაზე, რაც თავისთავად ჰუმანურობასა, კაცთმოყვარეობასა და პატიოსნებას გულისხმობს, ამდენი ბოღმა და სიყალბე დაიტიოს გულში (სიყალბეს არ იტევენ და მით უფრო გულში — ჯ. ჯ.) და ასე აგინოს გაზეთს, სადაც თვითონ წერა ისწავლა“.

პატივცემულ რედაქტორს უნდა მოვახსენოთ, რომ წერა მე I-II კლასებში ვისწავლე და ჩემს სიმწიფის ატესტატს მხოლოდ ერთადერთი „ოთხიანი“ შემორჩა. მეორე, სიყალბეს გულში კი არ იტევენ, არამედ ამბობენ სიყალბეს, ან წერენ სიყალბეზე (ეს სტილის საქმეა, პატ. რედაქტორო!), მესამე, თქვენ წერთ, რომ თითქოს მე ფერხულითა და დოლ-აკორდეონით გამომევლოს ინსტიტუტის დერეფნები. დიახაც, დასამალი რა მაქვს, ვიდრე სტუდენტი გავხდებოდი, აფხაზეთის სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლის სოლისტი-მოცეკვავე ვიყავი და აფხაზეთის ისტორიაში ქართველ ხელოვანს 24 წლის ასაკში მხოლოდ მე მომენიჭა რესპუბლიკის დამსახურებული არტისტის საპატიო წოდება (მკითხველს ვთხოვ, კვეხნაში ნუ ჩამომართმევს), მაგრამ როგორც კი სტუდენტი გავხდი, ანსამბლს თავი დავანებე და ქორეოგრაფად ვმუშაობდი სალამოს საათებში, დღისით კი ვსწავლობდი. რა არის აქ საძრახი, ცოლ-შვილის პატრონს ოჯახი და თავი ჩემივე გარჯით მერჩინა და ზოგიერთივით მოხუც მშობლებს ხელში არ მივჩერებოდი?!. ამას ჩემთვის სწავლაში ხელი არ შეუშლია, და თქვენსავით კვეხნას ვერ მოვყვები ჩემს აკადემიურ წარმატებებზე, მაგრამ ამის მოწმენი, ჩემი ლექტორები თუ თანაკურსელები, ქ. სოხუმში დღესაც ცოტანი როდი არიან, რომ გეკითხათ მაინც რომელიმე მათგანისთვის, ვიდრე დოლ-აკორდეონს აბრახუნ-აჭყვიტინებდით, პატ. რედაქტორო?!.

ხოლო, რაც შეეხება პოეტის ჰუმანურობასა და კაცთმოყვარეობას, ეს სულაც არ გამორიცხავს პრინციპულობასა და მტრისადმი დაუნდობლობას. ცნობილ გერმანელ პოეტს ეკუთვნის სიტყვები: „მგელს დაინდობ, ცხვარს დაჰკარგავ!..“ და კიდევ მისივე სიტყვებია: „მტერი ჯერ ჩამოახრჩვე და შემდეგ შეიბრალე!..“.

სამწუხაროდ, არც ერთის ძალა შემწევს და არც მეორის!..

ერთი რამ კი თქვენ ნამდვილად გააკეთეთ მაგ წერილთა ციკლით, რომლებიც ჯერ „ოქროს საწმისსა“ და შემდეგ ჩემს განქიქებას მიუძღვენით, გაზეთ „საბჭოთა აფხაზეთის“ ისტორიაში დასტურ სამარცხვინო ფურცლები ჩაწერეთ, რამეთუ ეს „ოქროს საწმისსა“ და ჩემს წინააღმდეგ გალაშქრებას კი არა, ყოველივე ქართულისადმი მტრობას, ღალატსა და განდგომას ნიშნავს.

და ეს ბუმერანგი კი არა, ტალახია, მე კი არა, ერთმანეთი რომ გასვარეთ, თქვენ, პატ. რედაქტორო და თქვენ, პატ. ლიტმუშაკო!

და კიდევ ერთი: ცილი შეიძლება ნებისმიერ ადამიანს დასწამო, შეცდომაში შეიყვანო მკითხველიცა და მსმენელიც, ისე, როგორც შეიძლება ტალახი ესროლო და გასვარო ნებისმიერი პიროვნება, რაგინდ სუფთა იყოს იგი. ლიტერატურისა თუ ჟურნალისტიკის ისტორიაში ამის მაგალითი მრავალია, მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ საზეიმოდ ჰქონდეს საქმე ამ ავისმქმნელს. სიმართლე მართლაც კოცონსა ჰგავს, რაც მეტ ჰუჰუსა და ნაგავს აყრი ზედ, მით უფრო გიზგიზებს, როგორც ამას „ოქროს საწმისის“ რეცენზენტი ბატონი აკაკი გელოვანი წერდა ახლახან. ცილისმწამებელიც გამომჟღავნდება, ტალახიც ჩამოირეცხება, მაგრამ სულს — გასვრილს, გათითხნილს, ბინძურს, ვერაფერი შეცვლის, ვერაფერი გარეცხავს. სული, რომელიც ეშმაკს მიეყიდა, ჯოჯოხეთისთვის არის განკუთვნილი. ასე რომ, მოემზადეთ, ჩემო სულგაყიდულო ოპონენტებო, არცთუ საამო და არცთუ ხანმოკლე მოგზაურობისათვის!..

ჯანო ჯანელიძე

# ასეთ ჩვენი

# მშობლიური არმია!..

უჩვეულო პაციენტების მიღება მოუხდა ამ დღეებში ქ. სოხუმის რესპუბლიკური საავადმყოფოს ნეიროქირურგიული განყოფილების გამგეს, მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატს ნაპოლეონ მესხიას.

არავისთვის საიდუმლოებას არ წარმოადგენს, თუ რა განუკითხაობაა გამეფებული ამჟამად საბჭოთა არმიის რიგებში. უდისციპლინობა, კორუფცია, ნარკომანია და კიდევ ვინ იცის, რა სიგლახე არ იჩენს თავს და არ იდგამს ფესვებს „მშობლიურ“ არმიაში.

ეროვნებათშორისი კონფლიქტები, რომელიც მთელი კავშირის მასშტაბით მძვინვარებს, არმიისათვისაც გახდა დამახასიათებელი. ვინ იცის, რამდენი ჯარისკაცი შეეწირა, რამდენი ახალგაზრდა სიცოცხლე შეწყდა და რამდენი ოჯახი გაუბედურდა ამ ეროვნული კონფლიქტებისა და შეხლა-შემოხლის შედეგად. აქ, ამ სურათზე აღბეჭდილთაგან ორი — თენგიზ გოლეთიანი და ბესარიონ შაქარაშვილი ჯარისკაცები იყვნენ და მოსკოვის ოლქის ერთ-ერთ სამხედრო ნაწილში მსახურობდნენ. დემობილიზაციამდე სულ ორიოდე დღე აკლდათ, როცა მათთან გამოსამშვიდობებლად მივიდა მოსკოვის ერთ-ერთი უმაღლესი სასწავლებლის სტუდენტი, ქ. სოხუმის მკვიდრი მალხაზ ბიგვავა. სამთავემ კი გადაწყვიტეს ერთად, გამოემშვიდობებოდნენ მეგობარ ჯარისკაცებს.

...და, აი, როგორც სურათზე ხედავთ, მოულოდნელი და გაუთვალისწინებელი ფინალი. მშვიდობიანი განშორების ნაცვლად მათ რუსი ჯარისკაცები და, რაც მთავარია, ოფიცრები ხელკეტებითა და ნიჩაბ-ბარებით გაუმასპინძლდნენ, — ესეც თქვენ, 9 აპრილის აღსანიშნავადო, შემდეგ ტანზე ყველაფერი პირწმინდად შემოახიეს და შემოაჭრეს, გონწართმეულნი, წყლის აუზში პირდაღმა დაჰკიდეს და სადისტური თავგამოდებით აწამეს, შემდეგ კი ისევ დაზარალებულთ და წამებულთ ემუქრებოდნენ სამხედრო ტრიბუნალით და პროვოცირების კარგად დახვეწილი მეთოდებით ცდილობდნენ ფულის გამოძალვას. ბოლოს მაინც ადამიანური კეთილშობილება ჩაერია საქმეში და მშობლების აქტიური პროტესტის შემდეგ ისინი ქ. სოხუმში აღმოჩნდნენ.

თავის ქალის მძიმე ტრავმა, სხეულისა და ტვინის დაბეჟილობა, სისხლისჩაქცევები მთელ სხეულზე, თვალის და სახის არეებშიც კი...

...და ეს მერამდენჯერ....

...და ყოველივე ამის შემდეგ ვის აქვს ან იურიდიული, ან მორალური უფლება, მოსთხოვოს ქართველ ახალგაზრდობას ასეთ „მშობლიურ“ არმიაში სამხედრო-სავალდებულო სამსახური?!.









სურათზე: ზემოთ, თენგიზ გოლეთიანს და ბესარიონ შაქარაშვილს უტარებენ მორიგ სამედიცინო პროცედურას; ქვემოთ, მალხაზ ბიგვავა, ბესარიონ შაქარაშვილი და თენგიზ გოლეთიანი.

## „ოქროს საწმისის" რედაქტორს!

მიმდინარე წლის 3 მარტს გაზეთ „საბჭოთა აფხაზეთში" დაიბეჭდა რედაქციის თანამშრომლის ა. გვარამიას წერილი, რომელშიც, ჩემი აზრით, სრულიად უსაფუძვლოდ იყო გაკრიტიკებული „ოქროს საწმისი". რედაქციას გავუგზავნე პასუხი, რომლის დაბეჭდვა დიდხანს — 23 მარტამდე გაჭიანურდა. 23 მარტს კი ჩემს წერილთან ერთად დაიბეჭდა... ა. გვარამიას გამოხმაურებაც, სადაც ჩემმა ოპონენტმა უსაფუძვლო, სრულიად დაუსაბუთებელი ბრალდებები წამომიყენა, ჭორი გამივრცელა და ცილი დამწამა. ცხადია, რედაქციას გავუგზავნე ა. გვარამიას ხელმეორე გამოხდომის პასუხი — „წერილი რედაქციას", რომლის დაბეჭდვაზეც უარი მივიღე. სიმართლე მოგახსენოთ, „საბჭოთა აფხაზეთის" რედაქტორისგან სხვა პასუხს არც მოველოდი. ამის განცხადების საფუძველს ის მაძლევს, რომ ჯერ კიდევ 1989 წლის მაისში გაზეთის რედაქტორს, ბატონ თ. ჩოჩიას მივუტანე წერილი „შიში", რომელშიც გულახდილად შევეცადე გამეცხადებინა აფხაზეთის მწერალთა კავშირში მაშინ არსებული აუტანელი მდგომარეობა, რამაც ჩვენ, ქართველი მწერლები, გვაიძულა დემონსტრატიულად გვეთქვა უარი აფხაზ მწერლებთან თანამშრომლობაზე. პატ. რედაქტორმა მაშინაც თავაზიანი უარით გამომისტუმრა (ის წერილი შემდეგ გამოქვეყნდა გაზეთ „ლიტერატურულ საქართველოს" 1989 წლის 23 ივნისის ნომერში).

არადა, „საბჭოთა აფხაზეთს" უნდა დაებეჭდა ჩემი წერილი, არა ჩემი თავის მართლების, არამედ ჭეშმარიტების დადგენის მიზნით. სამწუხაროდ, რედაქცია „მდგომარეობის გართულებას" ამჯერადაც მოერიდა და არ მოიქცა ისე, როგორც ამას ჟურნალისტური ეთიკა მოითხოვს.

გთხოვთ, გამოაქვეყნოთ ჩემი წერილი, რათა მკითხველმა საზოგადოებამ შეძლოს მტყუან-მართლის გარჩევა.

# წერილი რედაქციას

ყოველგვარი წვრილმანი კინკლაობის სასტიკი წინააღმდეგი ვარ, მაგრამ, რაკი დუმილი უსიტყვო თანხმობად მიიჩნევა, ა. გვარამიას მიერ ჩემს საწინააღმდეგოდ შეთითხნილ პასკვილს (იხ. ა. წ. 23 მარტის „საბჭოთა აფხაზეთი") ვერავითარ შემთხვევაში უპასუხოდ ვერ დავტოვებ.

თქვენი რედაქციის თანამშრომელმა, ჭორების წინააღმდეგ „მებრძოლმა" ა. გვარამიამ ჭორი გამივრცელა და ცილი დამწამა.

ღმერთმა დამიფაროს, ამ წერილს თავის გასამართლებლად ვწერდე. არ ვაპირებ თავის მართლებას, რადგან ყველა იმ უსაფუძვლო ბრალდებაზე, რასაც ა. გვარამია მიყენებს, ამომწურავი პასუხი მაქვს გაცემული როგორც გაზეთებში — „ავანგარდი", „სოფლის ცხოვრება", „ოქროს საწმისი", „ლიტ. საქართველო" — გამოქვეყნებული მასალებით, ასევე ჩემი პრაქტიკული მოღვაწეობითაც. ასე რომ, თავის გასამართლებელი არაფერი მჭირს, მაგრამ ჭორი კი უნდა ვამხილო, რომ მკითხველს ჩემი ოპონენტის ჭეშმარიტი სახე დავანახო. თქვენ კი, ჟურნალისტური ეთიკის თანახმად, ეს ჩემი წერილი უნდა გამოაქვეყნოთ, რომ ცალ კარში თამაში არ გამოგივიდეთ.

მაშ, ასე, ჟურნალისტი ა. გვარამია აცხადებს — ხუნდაძე ეროვნული მოძრაობიდან გასული (!) მეგონა, რადგან 1978-1980 წლებში მიტინგების ჩატარებაში ხელს გვიშლიდაო.

„გასაკვირად მიკვირს" (ა. გვარამიას ტერმინია), ვინ ბრძანდებოდა ა. გვარამია, რომ მე მისთვის მიტინგის ჩატარებაში ხელი შემეშალა?

ამ სიტყვების წამკითხველმა, საქმეში ჩაუხედავმა კაცმა შეიძლება იფიქროს, რომ ეროვნული საქმისათვის თავდადებულ, მის მედროშე ა. გვარამიას დასახული გრანდიოზული ღონისძიებების ჩატარებაში თქვენი მონა-მორჩილი „გაგრელი ნოდარ ხუნდაძე" უშლიდა ხელს.

ხატზე შემიძლია დავიფიცო, რომ ასეთ ეროვნულ მოღვაწეს არ ვიცნობდი და მასთან ეროვნული მოძრაობის ნებისმიერ მეთოდზე (მათ შორის არც მიტინგებზე) ერთხელაც არ მქონია საუბარი. ვეჭვობ, იმდენად „გასული" ვიყო ეროვნული მოძრაობიდან, რომ ეს ახალგამომცხვარი მედროშე ამ მოძრაობისა ვერ შემენიშნოს.

და მაინც — ნეტავი რით გამოიხატა ჩემს მიერ მიტინგების ჩატარებაში ხელის შეშლა? ასეთი ფაქტების დასახელება გვარამიას არ შეუძლია, მათი არარსებობის გამო, ხოლო მე კი, ა. გვარამიას სიყალბის ნათელსაყოფად, იძულებული ვარ, ზოგი რამ მოვიგონო 70-იანი წლების მიწურულის ამბებიდან!

...1978 წლის აგვისტოში გაგრელმა ქართველებმა გადავწყვიტეთ, ქალაქის სტადიონზე მიტინგი ჩაგვეტარებინა (მიტინგის ჩატარების გამომწვევ მიზეზებსა და მის მიზანზე გარკვეული მოსაზრებით არაფერს ვამბობ, მე დამევალა დამეწერა მიმართვა საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის სახელზე. დავწერე კიდეც. მასში ნათქვამი იყო, რომ მიმდინარე წლის სექტემბერში (თუ არ ვცდები, 3 სექტემბერს) გაგრის ქართველ მოსახლეობას გადაწყვეტილი აქვს, ქალაქის სტადიონზე ჩაატაროს მიტინგი. გთხოვთ, დაესწროთ და უზრუნველყოთ ღონისძიების უსაფრთხო ჩატარება. მიმართვას საქალაქო საბჭოს რამდენიმე დეპუტატი აწერდა ხელს. რამდენიმე დღის შემდეგ ქალაქის პროკურატურიდან დამირეკეს, პარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის ადმინისტრაციული ორგანოების განყოფილების გამგე გიბარებსო.

— შენ იმ მიტინგის ორგანიზატორი ხარ, რომელიც ამ დღეებში უნდა ჩატარდეს. იცი თუ არა, გაუთვალისწინებელი რამ რომ მოხდეს, პასუხისმგებლობა, უპირველეს ყოვლისა, შენ დაგეკისრება, — მითხრა საოლქო კომიტეტის წარმომადგენელმა (მადლობა ღმერთს, დღეს ის პიროვნებაც ცოცხალი და საღ-სალამათია, გაგრის მაშინდელი პროკურორიც და, თუ საჭირო გახდა, ალბათ, ჩემს ნათქვამს დაადასტურებენ).

რაკი ცნობილი შეიქნა, რომ ქართველობა მიტინგის ჩატარებას აპირებდა, რესპუბლიკის მთელი მაშინდელი ხელმძღვანელობა გაგრაში ჩამოვიდა და მოაწყო შეხვედრა ადგილობრივ ქართველ ინტელიგენციასთან. ამ შეხვედრაზე მეც მომიხდა გამოსვლა. თუ როგორ გამოვედი, რა რეაქცია გამოიწვია მაშინდელმა ჩემმა სიტყვამ, არაფერს ვამბობ, რადგან გაგრელმა ქართველებმა დიახაც კარგად იციან ყოველივე!

ხაზს ვუსვამ მხოლოდ ერთ მომენტს: რესპუბლიკის მაშინდელ ხელმძღვანელს ასეთი რამ ვუსაყვედურე: ერთ-ერთი აფხაზური ჟურნალის მთავარი რედაქტორი, რომელიც პარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის ბიურომ ანტიეროვნული გრძნობების გაღვივებისათვის თანამდებობიდან მოხსნა და პარტიიდან გარიცხა, თქვენ პარტიაში აღადგინეთ და იმ გამომცემლობის მთავარ რედაქტორად დანიშნეთ, სადაც ქართული წიგნებიც გამოდის; რა ხალისით უნდა გამოსცეს მან ქართული წიგნი, თუ ქართულ ენას ნაჯახით ებრძვის-მეთქი.

ეს იყო და ეს. ჩემი წიგნის გამოცემაზე, რასაც ასე ურცხვად მაბრალებს ა. გვარამია, კრინტიც არ დამიძრავს. მადლობა ღმერთს, მთელი გაგრის ინტელიგენცია ამის მოწმეა.

შეხვედრა რომ დამთავრდა, რესპუბლიკის მაშინდელი ის ხელმძღვანელი სამ კაცს — ბატონ ნოდარ კეშელავას, აწ გარდაცვლილ ბატონ კარლო დანელიას და მე ცალკე გვესაუბრა. საუბარი იმდენად გულახდილი, საქმიანი და დამაიმედებელი გამოდგა, დავრწმუნდით, რომ იმ ეტაპზე მიტინგის ჩატარებისგან თავშეკავება აჯობებდა, რომ ეს ღონისძიება სიტუაციას უფრო გაართულებდა და დაძაბავდა. თანაც პატივცემულ მკითხველს ვთხოვ გაითვალისწინოს, რომ ლაპარაკია 12 წლის წინანდელ ამბავზე. თუმცა მაინც შორსა ვარ იმ აზრისგან, რომ მაშინდელი ჩვენი გადაწყვეტილების ერთმნიშვნელოვანი შეფასება შეიძლებოდეს.

ა. გვარამიასათვის ადვილია დღეს დემაგოგიურად გამოიყენოს ეს ფაქტი, მაშინ კი, მოგეხსენებათ, მოვლენათა შეფასების კრიტერიუმები დღევანდელისგან დიდად განსხვავდებოდა.

თუმცა ხაზგასმით უნდა განვაცხადო, რომ მიტინგის ჩატარებისათვის ჩვენ ხელი არაფრით შეგვიშლია! არადა, ჩემი ოპონენტი დაჟინებით აცხადებს: „სულ გვაჩუმებდა: საჭირო არაა მიტინგები, ფრთხილად და ფრთხილადო!" ღმერთო დიდებულო, რას არ გაიგონებს ადამიანი! მე ვიცნობ მავანსა და მავანს, სიზმარში ან სიმთვრალეში რომ აიკვიატებს — ეს ასე მოხდაო, მერე სიფხიზლეშიც მტკიცედ სჯერა თავისი „ნაზრევი". არ მინდა, გვარამიაც ასეთთა კატეგორიას მივაკუთვნო, მაგრამ როგორღა მოვიქცე, როცა იმას ამტკიცებს, რასაც ადგილი არა ჰქონია?! — „1978-1980 წლებში ვინც ჩვენს წინააღმდეგ (მათ შორის ჯანო ჯანელიძის წინააღმდეგაც) აქტიურობდნენ და პირველობდნენ, ახლა ეროვნულ მოძრაობაში პირველობას სწორედ ისინი იჩემებენ". ჯერ ერთი, ის ფაქტი, რომელზეც ზემოთ ვისაუბრე, მოხდა 1978 წელს და 1980 წელი რა შუაშია, ვერ გამიგია?!.. მეორეც, საიდან დაასკვნა ა. გვარამიამ, რომ მე ეროვნულ მოძრაობაში პირველობას ვიჩემებ? და კიდევ: მას შემდეგ მე და ა. გვარამიას აგერ თორმეტი წლის განმავლობაში ერთმანეთთან ნორმალური ადამიანური დამოკიდებულება გვქონდა და, თუ მართლა ჭეშმარიტი ეროვნული მოღვაწე და პატრიოტი იყო, ერთხელ მაინც რატომ არ მისაყვედურა ის ძველი „ცოდვა"?

მით უმეტეს, ჰქონდა კიდეც ამის შანსი: ამ ამბებიდან ზუსტად ერთი წლის შემდეგ, 1979 წლის მაისში, ჩემი დაბადების 50 წლისთავზე, მოხსენებით გამოვიდა და, ცხადია, ქება-დიდება შემასხა. იქნებ მითხრათ, მაშ, ზეიმის დღეს ძაგებას ხომ არ დაგიწყებდაო? მართალია, ბატონო, მაგრამ ულირსი კაცის ქებისგან თავის შეკავება მაინც ხომ შეეძლო? თუკი ნოდარ ხუნდაძემ 1978 წელს „ოფიციოზს დაუჭირა მხარი", თუკი მუდამ „ორ სკამზე მჯდომი კაცი" იყო, ვინ ან რამ აიძულა ა. გვარამია, საიუბილეო საღამოში ასეთი აქტიური მონაწილეობა მიეღო?

ყოველივე მაშინ „გაიხსენა", როცა თავისი „სიტყვა მოუზომელით" თავსლაფი დაისხა. ასე რომ, მთელი ეს ბრალდება ყურით მოთრეულია და მკითხველის დეზინფორმაციას ისახავს მიზნად.

ეროვნული მოძრაობის ამ ახალგამოჩეკილმა „მესიამ" იმათ რიცხვს მიმაკუთვნა, ვინც 9 აპრილის ტრაგედიის შემდეგ მიეტმასნა ამ მოძრაობას.

ჯერ ერთი, გვარამიასავით ვერ გავკადნიერდები, რომ განვაცხადო, ამ მოძრაობის მედროშე ვარ-მეთქი, მაგრამ მისგან „გასული" არასოდეს ვყოფილვარ. ჩემი ძალა და უნარი არ დამიზოგავს სიმართლის თქმისა და კანონიერების დაცვისათვის. ვიმეორებ, ამაზე ჩემი პუბლიკაციები და საჯარო გამოსვლები კარგად მიუთითებენ (ისე, ნამდვილად გასაოცარია, რატომ ჰგონია ზუგდიდელ გვარამიას, რომ „გაგრელ ხუნდაძეს" მასზე ნაკლებ აწუხებს ის, რაც აფხაზეთში ხდებოდა და ხდება?).

ამ წერილის წამკითხავი, ა. გვარამიას თბილისელი ნაცნობები, ალბათ, ძალაუნებურად გაიხსენებენ მომენტებს მისი ბიოგრაფიიდან, რაც არც თუ ისე სასახელოა, ამიტომ, როცა ეროვნული მოძრაობის დროშას წაეტანება კაცი, პირველად საკუთარ სულსა და ხელებზე უნდა დაიხედოს — სუფთა აქვს თუ არა.

მეორეც, ეტყობა, ჩემმა ოპონენტმა არ იცის, რომ 9 აპრილს, ქართველთათვის იმ ავადმოსაგონარ დღეს, გაგრაში ხალხმრავალი მიტინგი ჩატარდა, რომელზეც სხვებთან ერთად, მეც გამოვედი. იძულებული გავხდით მიტინგი შეგვეწყვიტა, რადგან თბილისიდან შემზარავი ამბავი გვაცნობეს...

ასე რომ, აქაც კოვზი ნაცარში ჩაუვარდა ა. გვარამიას.

სხვათა შორის, ერთი რჩევა კი მინდა მივცე ჩემს ოპონენტს (უნდა მეგობრულად ჩამითვალოს ეს რჩევა, უნდა — მტრულად), — იმ გაზეთის გარდა, რომლის რედაქციის თანამშრომელიცაა, ჟურნალისტმა სხვა გაზეთებიც უნდა იკითხოს, რომ მხედველობიდან არ გამორჩეს, ვინ არის ეროვნული მოძრაობიდან „გასული" და ვინ — „შემოსული".

და კიდევ: „გაოცებისგან გაოგნებული" (ესეც ა. გვარამიას ტერმინია) ვარ, რაში დასჭირდა ა. გვარამიას ჩემზე ჭორის თხზვა? განა ის დავწამე, რაც არ უთქვამს?

კადნიერებაში ნუ ჩამომართმევთ და ეჭვი არ მეპარება — რის თქმაც მინდოდა, ჩემს წერილში „მხოლოდ სიმართლე!" გასაგებად ვთქვი. არც ის მეეჭვება, რომ მკითხველმა სწორად გამიგო. მხოლოდ ა. გვარამიას გასაგონად დავძენ: ჩემი მიზანი იმის თქმა იყო, რომ თუ ეროვნული საქმისათვის სასიკეთო რამის გაკეთება არ შეგვიძლია (ყველა ვერ იქნება კახაბერი!), სხვებს მაინც ნუ შევუშლით-მეთქი ხელს!

„ამ დროს ჰუმანისტი კაცი — მწერალი გვიკიჟინებს საპირისპირო მიმართულებით (!), კვლავ დაძაბულობისაკენ გვიბიძგებს", — წერს. ა. გვარამია.

მკითხველს თავს არ შევაწყენ ჩემი წერილიდან იმ ადგილების მოტანით, სადაც სწორედ ამის საწინააღმდეგო აზრებია გამოთქმული, მაგრამ მორიდებით კი ვთხოვ, კიდევ ერთხელ გადაავლოს თვალი „მხოლოდ სიმართლე"-ს, რათა უჩემოდ დაასკვნას, რამდენად გულწრფელია ჩემი ოპონენტი.

ერთი სიტყვით, ა. გვარამიამ, რაკი ჩემი გულისწყრომის გასაბათილებლად არავითარი საფუძველი არ გააჩნდა, ჩემი წერილის მისთვის მიუღებელ დებულებებს გვერდი აუარა და ცილისწამების გზას დაადგა. ეს სხვა არა არის რა, თუ არა გალმა შედავების პოლიტიკა. ვეჭვობ, ამ პოლიტიკამ ა. გვარამიას მომგებიანი ქულები შესძინოს.

არაერთმა „ჩემი თვალსაზრისის გამზიარებელმა" მითხრა: გვარამიას „სიტყვა მოუზომელი" სწორედ ოფიციოზის კარნახით არის დაწერილი მავანისა და მავანის საამებლადო.

არ ვიცი, რამდენად სწორია ეს, მაგრამ არ შემიძლია, ერთი რამ მაინც ხაზგასმით არ აღვნიშნო: ა. გვარამიას წერილს „არის კი პასუხი საჭირო?" (თუ არ იყო, რაღად სწერდი, შე მამაცხონებულო!) ღვარძლისა და შმორის ისეთი სუნი ასდის, მხოლოდ ხელმოცარულ ადამიანებს რომ ახასიათებთ.

ნოდარ ხუნდაძე,
1989 წ. 29 მარტი.

---

[illegible][...]
[illegible][...]
[illegible]
[illegible] [...]
5 [illegible] [illegible]
[...] [illegible] (10)
[...] [illegible]
[...] [illegible]
[illegible] [illegible]

[†] აღ(ა)შ(ე)ნა წ(მიდა)ჲ ე[სე ეკლე-სიაჲ] [.] მ(ა)მ(ადმ)თ(ა)ვ(ა)რმ[ან], [.] მ(ე)ფ(ო)ბ(ა)სა გ(იორგ)ჲ(ს)სა, ოდ(ე)ს [...] [დაი]ბადა. [...] მ(ი)ხსა.
წ(მიდა)ო ნ(ი)კ(ო)ლ(ო)ზ, მ(ეო)ხ ეყავ წ(ინაშ)ე ქ(რისტ)ჱსა.

1156-1178 წ.წ.

ხუაფი (გუდაუთის რ-ნი),

სამშენებლო წარწერა.

[illegible]
[illegible]
[illegible]
[illegible]

[illegible]
[illegible]
[illegible]
[illegible]

[†] წ(მიდა)ნი მთ(ა)ვარა(ნ)გ(ე)ლოზნი მ(ი)ქ(აე)ლ და გ(ა)ბრ(იე)ლ.

XII ს.

ანუხვა (გუდაუთის რ-ნი),

წარწერა სვეტზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# გაზეთ „საბჭოთა აფხაზეთის“ არქივიდან

როგორც „ოქროს საწმისის“ დღევანდელი ნომრის წერილში, „ჯოჯოხეთის კანდიდატები, ანუ პასუხი სულგაყიდულ ოპონენტებს“, აღვნიშნავთ, გაზეთ „საბჭოთა აფხაზეთის“ რედაქტორის თამაზ ჩოჩიასა და ამავე რედაქციის თანამშრომლის ანზორ გვარამიას ჩვენდამი მოძღვნილი ცილისმწამებლური წერილები პირველი როდია და არც უკანასკნელი იქნება, რასაკვირველია, თუკი შესაფერი საშუალება მიეცემათ. ამის დასტური გახლავთ ეს ორი წერილიც, რომელთაც მკითხველს ვთავაზობთ და რომლებიც ავტორებმა დაგვიანებით მოგვაწოდეს. ამ წერილებს გაზეთ „საბჭოთა აფხაზეთის“ ფურცლებზე დაბეჭდვა, როცა ეს განსაკუთრებით საჭირო იყო, არ ეღირსათ, მაგრამ უნდა აღვნიშნოთ და, სამართლიანადაც, რომ არც ახლა გახლავთ ეს პუბლიკაცია უდროო, რამეთუ ისინი ერთხელ კიდევ ააშკარავებენ იმ პოზიციას და პროვოკაციულ მეთოდებს, რასაც ავლენს „საბჭოთა აფხაზეთის“ რედაქტორი ყველას მიმართ, ვინც პრინციპული და ჯანსაღი ეროვნული პოზიციის დაკავებას ცდილობს. ამ წერილებში ასევე აშკარად ჩანს, რა მოქნილობითა და ოპერატიულობით ახდენს ბატონი თამაზ ჩოჩია პირად ანგარიშსწორებას იმ ადამიანებისადმი, რომლებიც შეეცდებიან ამხილონ მისი უნიათობა ყოველივე ეროვნულისა და სამართლიანობისათვის ბრძოლაში მხარდასაჭერად; გარკვევით ჩანს მისი დახვეწილი სტრატეგია და ტაქტიკა, რათა შეინარჩუნოს სანუკვარი და საყვარელი სავარძელი, თუნდაც სამართლიანობისა და ეროვნული დამოუკიდებლობისათვის მებრძოლ თანამემამულეთა დისკრედიტაციის, მათდამი შურისძიებისა და მათი განქიქების საფასურად.

ბატონო რედაქტორო! გავეცანით რა თქვენი გაზეთის 2 აგვისტოს ნომერს, გაგვაოცა რედაქციის მინაწერმა „ცივი გონებით“. ჩვენ, საავადმყოფოს ექიმები, თქვენი გაზეთის მეშვეობით სულ სხვა ინფორმაციას ველოდით ჩვენი კოლეგის, ექიმ-ტრავმატოლოგ ი. სალიას შესახებ. სამწუხაროდ, წავაწყდით კი საწინააღმდეგოს. კოლეგებისა და ავადმყოფებისათვის საყვარელი და ავტორიტეტული პიროვნება, ხალხისა და ერის ერთგული ახალგაზრდა ტრავმატოლოგი, ქართველებისათვის ამ ავბედით ჟამს პროვოკატორიც კი გაგვიხადეთ. აფერუმ, თქვენს ვაჟკაცობას და ქართველობას!

თქვენი გაზეთის ახლანდელი მსხვერპლი, ქართველი ექიმი ი. სალია სწორედ ის ექიმი-ქირურგი გახლავთ, რომელიც იმ საბედისწერო 15 ივლისის ღამეს, ვიდრე გათენებამდე, 1-ლი საავადმყოფოს ტრავმატოლოგიური განყოფილების საოპერაციოში, გარედან დაშენილი ავტომატების ცეცხლქვეშ, თავისი პროფესიის ბოლომდე ერთგული, დაჭრილ-დასახიჩრებულ ავადმყოფებს, საკუთარი სიცოცხლის რისკით, ურთულეს ოპერაციებს უკეთებდა.

რა მიიღო საზღაურად? თუმცა სიკვდილთან მებრძოლ ექიმებს განსაკუთრებული რამ არასოდეს უთხოვიათ, მაგრამ დაუმსახურებელი ცილისწამება და უმადურობა კი ეკუთვნოდა? ისევ და ისევ აფერუმ თქვენ! ყოველივე ამის მიზეზი გახლავთ ი. სალიას მიერ სოფელ შრომაში თავყრილობაზე წარმოთქმული მოკლე სიტყვა, საკუთარი პოზიცია და გულისტკენა, გამოთქმული გაზეთ „საბჭოთა აფხაზეთისა“ და მისი რედაქტორის მიმართ და მასში გარეული ორიოდე კრიტიკული წინადადებაც.

რაო, ბატონო თამაზ! რამ გაგანაწყენათ ასე თქვენ და თქვენი რედაქცია, კრიტიკას გვიკრძალავთ?!. თუ ჩვენი მოქალაქეობრივი პოზიციის გამოხატვას რედაქციის მიმართ მტრობად გვითვლით?!. მერედა, ვინ მოგცათ უფლება, პირადი შურისძიების

## „დიდთა ვერ მოჰკლვენ...“

ჩვენი პასუხი გაზეთ „საბჭოთა აფხაზეთის“ რედაქტორს ბატონ თამაზ ჩოჩიას

მიზნით გამოიყენოთ გაზეთი, რომელსაც თქვენ რედაქტორობთ? თქვე დალოცვილისშვილო, ჟურნალ-გაზეთების რედაქტორები და რედაქციები თქვენი არშინით რომ მიუდგნენ საქმეს, საბჭოთა კავშირის მოსახლეობის ნახევარი ციხეში უნდა ჩაყარონ მათი კრიტიკის გამო. უკაცრავად, მაგრამ თქვენს რედაქციაში, რომელსაც ჩვენ უდიდეს პატივს ვცემთ და ბევრი ახლო მეგობარიც გვყავს, ხომ არ ჰგონია ვინმეს, თითქოს ბრეჟნევისეული ეპოქის ადმინისტრაციულ-მბრძანებლურ სავარძელშია მოკალათებული? და თუ ასე ჰგონია, მაშინ თქვენთან ერთად, ჩვენც, ექიმებიც (რაკი თქვენ, ჟურნალისტები, სულის, ჩვენ კიდევ სულისა და სხეულის საერთო საქმეს ვემსახურებით), უნდა გავერთიანდეთ, და, უპირველესად, ერთ ძმურ რჩევასაც მოგაწვდით: ის სავარძლები სასწრაფოდ მოაშორეთ რედაქციას (მარტო სავარძლების მოშორებამ თუ უშველა საქმეს), სადმე შორს წაიღეთ, უკაცრიელ მინდორში, ნავთი გადაასხით და დაწვით, თორემ ჩვენ ისიც გვახსოვს, ამ ცოტა ხნის წინ, თქვენს რედაქციაში შევარდნილი გამწარებული, გამძვინვარებული ქართველი ხალხის მასა, ზოგიერთს, გადამწიფებული ვაშლივით, მე-2, მე-3 სართულიდან სავარძლებიანად უპირებდა გადაყრას ქუჩაში. ზოგი იმათთაგანი იმასაც გაჰყვიროდა, ბენზინი მოეტანათ სასწრაფოდ და სავარძლები პატრონებიანად დაეწვათ კაბინეტებში. ასე იყო ეს, ბატონო თამაზ! ხოლო რამაც აღაშფოთა, რამაც გაამძვინვარა ქართული ინტელიგენციის ის ნაწილი, თქვენ და თქვენს რედაქციასაც კარგად მოგეხსენებათ. აქ კომენტარი, ჩვენის აზრით, ზედმეტია.

ახლა სიტყვა-სიტყვით გავცეთ პასუხი რედაქციის, ე. ი. თქვენს ბრალდებას ჩვენი კოლეგის მიმართ.

გაუგებარია, რატომ იყო უცხო თავყრილობაზე იური სალიას გამოჩენა, დასწრება, ან ის, რომ მან სიტყვა მოითხოვა და თქვა თავისი მოსაზრება. განა რა მნიშვნელობა აქვს, იყო თქვენთვის სასიამოვნო თუ არა ის, რაც თავყრილობაზე ითქვა ექიმის მიერ, განა ეს აძლევს უფლებას რედაქციას საჯაროდ ლანძღოს ექიმი ი. სალია? — 43 წელს გადაცილებული კაცი, მშვენიერი ოჯახიშვილი და ასევე სასიქადულო ოჯახის პატრონი, 2 შვილის მამა, რომელიც დამსახურებული ავტორიტეტითა და სიყვარულით სარგებლობს სოფელ შრომაში, სოფელში, სადაც დაიბადა, გაიზარდა და ცხოვრობს ამჟამადაც. ვფიქრობთ, მას სრული უფლება აქვს, იყოს თავის ხალხთან ჭირსა და ლხინში, ვალდებულია სიტყვითაც გამოვიდეს თავისი ხალხის თავყრილობაზე და სანამ თქვენ, ბატონო რედაქტორო, და თქვენი რედაქცია, ამ უწყინარ და პატიოსან ექიმს სრულიად უსაფუძვლოდ, სოფელ-სოფელ მოსიარულე ავყია „მისიონერად“ მონათლავდით, სჯობდა, ზემოთქმულში გარკვეულიყავით.

თქვენ რედაქციაში განათლებული ჟურნალისტები გყავთ და იმათ კარგად იციან, რომ დაუფიქრებლად, ცხელ გულზე წამოსროლილ ბრალდებას ბუმერანგის თვისება აქვს და იგი ბრალდების წამომყენებელს უბრუნდება უკანვე მთელი თავისი „სიმშვენიერით“.

ვითომ რაო, ბატონო რედაქტორო! ექიმების მიმართ ისევ იმ ხელწამოსაკრავ პოლიტიკაზე ვდგავართ, რომელიც უძრაობის წლებში ასე პოულობდა გასაქანს, როცა ექიმის ავტორიტეტი ჩალის ფასად არ უღირდათ, თუ... „დიდთა ვერ მოჰკლვენ, ხელად აქვთ ხოცა ნადირთა მცირეთა“. თქვე კაი ხალხო, თუ ასეთი მაგარი ბიჭები ხართ, ერთი ვრცელი და პირუთვნელი რეპორტაჟი მაინც დაგეწერათ იმ ტრაგიკულ მოვლენებზე, რომელიც 14-15-16 ივლისს დატრიალდა. სხვათა შორის, საინტერესოა, იმ დღეებში, იმ საშინელ წუთებსა და საათებში, თქვენ ხალხთან იყავით, თუ სახლებში მორჭმულად მჯდომარენი, დარაბების ჭუჭრუტანებიდან გასცქეროდით, როგორ ხოცავდნენ ქართველებს? რაც შეეხება ტრიბუნის მოპოვებას, გწამდეთ და გჯეროდეთ, ექიმების ტრიბუნა ერთია — ავადმყოფის საწოლი და საოპერაციო მაგიდა. და თუ ისინი სოფლის თავყრილობაზე, ტრიბუნებზე მიკროფონებთან იხილოთ, მაშასადამე, აწუხებთ ის, რაც ჩვენ ყველას გვაწუხებს დღეს, ხოლო, რაც შეეხება ეროვნულ საქმეს და სუფთა ხელებს, ეს აზრი დასაბუთებულად, სწორედ ექიმებზე, თქვენზე ადრე გამოთქვეს თქვენსავე გაზეთში. ნურავის შევაშინებთ წარსულით ან აწმყოთი, თუ ღმერთი გწამთ, იმ „მილიონერებსაც“ შეეშვით, რამეთუ მამულისათვის უცემდათ გული. ყველას აქვს უფლება ორპირობისა, სხვათა ლაქიობისა, ორ სავარძელზე მოხდენილად ჯდომისა და, რა თქმა უნდა, საკუთარი ხალხის სისხლში ხელის გასვრისა, აშკარად თუ ფარულად, თავისი ცხოვრებისეული პოზიციის ტარებისა, მაგრამ ფინალსაც ხომ შესაფერისს უნდა ელოდნენ?!.

პატივისცემით ექიმები: დუდუ გულორდავა, გურამ პაჭკორია, გივი ღვინჯილია, თამაზ ჯანაშია

სოხუმის რაიონის სოფელ შრომის მოსახლეობა თუ რამდენად აქტიური მკითხველია გაზეთ „საბჭოთა აფხაზეთისა“, ამაზე ხელმომწერთა საკმაოდ სოლიდური რაოდენობა მიუთითებს. თუმცა არც ისაა დასამალი, რომ უკანასკნელ ხანებში ქართველ მოსახლეობას ერთგვარი უნდობლობა გაუჩნდა ამ გაზეთისადმი და სამართლიანადაც: აპრილ-მაისში, როდესაც აფხაზეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტები და

ქ. სოხუმის პირველი საავადმყოფოს ექიმ-ტრავმატოლოგის ი. სალიას მოკლე გამოსვლა, რედაქცია რომ პროვოკაციულს უწოდებს, სამწუხაროდ, პროვოკაციული კი არა, სამართლიანია, ხოლო მისი გამოსვლის რედაქციისეული შეფასება შეურაცხმყოფელი და ცილისმწამებლური, რისთვისაც ავტორებმა პასუხი უნდა აგონ.

სარედაქციო მინაწერმა წერილზე — „ცივი გონებით“, იქნებ გამოდება, ის თავისმა საქმემ გამოაჩინა ჯერ კიდევ სკოლის მერხიდან. ხანგრძლივად საწოლს მიჯაჭვული ავადმყოფი მამის შემყურე ბიჭი ექიმობაზე ოცნებობდა და ბეჯითი და თავდადებული შრომით მიაღწია კიდეც საწადელს. დღეს კი უმწიკვლო, კეთილსინდისიერი, დაუზარელი მკურნალი, იმედად უდგას თანასოფლელებს. ყველას უხარია მისი წარმატება და ყველა გაოცა და გაანაწყენა სიმართლის

# სიმართლისათვის შეურაცხყოფა?

პროფესორ-მასწავლებლები 44 დღე ღია ცის ქვეშ იდგნენ, „საბჭოთა აფხაზეთი“ მოვლენებისადმი ნაკლებად რეაგირებდა, იგი ან ადგილობრივი მთავრობის დაკვეთით ბეჭდავდა წერილებს, ან ჯიუტად დუმდა, მაშინ, როდესაც აფორიაქებული ქართველები თავიანთ გულისწუხილს სარედაქციო ფოსტას ანდობდნენ, მაგრამ მკითხველთა გულის მოსაოხებლად სამზეოზე გამოსვლა ერთხელაც არ ღირსებია. მართალია, წერილში — „დრო განსჯის“ — რამდენადმე ნათელი მოჰფინეთ პასიურობის გამომწვევ მიზეზებს, მაგრამ გასაჭირის ჟამს, თუნდაც რეპრესიების ფასად, მკითხველი მეტ პრინციპულობასა და გამბედაობას მოითხოვს თქვენგან; თუ არ გაგინადგურებიათ ის წერილები, რომლებიც იმ მღელვარე დღეებში შემოვიდა, გადასინჯეთ, შემდეგ აიღეთ თქვენი გაზეთის ის ნომრები, რომლებიც მაშინ გამოვიდა და თავად განსაჯეთ, მართალია თუ არა მკითხველი, რომელმაც გადაწყვიტა თქვენი უნიათო პოზიციის მხილება მძაფრ, კრიტიკულ მომენტში წაყრუებისათვის.

სოფელ შრომის თავყრილობაზე საბოლოოდ დაუკარგოს ავტორიტეტი თქვენს გაზეთს ჩვენს სოფელში და ხელმომწერთა რაოდენობაც ნულამდე დავიდეს.

გასაოცარია, თავდაცვის მიზნით, აშკარა სიცრუესაც რომ არ ერიდება რედაქცია, როცა წერს: „თავიდან ბევრისთვის აუხსნელიც კი იყო, ალბათ, თავყრილობაზე ქ. სოხუმის პირველი საავადმყოფოს ექიმ-ტრავმატოლოგის ი. სალიას დასწრება“. ამ სიტყვების ავტორმა იცის კი სადაურია ი. სალია? ან კიდევ, სოფელ-სოფელ არ ივლიდა „მისიონერის“ როლშიო, კიდევ რომელ სოფელში შეხვდა ის ამ ახალგაზრდა ექიმს? ბუნებრივია, ვერსად შეხვდებოდა. ი. სალია სოფელ შრომის მკვიდრია, აქ დაიბადა და გაიზარდა, ჩვენი საამაყო თანასოფლელია და, დიახაც, ჰქონდა უფლება, თავის ხალხთან ერთად ისიც ყოფილიყო თავყრილობაზე. ნუთუ ქ. სოხუმში მუშაობა მას ართმევს უფლებას მშობლიურ სოფელში სიტყვის თქმისა, რომელიც სარედაქციო მინაწერში ისეა შეფასებული, თითქოს თავის გამოჩენის მიზანს ემსახურებოდა. ექიმ ი. სალიას არ სჭირდება ამისათვის ზედმეტად თავის თქმისათვის საქვეყნოდ მისმა შეურაცხყოფამ.

გაუგებარია ქარაგმული აზრი სარედაქციო მინაწერისა: „...თავიანთი წარსულით ან აწმყოთი არა აქვთ მორალური უფლება ეროვნულ საქმეში აქტიურობისა“, „ეროვნულ საქმეში მხოლოდ სუფთა ადამიანები უნდა ჩაერიონ“, „მილიონერები ძირს ჩამოვიდნენ“-ო. გთხოვთ, გაგვარკვიოთ, რა მიმართებაშია ეს სიტყვები ი. სალიასთან, ინფორმაციის რა წყაროს ეყრდნობით?

ჩვენ კი გვგონია, სალიასთვის მიცემული რჩევა სარედაქციო მინაწერის ავტორისათვის უფრო უპრიანია. იცით კი, „რამდენად ობიექტურია თქვენი მოსაზრება, ოდნავ მაინც თუ შეეხამება ის სინამდვილეს?“. სადაურობა ვერ დაგიდგენიათ ადამიანისა და, ვინ მოთვლის, რას არ სწამებთ, რისთვის? კრიტიკისათვის?

მკითხველს მივანდოთ მსაჯულის როლი, თქვენ კი დაიხსომეთ, „საბჭოთა აფხაზეთის“ ჟურნალისტებო, ლირიკული ჩანართები, მჭევრმეტყველური რახარუხი სიტყვებისა ავტორიტეტს ვერ მოგიპოვებთ, დღეს აზრის მხატვრული გამოთქმით, ფანტაზიებით ვერავის გააკვირვებთ და ვერც თავს მოაწონებთ, თუ ეს აზრი მტკნარი სიცრუეა, ან კიდევ უარესი, მონაჩმახია.

ძვირფასო რედაქციავ! თუ ამ წერილს უახლოეს ნომერში არ გამოაქვეყნებთ, გავაგზავნით რესპუბლიკურ გაზეთებში.

**კ. ციმინდია,**
სოხუმის რაიონის სოფელ შრომის სახალხო დეპუტატთა სასოფლო საბჭოს თავ-რე;

**რ. ქარდავა,**
სოფელ შრომის კოლმეურნეობა „გამარჯვების“ თავ-რე;

**მ. ქარდავა,**
აფხაზეთის საოლქო კომიტეტის წევრი, სოფელ შრომის კოლმეურნეობა „გამარჯვების“ პარტკომის მდივანი;

**ბ. ბიბინეიშვილი,**
სოფელ შრომის კოლმეურნეობა „გამარჯვების“ კომკავშირის კომიტეტის მდივანი;

**ლ. ფიფია,**
სოფელ შრომის კოლმეურნეობა „გამარჯვების“ მეთამბაქოე, საქართველოს ცკ სარევიზიო კომისიის წევრი;

**ლ. კვიტატიანი,**
სოფელ შრომის საშუალო სკოლის დირექტორი, აფხაზეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავ-რის მოადგილე;

**ა. ქარდავა,**
სოფელ შრომის საშუალო სკოლის პროფკომის თავ-რე;

**მ. ხაინდრავა,**
სოფელ შრომის საშუალო სკოლის რუსთაველის საზოგადოების თავ-რე;

**ლ. ღურწკაია,**
კამანის მოხუცთა და ინვალიდთა პანსიონატის დირექტორი.

ႼႢ
ႡႱ
[ႪႨ]

წ(მიდა)ჲ ბ(ა)ს[(ი)ლი].

ႼႢ ႢႨ

წ(მიდა)ჲ გ(იორგ)ი.

ႼႢ ႧႤ

წ(მიდა)ჲ თ(ევდორ)ე.

ႼႢ
ႣႫႲႰႤ

წ(მიდა)ჲ დ(ე)მ(ე)ტრე.

[ႼႢ]
[Ⴋ][Ⴐ]ႩႪႤ

[წ(მიდა)ჲ] [მ(ე)]რკ(ი)ლე.

XI საუკ.

ანუხვა (გუდაუთის რ-ნი.).

სვეტზე გამოსახული ჯვრების წარწერები.

## სოჭში, გამოფენაზე: „ხრუშჩოვი: ის ათი წელი“
## ანუ
## აი, სად მარხია ძაღლის თავი

საქართველოს კომპარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის ყოფილი პირველი მდივანი მ. თ. ბლაუბა იგონებს ნ. ს. ხრუშჩოვთან შეხვედრებს. ამის საჭიროება, როგორც „სოვეტსკაია აბხაზიას“ 1989 წლის 15 ოქტომბრის პუბლიკაციიდან ვიგებთ, თურმე იმან განაპირობა, რომ მიხეილ თემურის ძე ბლაუბა მიუწვევიათ ქალაქ სოჭში გამართულ მხატვრულ-პუბლიცისტურ გამოფენაზე, რომელიც მოეწყო დევიზით: „ხრუშჩოვი: ის ათი წელი“. ამ გამოფენის მონაწილეების წინაშე მ. ბლაუბა ნ. ს. ხრუშჩოვთან შეხვედრების შესახებ ვრცელი მოხსენებით გამოსულა.

გაზეთ „სოვეტსკაია აბხაზიას“ კორესპონდენტი ვ. შარია შეხვდა მ. თ. ბლაუბას და სთხოვა გაეზიარებინა თავისი შეხედულებები ნ. ს. ხრუშჩოვთან შეხვედრების გამო.

ბიბი ცქიტიშვილი

# „ის იყო არაორდინალური პიროვნება“...

### საქართველოს კომპარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის პირველი მდივნის მ. თ. ბლაუბას მოგონებანი ნ. ს. ხრუშჩოვთან შეხვედრის გამო

ჩვენი პირველი შეხვედრა ჯერ კიდევ 1935 წლის შემოდგომაზე მოხდა. იმ დღეს მე, კომკავშირის გუდაუთის რაიკომის მდივანი, პარტიის რაიკომის პირველ მდივანთან ლ. კიუტთან ერთად მოვხვდი გლეხ ხინტრუგ ალხასის ძე ხაგუშის ოჯახში. ეზო სავსე იყო სტუმრებით. იმათ შორის გამოირჩეოდა ღიაფერთმიანი, საშუალო სიმაღლის, მკვრივი აგებულების კაცი, რომელიც მასპინძლის გვერდით იდგა. როგორც შემდეგ გავიგე, ეს იყო ნ. ს. ხრუშჩოვი, რომელიც ახალი არჩეული იყო საკ. კპ (ბ). მოსკოვის საოლქო და მოსკოვის საქალაქო კომიტეტის მდივნად. აქვე იყვნენ ნ. ა. ლაკობა და ა. კ. ვარდანია. ის იყო, ყველანი სუფრას მივუსხედით, ამ უკანასკნელმა განაცხადა: „როცა დღეს რიწის ტბისაკენ მივდიოდით, ციცაბო კლდის მოსახვევთან ნიკიტა სერგის ძის ცხენი გზას მოსწყდა და ღრმა უფსკრულისაკენ გადაეშვა, მაგრამ ჩვენმა მასპინძელმა, ცნობილმა მონადირემ ხინტრუგ ალხასის ძემ, რომელიც ფეხით მოგვდევდა, მოასწრო და ხელი სტაცა ცხენიანად გადავარდნილ სტუმარს და უეჭველ დაღუპვას გადაარჩინაო“. ამ სიტყვებზე ნ. ს. ხრუშჩოვი წამოდგა, ხაგუშთან მივიდა, გულში ჩაიკრა, გადაეხვია და გადაკოცნა. ჩვენ ყველანი წამოვდექით და დიდხანს ვუკრავდით ტაშს.

ნიკიტა სერგის ძემ სამადლობელი სიტყვა წარმოთქვა, ჯიბიდან საათი ამოიღო, რომელზეც ამოტვიფრული იყო სიტყვები: **„ჩემს მეგობარს ხინტრუგ ხაგუშს ნ. ს. ხრუშჩოვისაგან“** და გადასცა იგი თავის მხსნელს. შემდეგ სანადირო თოფი ბერდენაც მიართვა და **„სახელოვან აფხაზ მონადირესო“ — დააყოლა.** ხაგუში ამ ბოლო საჩუქარმა განსაკუთრებით გაახარა. საღამო ძალიან თბილად ჩატარდა. **ნიკიტა სერგის ძემ და ნესტორ ლაკობამ „აფხაზურიც“ იცეკვეს. იმ დღიდან ხრუშჩოვი დამამახსოვრდა როგორც მამაცი, კეთილი, რუსულად გულღია კაცი, მხუბუქად მოღიმარი.**

1937 წელს ხინტრუგ ალხასის ძე დააპატიმრეს, როგორც ტროცკისტი, თუმცა მან არც კი იცოდა, რას ნიშნავდა ეს. საბედნიეროდ, სამი-ოთხი თვის შემდეგ გამოუშვეს.

მეორედ ნ. ს. ხრუშჩოვს დიდი სამამულო ომის დამთავრების შემდეგ შევხვდი. ამ დროისათვის ჩემს, როგორც რეპრესირებულის შვილის, მხრეზე იყო ფლოტში სამსახური, უმკაცრესი ბრძოლები ფრონტზე, მუშაობა და სწავლა მოსკოვში. და, აი, მე, სსრკ სახელმწიფო კონტროლის სამინისტროს თანამშრომელს, ერთი სადავო საკითხის გამო კიევში მომიხდა ჩასვლა. **შემოწმების შედეგების მოსახსენებლად პარტიის უკრაინის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანთან ნ. ს. ხრუშჩოვთან შევედი. შეხვედრა უაღრესად გულთბილი გამოდგა. ჩაით გამიმასპინძლდა. გაიხსენა აფხაზეთი.**

შემდეგი ეპიზოდი იმ დროისაა, როცა უკვე პარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის პირველ მდივნად ვმუშაობდი. ერთხელ ნ. ს. ხრუშჩოვმა, ა. ი. მიქოიანმა და ვ. პ. მჟავანაძემ **პიცუნდაში ყოფნისას გადაწყვიტეს,** დაეთვალიერებინათ რელიქტური ფიჭვნარი ჭალა. **„წინამძღოლობა ჩვენს მასპინძელს ვთხოვოთ“-ო, თქვა ნიკიტა სერგის ძემ და ჩემზე მიუთითა.** საერთოდ, როცა მის სტუმართმოყვარულ სუფრასთან შეიკრიბებოდნენ, **ის მუდამ მე მნიშნავდა თამადად და დაუმატებდა: „ჩვენ ყველანი აფხაზეთის სტუმრები ვართ. ამხანაგი ბლაუბა კი აქ ხელმძღვანელია“.** და, აი, მახსოვს, **იმდღევანდელი გასეირნების შემდეგ ნიკიტა სერგის ძეს დაებადა იდეა აქ დასასვენებელი კომპლექსის აშენების შესახებ. ასე რომ, შეიძლება ითქვას, პიცუნდის პანსიონატის კომპლექსი ნ. ს. ხრუშჩოვის პირმშოს წარმოადგენს.**

კარგად მახსოვს, აქვე, ბიჭვინთაში გამართული ვახშამი, სადაც **ხრუშჩოვის სტუმრები იყვნენ გომულკა, მორის ტორეზი მეუღლით და მსოფლიოში ცნობილი ქართველი მწერალი კონსტანტინე გამსახურდია.**

ნ. ს. ხრუშჩოვი არაერთხელ ყოფილა აფხაზეთის სოფლებში, ეცნობოდა ადამიანებს, მათ ცხოვრებას, ყოფას. ხშირად მიდიოდა იგი სოფლელებთან უცხოელი სტუმრების თანხლებით. მახსოვს, ერთხელ, ფიდელ კასტროსთან ერთად ჩამოვიდა სოფელ დურიფშში. დაათვალიერეს ჩაის პლანტაციები და ჩაიც მოკრიფეს ერთად. შრომის ვეტერანმა, ყველასაგან პატივცემულმა **მახტი ტარკილმა** ისინი შინ მიიწვია სტუმრად. **მახტის ჰქონდა ტიპიური აფხაზური ეზო, რომელმაც ძალიან დააინტერესა ფიდელ კასტრო.** ისიც მახსოვს, **ფიდელმა ჰკითხა მასპინძელს: „რომელი სარწმუნოების არიანო აფხაზები?“ მახტიმ უპასუხა: — „უმრავლესობა მართლმადიდებელი ქრისტიანია. მაგრამ მუსულმანური რწმენისანიც არიანო“.** „თქვენთან ბევრია მორწმუნე?“ — დაინტერესდა კასტრო. — „ჩვენთან ყველა მორწმუნეა“. — უპასუხა მახტიმ. — „ე. ი. როგორ? კომუნისტებიც?“ — გაიკვირვა კასტრომ. — „დიახ, ოღონდ ჩვენთან ზოგიერთებს სწამთ, რომ ღმერთი არსებობს. სხვებს ის, რომ ღმერთი არ არსებობს“.

საღამომ მეტად გულთბილ, მეგობრულ ვითარებაში ჩაიარა. იყო სიმღერები და ცეკვები, რომლებშიც სტუმრებიც მონაწილეობდნენ. სხვათა შორის, ეს სურათიც, რომელიც მინდა თან ახლდეს ამ პუბლიკაციას, ფიდელ კასტრომ გადაგვიღო („ს. ა.“-ში დაბეჭდილი სურათი მეტისმეტად უხარისხოა, მასზე ძლივს გაარჩევთ ნ. ხრუშჩოვის, ა. მიქოიანის, ვ. მჟავანაძის და მ. ბლაუბას სახეებს. გ. ც.).

**განსაკუთრებული ხაზგასმით მინდა იმის აღნიშვნა, რომ ხრუშჩოვი ღრმად სწვდებოდა აფხაზეთის ამბებში და ბევრიც გააკეთა მისი ნახალხო მეურნეობის განვითარებისათვის.**

— ხრუშჩოვის არც თუ იშვიათი ჩამოსვლებიდან აფხაზეთში, როგორი წარმოდგენა შეგექმნათ მასზე?

— მოსკოვში მიაჩნდათ, რომ ის დასასვენებლად იყო წასული. სინამდვილეში ნიკიტა სერგის ძე მუდამ საქმეებით იყო დაკავებული. არც თევზაობა აინტერესებდა, არც ცურვა. იგი ყოველთვის ეპაექრებოდა ვილაცას. ამ მიზნით თავისთან იბარებდა ხალხს. ზოგჯერ მკაცრად, მაგრამ მამაშვილურადაც გაკიცხავდა ზოგიერთს. თუმცა ესეც კია, ყოველთვის როდი უგებდნენ მას.

ზოგიერთნი ამბობდნენ მასზე, უხეშიაო. **შესაძლოა ცალკეული ნიჭიერი შემოქმედის მხატვრული ქმნილებისა მას არაფერი გაეგებოდა, მაგრამ ბოროტად არავის მიმართ არ იყო განწყობილი. არც შურისძიება იცოდა.** მე ასე მგონია: სახელმწიფო მოღვაწის მიერ უნებლიეთ მიყენებული წყენა არ შეიძლება ყოველთვის ჩაითვალოს მისი შეფასების კრიტერიუმად.

ხრუშჩოვი მკაცრი იყო თავისი უახლოესი წრის მიმართაც. ერთხელ, მაგალითად, ის ძალიან გაუბრაზდა ა. ნ. კოსიგინს იმის გამო, რომ ის ძალიან შორს, თითქმის ხუთი კილომეტრის სიგრძეზე შეცურდა ზღვაში. საჭირო შეიქმნა კატარღით დადევნება. მეც მის გვერდით მივცურავდი და მაგრადაც მომხვდა. მაგრამ იმის წყალობით, რომ შავი ზღვის ფლოტილიის ყოფილი მეზღვაური გახლდით, სასჯელი შემიმსუბუქა. კოსიგინს კი ძლიერ გაუწყრა: „აუცილებელი არ იყო პროფესიონალ მოცურავესთან გაჯიბრებაო“, — უთხრა.

**ამასთან, ხრუშჩოვს გააჩნდა იუმორის გრძნობა და ჯანსაღი აზრებიც.** ერთხელ, მახსოვს, პიტუნდაში ყოფნის დროს რაღაც პიკანტური მნიშვნელობის საჩივარი გამოუგზავნეს: „გაგრის რაიონის პარტკონფერენცია, მართალია, კარგად ჩატარდა, მაგრამ „ინტერნაციონალი“ არ უმღერიათო“. ამ საჩივრის შესახებ მე ადრევე შევიტყე, სანამ იგი ხრუშჩოვამდე მივიდოდა და დავავალე პარტიული ჰიმნის „იგნორირებასთან“ დაკავშირებული შეცდომა გამოესწორებინათ. ისევ შეიკრიბნენ დელეგატები და იმღერეს „ინტერნაციონალი“. ამ ფაქტის გამო **ხრუშჩოვმა** ბევრი იცინა. მაგრამ მომჩივანის მიმართ, გენერალური ასამბლეის წევრებს ყური დაეგდოთ მისი გამოსვლისათვის. პასუხად მე ასე მივმართე ჩემს მეგზურს: — „გულწრფელად ჩადენილი სისულელე უფრო ამშვენებს ადამიანს, ვიდრე ყალბი ესტიკულაციები-მეთქი“.

— როგორც ჩვენი საუბრიდან იგრძნობა, **მიხეილ თემურის ძევ, თქვენ უაღრესად ძალებითი დამოკიდებულება გქონიათ ხრუშჩოვთან. მაგრამ ის ათწლეულები, მის ხელმძღვანელობასთან რომ არის დაკავშირებული, ცნობილია არამარტო ეკონომიკისა და სოციალური სფეროს დაჩქარებული განვითარებით, ე. წ. საზოგადოებრივ ცხოვრებაში „დათბობით“, არამედ დიდი შეცდომებით, როგორც ეკონომიკაში, ისე პოლიტიკაში. მას ასევე საყვედურობენ არათანმიმდევრულობის გამო, იმის გამო, რომ გამოვიდა რა** რომელიც თურმე პარტიის წევრი არც ყოფილა, **თავისი შეხედულება ფრიად გარკვეულად და რუსული ქედრადობით გამოთქვა.**

ხრუშჩოვს ხშირად საყვედურობენ ვოლუნტარიზმის გამო, იმის გამო, რომ ის ხშირად უგულვებელყოფდა ჭკვიანურ რჩევებს... დიახ, მას ჰქონდა შეცდომები, მაგრამ ისიც ხდებოდა, რომ უგუნურ შემსრულებლებს ზოგიერთი მისი უდავოდ საღი ჩანაფიქრიც აბსურდამდე დაჰყავდათ. ერთხელ, მახსოვს, თავის თანაშემწე ლებედევს უხმო და დაავალა, გამოეძახნა მასთან პარტიის კიროვის რაიკომის პირველი მდივანი. როგორც მახსოვს, ნიკიტა სერგის ძემ კიროვის ოლქიდან მიიღო საჩივარი, რომლის ავტორი კოლმეურნე სწერდა: — „ჩვენ მდინარე ვიატკის თითქმის სათავესთან ვცხოვრობთ. ეს ოლქი უხსოვარი დროიდან ცნობილი იყო სელის ნათესებით. მაგრამ ახლა ჩვენც თავს მოგვახვიეს სიმინდის მოყვანა“. — „რომელმა სულელმა დააძალა მათ სიმინდის მოყვანა?!“ — იღრიალა ხრუშჩოვმა.

— მე არასდროს მითქვამს ჩრდილოეთ პოლუსზე, ან მოდრეიფე ყინულზე დაეთესათ სიმინდი. აგერ არის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის მდივანი და შეგიძლიათ ჰკითხოთ, მიბრძანებია მისთვის ჩრდილოეთის ირმების მოშენება აფხაზეთში? ეს, ცხადია, ფორმალიზმით შეპყრობილი კანცელარიის აპარატჩიკების ნახელავიაო! — ბრაზობდა იგი.

**მთელი ათი წელიწადი ვხვდებოდი ხრუშჩოვს და, უნდა ვთქვა, რომ მასში არ იყო ჭუჭყის ნატამალიც კი. წარმოუდგენელია იმის გაფიქრებაც, რომ მას როდესმე ხელი გაესვაროს რაიმე საჩუქრით. ერთხელ ვიღაცამ ჰკითხა: „განა დრო არ არის გენერალლეიტენანტის ჩინი შეიცვალოთო?“ მან უპასუხა: „საკუთარი თავისთვის წოდებების მინიჭება უხამსობაა“-ო. და მისთვის ჩვეული სიმკვახით დაუმატა: — „ჩემისთანა ხანდაზმული კაცისათვის ორდენებით კოპწიობა დაგვიანებულია“. — ცოტაც დაფიქრდა და: „თუ ჩემი იუბილის აღნიშვნა მოხერხდა ჯილდოების გარეშე, ისიც დასაშვებია, მათ იუბილეებზეც შეველიოთ საჩუქრებს. მათ, ჩემო ძვირფასო ლებედევ, ჩემთვის კი არ სცხელათ, ისინი საკუთარ თავზე ზრუნავენ“-ო.**

თუ მის მანერაში შემორჩენილი იყო რაღაცნაირი გლეხური მოუხეშაობა, ვფიქრობ, ეს შეიძლება ეპატიოს. ერთხელ, მახსოვს, ამერიკის შეერთებულ შტატებში გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სხდომათა დარბაზში მოვხვდი. ჩემმა მეგზურმა პირველად იმ მაგიდასთან მიმიყვანა (თუ მეხსიერება არ მღალატობს, მგონია, ეს იყო დარბაზის ცენტრალური ნაწილის მერვე რიგი) და რაღაცნაირად დაგესლილმა მიჩვენა ის ადგილი, ნიკიტა სერგის ძე ფეხსაცმელს რომ ურტყამდა და ეს გააკეთა იმისათვის, რომ სტალინის კულტის გაბედული კრიტიკით, თვითონვე დარჩა მისი ზეგავლენის ქვეშ და ვერ შეძლო რევოლუციური, უფრო რადიკალური გარდაქმნის დონემდე ამაღლება. ამბობენ, რომ თვითონ ხრუშჩოვიც აქტიურად მონაწილეობდა რეპრესიებში, მაგრამ ისე, ვით სულმდაბალ ადამიანებს სჩვევიათ, თავი აარიდა პასუხისმგებლობასო. თქვენს ამ მოგონებებს ხომ არ ატყვია პირადი ნაცნობობის ბეჭედი, იმის კვალი, რომ იგი პირადად თქვენდამი კეთილად იყო განწყობილი?**

— არიან ადამიანები, რომელთაც მიაჩნიათ, რომ ნ. ს. ხრუშჩოვი მე სამსახურებრივად პირადი ნაცნობობის გამო მაწინაურებდა, მაგრამ ისინი ცდებიან: აფხაზეთის საოლქო კომიტეტის პირველი მდივნის პოსტზე მე მოვხვდი არა ხრუშჩოვის პროტექციით, არამედ აფხაზი ამხანაგების წინადადებით. რაც შეეხება მისდამი ჩემს დამოკიდებულებას, მე კარგად ვხედავ მის ღირსებებსაც და უარყოფით მხარეებსაც. დარწმუნებული ვარ, ღირსება გადასწონის ნაკლს. ყოველ შემთხვევაში, ის იყო ძლიერი, არაორდინალური პიროვნება.

— ყოველი ადამიანის ცხოვრებაში არის ისეთი გადამწყვეტი საათი, თუ წამი, რომელსაც საბედისწეროს უწოდებენ. ხრუშჩოვის პოლიტიკურ ბიოგრაფიაშიც არის მომენტები, რომელნიც სამუდამოდ ჩაიწერა ისტორიაში. და ეს, უპირველეს ყოვლისა, ეხება მის მოხსენებას სკკპ XX ყრილობის დახურულ სხდომაზე, როცა იგი მისივე სიყრმისდროინდელი კერპის „დამამხობლად“ გამოცხადდა. და, აი, ახლა, **თქვენი მოგონებანი რომ მოვისმინე, უნებურად გავიფიქრე: რა მოხდებოდა, რომ იმ დღეს თქვენს ნაცნობ მონადირეს ხინტრუგ ხაგუშს არ გამოეჩინა ის სიმარდე და ვერ გადაერჩინა ხრუშჩოვი? ხომ შეიძლებოდა 50-იანი და მთელი შემდეგი წლების ისტორია სულ სხვაგვარად წარმართულიყო და დღეს სულ სხვაგვარად გვეფიქრა და გვესაუბრა?**

— ისტორია უთუოდ შემთხვევითობებისა და კანონზომიერებების ხლართია. მგონია, აბრამ ლინკოლმა თქვა: „შეიძლება ერთი კაცი მუდამ ატყუო, შეიძლება გარკვეულ დრომდე მთელი საზოგადოება ასულელო, მაგრამ შეუძლებელია სიკვდილამდე ტყუილებით გაიტანოო თავი“.

ჩემი აზრით, სტალინის სიკვდილის შემდეგ სახელმწიფო ხელისუფლების სათავესთან ისეთი ადამიანი რომ არ აღმოჩენილიყო, რომელიც ისე იქნებოდა მის მიმართ განწყობილი, როგორც ხრუშჩოვი, შესაძლებელია ძველი პოლიტიკა კიდევ ათ ან ოც წელიწადს გაგრძელებულიყო. მაგრამ, ადრე თუ გვიან, ჩადენილი უკანონობის ფაქტები, სულ ერთია, გახმაურდებოდა.

რაც შეეხება იმას, რომ სწორედ ხრუშჩოვმა გააცხადა ის, რაც მაშინ ხდებოდა, — ეს, უეჭველად, მისი უდიდესი დამსახურებაა.

**საუბარი მიჰყავდა ვ. შარიას**

გამოც.: Шервашидзе, 1967, с. 53, рис. 9.



[illegible]

წ(მიდა)ო გ(იორგ)ი, შ(ეიწყალ)ე რ~შ(?); მ(ე)ხ ეყ(ავ) წ(ინაშ)ე ქ(რისტ)ეს[ა].

XI ს.

წველიკარი (გალის რაიონი).

რ-შ-ს წარწერა.

# მთარგმნელისაგან

საქართველოს კომპარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის ყოფილი პირველი მდივნის მ. თ. ბღაჟბას ამ ინტერვიუში ნათლად ჩანს აფხაზეთში — საქართველოს ამ ძირძველ და განუყოფელ მიწაზე — უცხოტომელთა მომრავლების ფაქტები და მათი მფარველების განუკითხავი მოქმედებანი, რომელიც ახალი ძალით გაიშალა 1953 წლიდან, — ნ. ს. ხრუშჩოვის საკავშირო მთავრობის ლიდერად გამოცხადების შემდეგ. სწორედ ხრუშჩოვის „დამსახურებაა" ეროვნული შუღლიც, რის შედეგს ვიმკით ე. წ. „აფხაზეთის საკითხის" გამო.

ამ ნიშნით „ინტერვიუდან" გამოვყოფთ რამდენიმე მომენტს:

1. ნ. ს. ხრუშჩოვი 1935 წლის შემოდგომისთვის პარტიის მოსკოვის საოლქო და მოსკოვის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანია. ეს ის დროა, როცა საბჭოთა ხალხი გასაოცარ წარმატებებს აღწევს სახალხო მეურნეობის ყველა დარგში. მაგრამ ინტერვიუერის მოგონებების მიხედვით სრულებით არ იგრძნობა, რომ ნ. ხრუშჩოვს რაიმე კავშირი ჰქონოდა იმ დიდ მიღწევებთან. პირიქით, ის აქ წარმოდგენილია ლაღი ბუნების ადამიანად, რომელსაც დასავლეთ საქართველოს ამ ულამაზეს ადგილებში დროსტარება და ხეტიალი უფრო დიდ სიამოვნებას ჰგვრის, ვიდრე ქვეყნის სამსახური და გაგრისა და გუდაუთის რაიონებში თავს იმდენად ბედნიერად გრძნობს, ეტყობა, მშობლიურ უკრაინასა და მოსკოვში დიდი საქმეები რომ აქვს, სულაც არ ახსენდება. ისიც იგრძნობა, რომ ნ. ხრუშჩოვი ამ მხარეს მ. ბღაჟბასთან შეხვედრამდე იცნობდა;

2. მ. თ. ბღაჟბა ხაზგასმით მიუთითებს, რომ საქართველოს ამ წმინდა მიწაზე ხრუშჩოვის მასპინძლები რატომღაც მხოლოდ არაქართველები, მუსულმანი ხინტრუგ ხაგუში, მახტი ტარკილი, კიუტი და მისთანანი არიან. ასეთი აზრია, მაგალითად, გამოხატული, როცა ხრუშჩოვთან ერთად აფხაზეთში სტუმრად ჩამოსული ფიდელ კასტრო ჰკითხავს მახტი ტარკილს: — „რომელი სარწმუნოების არიანო აფხაზები?" — მახტი უპასუხებს: — „უმრავლესობა მართლმადიდებელი ქრისტიანებია, მაგრამ მუსულმანური რწმენისანიც არიანო".

საქართველოს საპატიო სტუმრის მასპინძლად აფხაზეთში მუსულმანი ხინტრუგ ხაგუშის, მახტი ტარკილის და კიუტის გამოცხადება უხერხულია, მაგრამ ასე სჯერა მიხეილ ბღაჟბას და წინ რა დაუდგება. მით უმეტეს, როცა, თურმე, **ნ. ს. ხრუშჩოვი, აფხაზეთში რომ ჩამოდიოდა, — „წინამძღოლობა ჩვენს მასპინძელს („ხოზიაინს") ვთხოვოთო", — აცხადებდა და ის ყოველთვის მ. ბღაჟბას ნიშნავდა სუფრის თამადად. თურმე ხრუშჩოვი ამას იმით ამართლებდა, რომ „ჩვენ ყველანი აფხაზეთის სტუმრები ვართ, ამხანაგი ბღაჟბა კი აქ ხელმძღვანელიაო"**, — ამბობდა.

ხედავთ, **მ. თ. ბღაჟბა აფხაზეთში „ხოზიაინიც" გახდა და ხელმძღვანელიც! ხოლო მის ამგვარ პოზას კანონის ძალას აძლევდა საკავშირო კომუნისტური პარტიის ერთპიროვნული მმართველის ნ. ს. ხრუშჩოვის მხარდაჭერა, რომელიც მით უფრო მტკიცე გახლდათ, რაც უფრო მდიდრული იქნებოდა მის პატივსაცემად გაშლილი სუფრა.**

**3. „მახტის ჰქონდა ტიპური აფხაზური ეზო**, რომელმაც ძალიან დააინტერესა ფიდელ კასტრო"-ო, — **იგონებს მ. თ. ბღაჟბა.**

**დაბეჯითებით ვამტკიცებ: „მახტის ეზო" არ იყო და არც შეიძლებოდა ყოფილიყო აფხაზური, ე. ი. ქართული. „მახტის ეზო" იყო ტიპური მუსულმანურ-თურქული. მე ვიცნობ ასეთ ეზოებს.** აი, რას წარმოადგენს ეს ე. წ. „აფხაზური ეზო": ასეთი ეზოები, როგორც წესი, თანასოფლელებთან დამაკავშირებელი საერთო გზიდან 250-300 მეტრით მაინც უნდა იყოს დაშორებული. ამასთან, საცხოვრებელ სახლებს თუ სხვა ნაგებობებს აუცილებლად მთავარი გზის საპირისპირო მხარეს უნდა ჰქონდეს პირი მიქცეული. საცალფეხო ბილიკიც, რომლითაც ოჯახის წევრები სოფლის გზას უკავშირდებიან, „ეზოს" უკანა მხრიდან უერთდება. **ასეთი ეზო** და მთლიანად სახლ-კარი **სოფლის** დამაკავშირებელი **გზიდან არ ჩანს**, იგი ადამიანის თვალთაგან დაფარულია, განსაკუთრებით მაშინ, როცა გარემო ამწვანებულია.

უძველესი და უმდიდრესი კულტურის საქართველოში ამერიკიდან ჩამოსულ ფიდელ კასტროს, ბუნებრივია, გააკვირვებდა ასეთი კონსპირირებული „ეზოს" ნახვა. სწორედ ამიტომ ჰკითხა მახტი ტარკილს: — „რომელი სარწმუნოების არიანო აფხაზები?" — და პასუხიც კანონზომიერი მიიღო: — „უმრავლესობა მართლმადიდებელი ქრისტიანია, მაგრამ მუსულმანური სარწმუნოებისანიც არიანო" — მახტის „ტიპური ეზოც", რომელმაც ასე გააკვირვა ჰავანელი სტუმარი, „აფხაზური", ე. ი. ქართული კი არა, ტიპური მუსულმანურია, რომელსაც, სამწუხაროდ, გადაგვარებული ქართველებიც ბაძავენ.

4. „განსაკუთრებული ხაზგასმით მინდა იმის აღნიშვნა, რომ **ხრუშჩოვი ღრმად სწვდებოდა აფხაზეთის ამბებში და ბევრიც გააკეთა მისი სახალხო მეურნეობის განვითარებისათვისო", — ბრძანებს მ. თ. ბღაჟბა.**

მთელმა მსოფლიომ იცის, რომ ჩვენს პლანეტაზე უდიდესი და უმდიდრესი ქვეყანა — სსრ კავშირი — ეკონომიკურ და პოლიტიკურ კატასტროფამდე სწორედ ნ. ხრუშჩოვმა მიიყვანა. ნ. ხრუშჩოვმა ჩამოართვა საბჭოთა ხალხს საკარმიდამო ნაკვეთები, რომელიც მანამდე ერთი ჰექტარის მოცულობით განისაზღვრებოდა. ჩამოართვა მსხვილფეხა პირუტყვი და ფრინველიც კი. თუ რა სავალალო შედეგამდე მიგვიყვანა ნ. ხრუშჩოვის ამგვარმა რეფორმებმა, ამის ნათელ სურათს გვაძლევს ჩვენი ქვეყნის დღევანდელი სიღატაკეც და ისიც, რომ ნ. ს. ხრუშჩოვის ზღვარდაუდები „ხელგაშლილობით" გამოცარიელებული საბჭოთა ხაზინის მმართველმა, მსოფლიოში აღიარებულმა ფინანსისტმა, სსრკ ფინანსთა მინისტრმა გ. ზვერევმა, წინ რომ ვერ აღუდგა ხრუშჩოვის ძალადობას, ვაჟკაცურად მოიკლა თავი.

საინტერესოა, ისეთ ავანტიურისტს და ყბედს, როგორიც ხრუშჩოვი იყო, განსაკუთრებული რა უნდა გაეკეთებინა აფხაზეთის სახალხო მეურნეობისათვის? ის კი არა, ბევრმა არც იცის, ალბათ, რომ ქალაქ სოხუმში დღემდე მოქმედებს 1947-1952 წლებში მოწყობილი საკანალიზაციო სისტემა, რომელიც დღევანდელ მოთხოვნებს, ცხადია, ვერ აკმაყოფილებს და წვიმის დროს ნაგებობათა პირველი სართულები იტბორება, რაც ათეულ ათასობით მანეთის ზარალს იწვევს.

და ბოლოს, მსოფლიოში გახმაურებული ფაქტი; სამოციანი წლების დასაწყისში სწორედ ნ. ხრუშჩოვმა მიიყვანა საბჭოთა ხალხი შიმშილობამდე!.. სწორედ ნ. ხრუშჩოვი იყო საბჭოთა ხალხის ის უთავო მეთაური, რომელმაც „პურის ბეღლად" წოდებული რუსეთი პურის მყიდველად აქცია, რაც, სამწუხაროდ, ქრონიკულ ავადმყოფობად იქცა.

მიუხედავად ამისა, მ. თ. ბღაჟბას სჯერა, რომ ნ. ს. ხრუშჩოვი „ღრმად წვდებოდა აფხაზეთის ამბებში" და, თქვენ გგონიათ, ტყუის?

**5. ერთხელ ნ. ს. ხრუშჩოვმა, ა. ი. მიქოიანთან და ვ. პ. მჟავანაძესთან ერთად პიცუნდაზე ყოფნისას, გადაწყვიტა, დაეთვალიერებინათ რელიქტური ფიჭვნარი ჭალაო. — იგონებს მ. თ. ბღაჟბა და ასკვნის: — იმდღევანდელი გასეირნების ჟამს დაებადა ნ. ს. ხრუშჩოვს იდეა აქ დასასვენებელი კომპლექსის აშენების შესახებ. ასე რომ, შეიძლება ითქვას, პიცუნდის პანსიონატის კომპლექსი ნ. ს. ხრუშჩოვის პირმშოს წარმოადგენს".**

**ხედავთ, თურმე რა დიდი სამსახური გაუწია ნ. ხრუშჩოვმა მის „მეგობრებს" — ხაგუშებს, ტარკილებს, კიუტებს და მისთანებს, — როცა ერთი გასეირნების, ერთი კარგი სუფრის ფასად, მან ისტორიული ბიჭვინთა „პიცუნდად" აქცია და, რომელიც ამიერიდან ამ სახელწოდებით შევა რუსულენოვან (და არა მარტო რუსულენოვან) მეტყველებასა და ისტორიაში.**

მიდი და **უმტიცე ახლა ქვეყანას, რომ ბიჭვინთა — ფიჭვის მთაა, და არა „პიცუნდა"! რომ გუდაუთა — გუდაურის მთაა, საქვეყნოდ ცნობილი ყაზბეგის რაიონის გუდაურის მთის დასავლური შტო. რომ გუდავაც — გალის რაიონის ზღვისპირა სოფელი — ქართულია-თქო. არ დაგიჯერებენ! რადგან ნ. ხრუშჩოვის და მისთანების „წყალობით" დიდი ხანია ბიჭვინთას „პიცუნდა" შეერქვა, ხოლო გუდავას — „პრიმორსკი" (ეს უკვე „დიდი რუსი ხალხის" ნებასურვილით).**

6. „ნ. ხრუშჩოვი ღრმად წვდებოდაო აფხაზეთის ამბებში", — გვარწმუნებს მ. თ. ბღაჟბა და, გგონიათ, ტყუის?

**1953 წლის 5 მარტს გამოცხადდა სამთავრობო ცნობა ი. ბ. სტალინის გარდაცვალების შესახებ,** რამაც მილიონობით ადამიანი გულწრფელად დაამწუხრა. სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე, რომელმაც უსტალინოდ დარჩენილ მთავრობის წევრებს შორის ადგილების განაწილების საკითხი განიხილა, ლ. პ. ბერიას წინადადებით სკკპ ცკ-ის პირველ მდივნად ნ. ს. ხრუშჩოვი აირჩიეს. **არ გასულა სამი თვე, რომ საკავშირო რადიოს დიქტორმა იური ლევიტანმა მსოფლიოს ამცნო „საერთაშორისო იმპერიალიზმის აგენტის" („იოზეფ ბროზ ტიტოს თანამზრახველის") ლ. ბერიას დაჭერის ამბავი". გავიდა კიდევ ორი თვე და ამავე 1953 წლის აგვისტოში ნ. ს. ხრუშჩოვმა საქართველოში მოსახლე არაქართველებისათვის 1945 წლიდან მოქმედი ქართულენოვანი სწავლება რუსულენოვანით შეცვალა, რაც დღემდე ძალაშია.**

დიდი სამამულო ომის დამთავრების პირველივე დღეებიდან სახალხო განათლების მუშაკებისათვის ცნობილი გახდა საკავშირო მთავრობის დადგენილება მოკავშირე რესპუბლიკების, როგორც სუვერენული სახელმწიფოების სკოლებში სწავლა-განათლების მშობლიურ ენაზე წარმართვის შესახებ. ასე იყო საქართველოშიც, კერძოდ, აფხაზეთში, სამხრეთ ოსეთში, სამხრეთ საქართველოს ცალკეულ რაიონებში. ამ რეგიონების არაქართულ დასახლებებში მეოთხე კლასის ჩათვლით ბავშვებს მშობლიურ ენაზე ასწავლიდნენ, მაღალ კლასებში კი სწავლა ქართულ ენაზე გრძელდებოდა. რაც შეეხება მშობლიურ ენას, იგი, როგორც საგანი, მე-11 კლასის ჩათვლით ისწავლებოდა.

ამ დადგენილებაში ის აზრი იყო ჩადებული, რომ სხვა რესპუბლიკაში მცხოვრებ არამკვიდრ მოსახლეს უნდა ეღიარებინა იმ რესპუბლიკის მოქალაქეობა და ესწავლა კიდეც იმ ხალხის ენა, ვისთანაც მუდმივად აპირებდა ცხოვრებას. ეს პოლიტიკა შეუფერხებლად რომ გატარებულიყო, დღეს არც ბალტიისპირეთში, არც უკრაინასა და ბელორუსიაში, არც მოლდავეთსა და საქართველოში არ გვექნებოდა გასარკვევი მოქალაქეობრივი სტატუტის პრობლემები. არ ატყდებოდა სისხლისმღვრელი ომი აზერბაიჯანელ და სომეხ ხალხებს შორის, რომ არაფერი ვთქვათ ე. წ. აფსუების და ოსების გამოხდომებზე.

**სამწუხაროა, მაგრამ ფაქტია: ნ. ხრუშჩოვმა** ძალიან იოლად ჩაიგდო რა ხელში სკკპ ცკ-ის უზარმაზარი აპარატი, რომლის შექმნას ლენინმა და მისმა თანამებრძოლებმა მილიონობით ადამიანის სიცოცხლე შესწირეს, **პირველი, რაც მან ქართველი ერის, საქართველოს წინააღმდეგ გააკეთა, ის გახლდათ, რომ იმ ე. წ. რეორგანიზებულ სკოლებში, სადაც არაქართველი ბავშვები ქართულ ენაზე ეუფლებოდნენ ცოდნას, ქართულენოვანი სწავლა მთლიანად აკრძალა, როგორც ნაციონალისტ ბერიას მიერ გამოგონილი და იმ სკოლებში ქართულის ნაცვლად რუსული გაბატონა, რაც დღემდე ძალაშია.**

**ნ. ხრუშჩოვის ლაღი გონების კარნახით 1953 წლის სექტემბრიდან ე. წ. აფხაზურ სკოლებშიც ქართულის ნაცვლად რუსულენოვანი სწავლება დამკვიდრდა. ეს იყო მისი, როგორც სკკპ ცკ-ის პირველი მდივნის სამოღვაწეო ასპარეზზე გამოსვლისთანავე ქართველი ხალხის საწინააღმდეგოდ მოწყობილი უდიდესი პოლიტიკური აქცია, რომლის შედეგად უკვე 1954 წლიდან არამარტო რეორგანიზებულ სკოლებში აიკრძალა ქართულ ენაზე სწავლება, არამედ ზედიზედ დაიხურა თვით ქართული სკოლებიც, რის შედეგებს დღემდე ვიმკით.**

**ყველაზე მთავარი ის გახლავთ, რომ ეს კეთდებოდა და კეთდება აფხაზების სახელით, რომლებთანაც ზემოთდასახელებულ აფსუებს არაფერი საერთო არა აქვთ; რომ მათი აფხაზობა სრულიად მოკლებულია ჭეშმარიტებას. მაგრამ საქართველოს დაუძინებელ მტერს ნიკიტა ხრუშჩოვს (როგორც დიდმპყრობელ რუსებს) სრულებით არ აინტერესებდა ჭეშმარიტება, იგი თვითნებურად, ყოველგვარი მორიდების და ისტორიული ფაქტორების გარეშე წყვეტდა ქართველი ერის ბედს — „აფხაზების" ანუ აფსუების სასარგებლოდ.**

მ. თ. ბღაჟბაც იმიტომ იგონებს ასეთი დიდი მადლიერების გრძნობით ნ. ხრუშჩოვს, რომ სწორედ მან დააწინაურა იგი საქართველოს კომპარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის პირველ მდივნად, თუმცა გულმოდგინედ უარყოფს ამ საქმეში ხრუშჩოვის დახმარების ფაქტს. სწორედ ხრუშჩოვმა დაუდო სათავე აფსუების ბატონობას ამ წმინდა ქართულ მიწაზე და მ. თ. ბღაჟბას ინტერვიუც იმით არის ჩვენთვის საინტერესო, რომ სწორედ აქ მარხია ძაღლის თავი.

არა მარტო „ორი დიდი ქართველის", ი. ბ. სტალინის და ლ. პ. ბერიას სიცოცხლის ხელყოფაში აქტიური მონაწილე, არამედ **მთელი ქართველი ერის მოძულე ნ. ხრუშჩოვის მხარდაჭერით გახდა შესაძლებელი მუსულმანური აღმსარებლობის მებაირახტრე მ. ბღაჟბას დანიშვნა პარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის მდივნად, რასაც ის შედეგი მოჰყვა, რომ 1957 წელს დაიწყო საქართველოდან „აფხაზეთის" გამოყოფის და რუსეთთან შეერთებისათვის ბრძოლა, რაც პერიოდულად, ყოველ ათ წელიწადში დიდი ძალისხმევით მეორდებოდა.**

**საქართველოს მოძულე ნ. ხრუშჩოვის და მისი კერპის მ. ბღაჟბას მიერ ინსპირირებული ანტიქართული აქციის „ლოგიკური" შედეგი იყო 1989 წლის 15-16 ივლისის სისხლიანი ტრაგედია სოხუმში,** რომლის ორგანიზატორებსაც, როგორც ცნობილია, ისე არ წაუვიდათ საქმე, როგორც ჩაფიქრებული ჰქონდათ. მაშინ მათ რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ, მაგრამ ისტორიულად ქართულ ქალაქ სოჭში მხატვრულ-პუბლიცისტური გამოფენა მოაწყვეს დევიზით — „ხრუშჩოვი: ის ათი წელი" და ძირითად მომხსენებლად ქართველების მოძულე ნ. ხრუშჩოვის ერთგული თანამზრახველი მ. თ. ბღაჟბა მიიწვიეს.

**ამ გამოფენის მონაწილეთა წინაშე მ. ბღაჟბას გამოსვლა იყო ნ. ხრუშჩოვის ავანტურისტული, ანტიქართული იდეების გაცოცხლების სურვილი, იდეებისა, რომელნიც ქართველი ხალხის წინააღმდეგ იყო და არის მიმართული.**

ჯერჯერობით, მართალია, ვერც აფსუები და ვერც „მესამე ძალა" ბევრს ვერაფერ გახდნენ, მაგრამ როდემდე?!

აი, რა არის საკითხავიც და საფიქრალიც.

წერილი რედაქციას

## რომელია მართალი?!.

ყველა ქართველს დიდ სიამოვნებას ჰგვრის და ანიჭებს ის პრინციპული პოზიცია, რომელიც თქვენს გაზეთს გააჩნია. წერილი არ არის გაზეთში, რომ მკითხველის ყურადღების გარეშე დარჩეს. ამით იმის თქმა მინდა, რომ თქვენი გაზეთი იკითხება თავიდან ბოლომდე, იმდენად საინტერესო და შინაარსიანია იგი.

ამ ბარათის დაწერა გადავწყვიტე შემდეგი გარემოების გამო; — ძალიან კარგია, რომ გაზეთში ბეჭდავთ ისეთ წერილებს, რომელნიც ძველი ტოპონიმების აღდგენას ეხება („ოქროს საწმისი" № 2, 1990 წ. ვალერიან ზუხბაიას „ძველი ტოპონიმები აღვადგინოთ"), წერილი შინაარსიანი და საინტერესოა. ანალოგიურ საკითხს დაუთმო ადგილი გაზეთმა „სახალხო განათლებამ" (№ 10, 8 მარტი, 1990). ავტორი გიორგი ფიფია. გაზეთ „სახალხო განათლებაში" ვკითხულობთ: „ოჩამჩირის სწორი სახელწოდება გამოითქმებოდა როგორც „აჩამჩარა", რაც აფსუას ენაზე ნიშნავს მუჩა ანჩაბაძის კაკლის ხეს. ტყვარჩელი — სახელწოდების წარმოქმნა დაკავშირებულია ორ სიტყვასთან „ტყა" და „რჩელი", ე. ი. „ჩაწოლილი ტყე"...

ახლა, თუ რა განმარტებას გვაძლევს „ოქროს საწმისი". „ოჩამჩირე" ქართული (მეგრული) ტოპონიმია, ოჩე — ქართულად ნიშნავს ახალგაკაფულ საყანე ადგილს, ჩირე — წყლით დაფარული პატარა ორმოებიანი ადგილია. ტყვარჩელი — ქართული (მეგრული) გეოგრაფიული სახელწოდებაა. ტყვა — ნიშნავს კიბეს, რჩელი — დაგებული.

აღნიშნულიდან გამომდინარე, — ორივეს მინდა დავუჯერო, მაგრამ მაინც რომელია მართალი? და ბოლოს — დღევანდელ რთულ სიტუაციაში შეიძლება კაცმა ვერც მოიცალოს ამისთვის, მაგრამ გაზეთში დაბეჭდილ წერილებს გააფხაზებული ქართველები ხომ უკითხავენ აფხაზებს?!

**ჟიული ჯანგველაძე.**

ქ. თბილისი



წ(მიდა)ო გ(იორგ)ი, შ(ეიწყალ)ე გ(იორგ)ი ქოჩო[ლ]ვაი ... წ(მიდა)ო გ(იორგ)[ი], მფარ(ვე)ლ მექმენ დიდსა მას დღესა!

XI-XII ს.ს. ილორი (ოჩამჩირის რ-ნი). გიორგი ქორჩოლვას წარწერა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქრისტეო, მეუფეო ყოვლთა. ადიდე
ორთავე შინა სოფლითა უძლეველი
მეფეთა მეფე ბაგრატ.



სოხუმი, თამარ მეფის ხიდი.

# პოლიტიკური მინიატურები

### ბუზი ცხვირზე

რადიო აცხადებს: „იქუხა ანტისაბჭოთა-შემარჯვენე ტროცკისტული ბლოკის პროცესის ტრანსლაცია. ხალხის მტრებს ასამართლებენ“.

ბოლოში მდგარი ხანდაზმული მამაკაცი შეეჭმუნა და ხელი უკმაყოფილოდ ჩაიქნია. გვერდით ეს ბერიკაცი — ყველაფრიდან ჩანს, საბჭოთა პოლიტიკა არ მოსწონს, — ახლა ბრალდება წაუყენეს.

— მომწონს, როგორ არა, კაცო, ცხვირზე ბუზი დამაჯდა და ხელი იმიტომ გავიქნიე, რომ მომეშორებინა, — იმართლა თავი.

მას ათი წელი მიუსაჯეს.

### სად სჯობია

— კოლმეურნეობა, კოლმეურნეობაო, რომ იძახით, ციმბირი ჯობია ჩვენს კოლმეურნეობას.

იგი ციმბირში გააგზავნეს. ათი წლის შემდეგ გაათავისუფლეს და გააფრთხილეს, — ენას კბილი დააჭირე, არ დაიწყო ლაყბობა, გადასახლებაში ცუდად ვიყავიო, თორემ ისევ იქ დაგაბრუნებენ.

მან ფიცი მისცა შინსახკომს, ცუდს არაფერს ვიტყვიო.

— აქ ცხოვრება რა ცხოვრებაა, ციხეში ყოფნა ათასწილ უმჯობესიაო.

იგი კვლავ ათი წლით გააგზავნეს გადასახლებაში.

### შეღავათი

პატიმარს ათი წლით კატორღა მიუსაჯეს. მერე ჰკითხეს, რას იტყვიო:

— ცხრა წელიწადი კოლმეურნეობაში ვიმუშავე და ხომ ჩამეთვლებაო?!.

### განიარაღება

— ახლა ნამდვილად დავრწმუნდი, ამერიკას იარაღი სულაც არ ჰქონია.

— მართლა? თუ ძმა ხარ, ამიხსენი, რანაირად დარწმუნდი.

— ვაშინგტონში ხრუშჩოვს წიფე პამიდორი ესროლეს. საქმეა ეს?

### უხილავი მსროლელები

გურული თბილისში დილით მატარებლით ჩავიდა. სადგური შედლებით შეეგება მგზავრებს.

— რა მოხდა?.. რა მოხდა?.. — იკითხა მან.

— ჭურში ხომ არ ზიხარ? ხრუშჩოვი ჩამოვიდა.

ლენინის მოედანზე გახული კვლავ სროლა შემოესმა.

— ახლა რისთვისღა ისვრიან? — კვლავ გაიოცა მგზავრმა.

— ყურებში ცვილი ხომ არ ჩაუსხამთ? თბილისში ხრუშჩოვი ჩამოვიდა და იმიტომ ისვრიან.

— რავა, ხადგურში ვერ მოარტყეს, თუ?

### ვინ ვინ არის

— ერთი ინგლისელი ჯენტლმენია, ორი ინგლისელი — დისკუსია, სამი — პარლამენტი; ერთი გერმანელი ფრიცია, ორი გერმანელი — ფაშისტი, სამი — ომი; ერთი ფრანგი სიყვარულია, ორი ფრანგი — დუელი, სამი — რევოლუცია; ერთი იტალიელი სოლოა, ორი იტალიელი — დუეტი, სამი — ტრიო; ერთი ებრაელი სავაჭრო წერტია, ორი ებრაელი — ჰადრაკი, სამი — სიმფონიური ორკესტრი; ერთი რუსი მუშა კაცია, ორი რუსი—მუშა და გლეხი, სამი — პირველადი პარტიული ორგანიზაცია; ერთი ქართველი პიროვნების კულტია, ორი ქართველი—მთავრობა, სამი — ღმერთმა ნუ ქნას, არასდროს არ ყოფილა.

### დაკრძალვაზე

გურულები სამეგრელოში დაკრძალვაზე ჩამოვიდნენ; როცა სალამოუამს მიცვალებულის კუბო სასაფლაოს გზას გაუყენეს, მეუღლე გულდათუთქული მოთქვამდა:

— სად მიდიხარ, ძვირფასო, სად? იქ ხომ არც სინათლეა, არც საჭმელ-სასმელი, სახლ-კარი, არც სითბო, არც რადიო, არ გაზეთები, არც ტელევიზორი, ასე რომ გიყვარდა.

— რავა, ძამა, ამ მკვდარს ჩვენს სოფელში ხომ არ მოასვენებენ?

### სოციოლოგიური გამოკვლევა

ბუღასავით ჩაფსკვნილ, ვახტანგ გორგასალის ხიმალლის მამაკაცს შელამებისას გზად მხარზე თოხგადებული გლეხი შემოეყარა.

— ვინ ხარ, კაცო, შენ? — ჰკითხა კოლმეურნემ უცნობს.

— მე ცეკადან ვარ მომაგრებული.

— შენ კი ხარ მომაგრებული, მაგრამ მე ვარ მოფამფალებული.

გოლიათმა ირონიას ყურადღება არ მიაქცია და, რადგან სწორედ სოციოლოგიური გამოკვლევისათვის იყო სოფელში მოვლინებული, შეკითხვები კოხივით დააყარა მოსაუბრეს:

— უპირველეს ყოვლისა, მაინტერესებს რა გაქვთ შემოსავალი?

— ჰიშკარი.

— მაგას კი არ გეკითხებით, რა გამოგდით ყოველდღიურად?

— ოფლი.

— ვერ გამიგეთ, თქვე კაი კაცო, ხელზე რა გაქვთ?

— კოჟრები.

— ეშმაკმა დალახვროს! სახლში რა მიგაქვთ?

— თოხი.

— ბელელში რა გიყრიათ?

— ვირთხები.

— ბოლოს და ბოლოს, ცოლშვილს რით არჩენთ?

— აგიტაციით.

### მიწის კანონი

— რატომ მოგიწყენია, ჯაბა, რა დაგემართა?

— რალა რა დამემართა, ხომ ხედავ, ხრუშჩოვმა კანონი გამოსცა საკარმიდამო ნაკვეთების შემცირების თაობაზე. მქონდა ერთი ჰექტარი ეზო, ახლა ნახევარი ჩამომართვეს.

— ეჰ, შე კაცო, ამან დაგალონა? სიგრძე-სიგანე ჩამოაჭრეს შენს ნაკვეთს, თორემ სიღრმე ხომ დაუტოვეს, წადი სიღრმეში, რამდენიც გინდა.

შეკრიბა ბორის მათითაშვილმა.

# პროვოკატორთა პროკლამაციები

ფიცი, № 1. საქართველოს ახალგაზრდები, ვფიცავთ 9 აპრილს, სისხლიან კვირას დაღვრილი უდანაშაულო სისხლით დამცირებულ საქართველოს, ვფიცავთ არ გვქონდეს ურთიერთობა სხვა ეროვნების ბავშვებთან, რათა არ დაილვაროს ქართული სისხლი. საქართველოს არ სჭირდება ყველანაირი ქართველი, სჭირდება სუფთა ერი, ლამაზი ქალი და არა სისხლნარევი. წყეული იყოს ახალგაზრდა ვაჟი, ვინც ცოლად სხვა ერის ქალიშვილს შეირთავს, ის ქალი, რომელიც თავის სხეულში 9 თვეს ატარებს სხვის ნაყოფს და ამრავლებს სხვა ხალხს. ამით ისინი ხდებიან ჩვენი საყვარელი საქართველოს მოღალატენი. წყეულ იყოს მოღალატე! ღმერთი ამრავლებს არაჩვეულებრივ საქართველოს, არც ერთი ქართველი რუსულ სკოლაში და სხვა სასწავლო დაწესებულებაში არ წავა.

იმრავლე, ქართველო ერო!

ფიცი, № 2. ძმებო და დებო!

როდემდე უნდა ვებლანდებოდეთ ჩვენ, მეგრელები, ყველას ფეხებში? რატომ არა გვაქვს ჩვენ ჩვენი დედაქალაქი, ჩვენი გაზეთები? 400 წლის მანძილზე სამეგრელო იყო დამოუკიდებელი სამთავრო, მაგრამ საქართველომ რუსული ხიშტების დახმარებით დაიპყრო იგი. მთელი ამ ხნის მანძილზე ქართველები ჩვენი ჯანმრთელი სისხლით ამრავლებდნენ თავიანთ ნაშიერებს. სძულთ რა ჩვენი ენა, ჩვენი ადათ-წესები, მათ სურთ, რომ ჩვენ მონები ვიყოთ.

საქართველოს არასოდეს არ ჰქონია ზღვაში გასასვლელი მანამ, სანამ მათ არ დაიპყრეს ჩვენი კოლხეთის დაბლობი. დღესაც ისინი ჩვენ მეორეხარისხოვან ხალხად გვთვლიან. ახლაც ქართველებს სურთ ჩვენი ხელით დაახრჩონ აფხაზები და ყველა მარცხი ჩვენ გადმოგვაბრალონ. ჩვენს მშვენიერ ენას, რომელზედაც ლაპარაკობდა კოლხი მედეა, ისინი ქართული ენის დიალექტად თვლიან. ჩვენი ენა კი 5 ათასი წლისაა, იგი ერთი ყველაზე უძველესი ენათაგანია მთელს მსოფლიოში. ჩვენი პრობლემებისაგან რომ ჩამოგვაშორონ, ისინი სხვათა წინააღმდეგ გვაქეზებენ, მაგრამ ჩვენ უნდა შევინარჩუნოთ ენერგია, რათა ავაღორძინოთ სამეგრელო.

მსოფლიოს რუკაზე უნდა გაჩნდეს თავისუფალი სამეგრელოს რესპუბლიკა!

ძმებო! უნდა ავიმაღლოთ ხმა! ან ახლა, ან არასოდეს!

ყველა ხალხი თავის უფლებებს პოულობს. გვეყო მოთმინება, ქართველები გვაშიშვლებენ, როგორც უკანასკნელ მეძავს, და ჩვენ თითქოს ვიბანგებით სიამოვნებისაგან. თუ ჩვენ დავკარგავთ ჩვენს სისხლს, ჩვენს ენას, ჩვენი წინაპრები შემოგვაფურთხებენ. — გავა კიდევ საუკუნე და ქართველები სრულ ასიმილაციამდე მიგვიყვანენ.

ძირს გამყიდველი გამსახურდია, რომელიც სულიერად და ხორციელად მიეყიდა საქართველოს უშიშროების კომიტეტს. იგი მუდამ აჭიანურებს სამეგრელოს საკითხის გადაწყვეტას, იმიტომ, რომ მას სულ სხვა რამ აინტერესებს. ჩვენ გვყავს ჩვენი ინტელიგენცია, მამაცი ადამიანები. რატომ დუმან ისინი? რატომ ვცეკვავთ ჩვენ სხვისი ჰანგების ქვეშ? ჩვენ უნდა გავერთიანდეთ და შევქმნათ სამეგრელოს რესპუბლიკა. მეგრელებმა უნდა აჩვენონ მთელ მსოფლიოს თავიანთი სახე და მოიშორონ ქართული ნილაბი.

დათა თუთაშხია შორიდან გვიცქერის ჩვენ. შექმენით ადგილებზე თქვენი ორგანიზაციები. მოვა დრო, და ჩვენ — მეგრელთა ჯგუფი, რომლებიც მაღალი მიზნებისათვის ვართ გაერთიანებულნი, ჩვენს სახელსა და გვარს ვამცნობთ ყველას. ჩვენ გვჭირდება თქვენი მხარდაჭერა, რათა ავაღორძინოთ სამეგრელო!

გაუმარჯოს თავისუფალ სამეგრელოს!

**სამეგრელოს აღორძინების კომიტეტი.**

**რედაქციის მინაწერი:**

როგორც ხედავთ, მტერი მართლაც ვერაგია... რადგან, როგორც ზემოთ დაბეჭდილი ორივე პროკლამაციიდან ჩანს, ის თავისი მიზნის მისაღწევად თვით 9 აპილის ტრაგიკულ კვირას ქართველთა დაღვრილ სისხლსაც კი არად დაგიდევთ და თავისი „იდეალების“ სპეკულაციისათვის დაღუპულ ქართველ გმირთა სახელითა და ფიცითაც კი გამოდიან, გამოდიან ხან „ქართველთა“, ხან „მეგრელთა“, ხან „რუსთა“, ხან „სომეხთა“, ხან „ბერძენთა“ სახელით.

მაგრამ ასეთ ნიღაბქვეშ თვით გულუბრყვილო მოსეირეც კი წამსვე შეიცნობს პროვოკატორ-ექსტრემისტის დაღრეჯილ სახეს, რომელსაც ალბათ მალე, თვით ღვთის წყალობით, კიდევ უფრო დაეღრიჯება და დაუმახინჯდება სიფათი.

ამ პროკლამაციების დასტები (№ 1) ქ. სოხუმის ბოტანიკური ბაღის ადმინისტრაციულ შენობაში დაბეჭდა და შეიძლება, ავრცელებდა კიდეც) ლაბორანტმა რუსუდან აგუმავამ, რომელიც ამ „გარჯისათვის“ ადმინისტრაციულმა ორგანოებმა მხოლოდ 30 მანეთის ჯარიმას დააჭერეს და ამით მიაფუჩეჩეს, შეიძლება ითქვას, ეს პოლიტიკური ფაქტის საგამომძიებლო საქმე, მაგრამ რ. აგუმავასათვის თვით უმკაცრესი სასჯელიც რომ მიეზღოთ, ბოროტების სათავე მაინც ამ საცოდავი ლაბორანტისაგან (იგი არასპეციალობით მუშაობს) არც იწყება და არც მთავრდება. ამ პროვოკაციული ჩანაფიქრის სიღრმე უფრო მასშტაბურია.

ამაზე მეტყველებს თუნდაც ის ფაქტი, რომ 14-15 ივლისის დღეებში ბოტანიკური ბაღის კარები, რომელშიაც ჩვეულებრივ უნებართვოდ ჩიტიც კი ვერ შეფრინდება, ღია იყო ყველა აფხაზი ექსტრემისტისათვის და სწორედ ამ ბაღიდან მოახდინეს თსუ სოხუმის ფილიალზე თავდასხმა და პირველი საშუალო სკოლის დარბევა, ხოლო თვით ბოტანიკური ბაღის დირექტორი, პროფესორი გივი აიბა ხელში რკინის ჯოხით მონაწილეობდა 15 ივლისის ბატალიებში.

მაგრამ ამ პასკვილების შემოქმედთა სამზარეულო კიდევ უფრო საიდუმლოა და შორეული.

ეს ის ხალხია, რომლებიც უკვე 200 წელია პრესის საშუალებით თუ ზეპირი გზით მეგრელებს, სვანებს, აჭარლებს და თვით ფშავხევსურებს ქართველებისაგან გამორიცხავენ.

ეს ის ხალხია, დღეს სვანებთან და მეგრელებთან რომ სეპარატიულ მოლაპარაკებას ეწევიან, მათ არაქართველობას შთააგონებენ და ავიწყდებათ, რომ, როცა სტიქიური უბედურებისაგან დაზარალებული ათასობით სვანი და აჭარელი უსახლკაროდ დარჩა, არც ერთი მტკაველი მიწა და არც ერთი კვადრატული მეტრი ფართი არ გაუმეტებიათ, რომ უბედურთათვის დროებითი თავშესაფარი მაინც მიეცათ.

ეს ის ხალხია, რომლებიც ასე თავხედურად იჩემებენ, თითქოს ქართველებმა ქრისტეს ათი მცნება მათგან მიიღეს და მათგან შეისისხლხორცეს მოყვასთა სიყვარული, ნამდვილად კი გარდაცვლილთა შეურაცხყოფასა და წმიდა საფლავთა და მემორიალთა პატივაყრასაც კი არ ერიდებიან.

ეს ის ხალხია, ქართულ არქიტექტურულ ძეგლებს რომ იჩემებენ.

ეს ის ხალხია, საკუთარი რომ არაფერი გააჩნიათ და ახლა სხვათა და სხვათა კუთვნილების დაჩემებით, უძველესი ცივილიზაციის ფუძემდებელთა სახელით სურთ მოევლინონ მსოფლიოს.

ეს ის ხალხია, ეროვნება რომ სარწმუნოებაში არევიათ, საკუთარ წარმომავლობაზე უარი უთქვამთ და პრეფიქს-სუფიქსთა მონაცვლეობით ცდილობენ საკუთარი გვარისა და წარსულის დამალვას.

დიახ, ყოველივე ეს მართლაცდა სასაცილოა, სატირალი რომ არ იყოს!..

გამოდის ორ თვეში ერთხელ
ფასი 1 მან.

ოქროს საწმისი
რედაქციის მისამართი: 384901,
სოხუმი, ლენინის 19
ტელეფონი: 2-82-73

მთავარი რედაქტორი ჯანო ჯანელიძე.
სარედაქციო კოლეგია: დავით დოლბაძე, გენო კალანდია, ბელა მამფორია, თემურ მიბჩუანი, ალექსანდრე მიქაძე, გიორგი რატიანი, თემურ შურღაია, ვალიკო ძარჩავა, სოსო ჩოჩია, სერგო წურწუმია, რეზო ხარებავა, ჯუმბერ ჯოჯუა, შოთა ჯღამაძე.